ლელო
პალიტრა მედია
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
25 ნოემბერი **ხუთშაბათი** 2010
№278 (13266) ფასი 60 თეთრი

## დინამო იოხ

ეროვნული ბიბლიოთეკა გვ. 3

აფსუს, ვის ვეცოტავებით?!

# ბენიტესი გადარჩა




გვ. 4

UEFA CHAMPIONS LEAGUE

## 12 ცნობილია

გუშინდელი მატჩების შემდეგ კიდევ შვიდი მერვედფინალისტი გაირკვა, სულ კი მეორე ეტაპზე გასულების რიცხვი 12-მდე ავიდა.

ერთი მერვედფინალისტია გასარკვევი D ჯგუფში, სადაც უფრო კარგი შანსი „კოპენჰაგენს“ აქვს, რომელიც ბოლო ტურში შინ „პანათინაიკოსს“ ხვდება, მისი კონკურენტი „რუბინი“ კი „კამპ ნოუზე“ ითამაშებს. რუსეთის ჩემპიონი დანიის პირველ გუნდს ერთი ქულით ჩამორჩება.

E ჯგუფში მეორე საგზურისთვის „რომა“ და „ბაზელი“ იბრძვიან. იტალიურ კლუბს სამი ქულით მეტი აქვს, მაგრამ ბოლო ტურში „კლუჟთან“ სტუმრად წაგების უფლება არ აქვს, რადგან თანაბარი ქულების შემთხვევაში შვეიცარიელები მეორეები იქნებიან. მოკლედ, „რომას“ მინიმუმ ფრე სჭირდება.

H ჯგუფში სამი გუნდია პრეტენდენტი, მაგრამ ამ ტრიოდან ორი გამოკვეთილი ფავორიტი გახლავთ - „შახტარი“ და „არსენალი“, რომლებიც შინ იღებენ „ბრაგასა“ და „პარტიზანს“ და ალბათ, შანსს ხელიდან არ გაუშვებენ.

**ტოტენჰემი**
**ინტერი**
**შალკე**
**ლიონი**
**მანჩესტერი**
**ვალენსია**
**ბარსელონა**
**ბაიერნი**
**ჩელსი**
**მარსელი**
**რეალი**
**მილანი**



### კლასიკოს წინ

ინტერვიუ ჟოზე მოურინიოსთან

>> გვერდი 4



### გოჩინოშინმა გიგული დაკარგა

>> გვერდი 10



### ნადალი ოთხეულშია

გუშინ გვიან რაფამ ჯოკერი დაამარცხა

>> გვერდი 16

● ასაკობრივი ნაკრებები



თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო (www.sport.gov.ge)

# ქართველები კალათ-კალათ

## რაც პატარა, უფრო ოქრო

**30 ნოემბერს ნიონში, უეფას შტაბბინაში წილისყრათა დღეა – ერთდროულად სამი ქართული ნაკრების მომავალი მეტოქეები გაირკვევიან: 17-წლამდელთა (კობა ჟორჟიკაშვილის) ნაკრებისა გაზაფხულზე გასამართი ელიტრაუნდისთვის, 19 და 17-წლამდელთა მომავალი ნაკრებებისა საგაისო შესარჩევი ციკლის პირველ ეტაპზე.**

დავიწყოთ იმ ტურნირით, რომელიც ჩვენებს სხვებზე ადრე ელით და რანგითაც აღემატება სხვებს. ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ელიტრაუნდში თამაშის უფლება კობა ჟორჟიკაშვილის გუნდმა თბილისში ჩატარებულ შესარჩევ ტურნირში დამაჯერებელი ასპარეზობით მოიპოვა. შეგახსენებთ, საქართველოს ნაკრებმა სძლია პოლონეთსა და შვედეთს, ხოლო ინგლისთან ფრედ ითამაშა.

უეფამ ქართველ 17-წლამდელთა ბოლოდროინდელი წარმატებები გაითვალისწინა და ჩვენი ნაკრები მეორე კალათაში მოახვედრა, რაც ბუნებრივია, ხელსაყრელ ჯგუფში მოხვედრის ალბათობას ზრდის.

ჯერ კალათების შემადგენლობას გადავხედოთ.

პირველი კალათა: რუმინეთი, გერმანია, დანია, ესპანეთი, პორტუგალია, ნორვეგია, იტალია.

მეორე კალათა: სლოვაკეთი, უნგრეთი, ჰოლანდია, ინგლისი, საბერძნეთი, შვეიცარია, საქართველო.

მესამე კალათა: შოტლანდია, ბელარუსი, თურქეთი, ბელგია, ირლანდია, ისლანდია, ხორვატია.

მეოთხე კალათა: უკრაინა, ჩრდილოეთ ირლანდია, რუსეთი, ავსტრია, ლატვია, საფრანგეთი, ჩეხეთი.

ელიტრაუნდში სულ შვიდი ჯგუფი იქნება, აქ თითო კალათიდან თითო გუნდი მოხვდება. ფინალურ ეტაპზე თამაშის უფლებას მხოლოდ ჯგუფების გამარჯვებულები მოიპოვებენ. ფინალურ ტურნირს მაისში სერბეთი უმასპინძლებს. ცხადია, სერბეთის ნაკრები შესარჩევი ეტაპისგან თავისუფალია.

აქვე გეტყვით, რომ, რაკი პირველ საკვალიფიკაციო რაუნდს თბილისმა უმასპინძლა, ელიტრაუნდში ჩვენი მასპინძლობის შანსი უმცირესია.

განვაგრძოთ 17-წლამდელთა თემა და ევროპის 2012 წლის ჩემპიონატზეც ვთქვათ, რომლის ფინალური ეტაპი სლოვენიაში გაიმართება. ამ ჩემპიონატის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი მომავალი წლის შემოდგომაზე ჩატარდება და იქ **ვასილ მაისურაძის** მიერ გაწვრთნილი გუნდი ითამაშებს.

უეფამ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ ქართველი 17-წლამდელები სისტემატურად ახერხებენ ელიტრაუნდში გასვლას და საქართველოს ნაკრები პირველ კალათაში განთესა. პირველი შესარჩევი ეტაპის წილისყრისას სულ ორი კალათა შედგება, საიდანაც ჯგუფებში ორ-ორი გუნდი ხვდება. შესაბამისად, ზედა კალათიდან მაისურაძის გუნდის მეტოქე ერთი გუნდი იქნება, ქვედადან კი – ორი.

პირველი კალათა: ესპანეთი, ინგლისი, შვეიცარია, ჰოლანდია, საფრანგეთი, გერმანია, თურქეთი, ხორვატია, პორტუგალია, ჩეხეთი, სერბეთი, საბერძნეთი, იტალია, ირლანდია, ავსტრია, ბელგია, უელსი, რუმინეთი, სლოვაკეთი, პოლონეთი, ჩრდილოეთ ირლანდია, შოტლანდია, უნგრეთი, ნორვეგია, შვედეთი, საქართველო.

მეორე კალათა: ფინეთი, დანია, ისრაელი, ლუქსემბურგი, რუსეთი, ბელარუსი, ბოსნია, აზერბაიჯანი, უკრაინა, ესტონეთი, ბულგარეთი, კვიპროსი, ისლანდია, მოლდოვა, მაკედონია, მალტა, ლიტვა, ანდორა, ლატვია, ფარერები, ყაზახეთი, ჩერნოგორია, სომხეთი, ალბანეთი, ლიხტენშტაინი, სან მარინო.

ელიტრაუნდში ყოველი ჯგუფიდან ორ-ორი საუკეთესო გუნდი გავა, პლუს ორი საუკეთესო მესამეადგილოსანი.

19-წლამდელთა პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე 17-იანების მსგავსი სისტემაა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ამ ასაკის რეიტინგში საქართველოს ნაკრები აუტსაიდერთა შორისაა და ქვედა კალათაში მოხვდა. ეს არცაა გასაკვირი, რადგან დიდი ხანია, ქართველი 19-წლამდელები ელიტრაუნდში აღარ გასულან. ევროპის 19-წლამდელთა 2012 წლის ჩემპიონატს ესტონეთი უმასპინძლებს.

პირველი კალათა: პორტუგალია, თურქეთი, გერმანია, სერბეთი, იტალია, ჰოლანდია, უნგრეთი, ხორვატია, უკრაინა, რუსეთი, საბერძნეთი, ნორვეგია, შვეიცარია, სლოვაკეთი, ბელგია, ავსტრია, ჩეხეთი, ირლანდია, დანია, პოლონეთი, შოტლანდია, ბელარუსი, აზერბაიჯანი, ისლანდია.

მეორე კალათა: ფინეთი, სლოვენია, ბულგარეთი, რუმინეთი, ლატვია, ლიტვა, შვედეთი, ისრაელი, ბოსნია, მოლდოვა, ჩრდილოეთ ირლანდია, კვიპროსი, ჩერნოგორია, ალბანეთი, უელსი, ყაზახეთი, სომხეთი, მაკედონია, საქართველო, მალტა, ფარერები, ლუქსემბურგი, ანდორა, სან მარინო.

შეგახსენებთ, გაისად საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები **გიორგი დევდარიანის** ხელმძღვანელობით ითამაშებს და გუნდის ბირთვს ის ფეხბურთელები შეადგენენ, რომლებმაც წლევანდელ გაზაფხულზე 17-წლამდელთა ელიტრაუნდში გაალწიეს.

● პრობლემა - ფული

# მოწყენილები: ახალი არაფერია? არაფერი...

## რავა ყველას ერთი ჭირი გვჭირს?!

## ცხოვრება და თამაში ცარიელი ჯიბით

**საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის სამი ბინადრის მდგომარეობა კვლავაც არასახარბიელოა. შეგახსენებთ, "სამტრედიას", "ბაიასა" და "კოლხეთს" სეზონის მსვლელობისას ფინანსურად ძალიან გაუჭირდათ და დღეს ყოფნა-არყოფნის პრობლემა უდგათ. ჯერჯერობით, სამივე გუნდი მხოლოდ დაპირებების იმედზეა. გუშინ სამივეს წარმომადგენლებს შევეხმიანეთ და ბოლო ამბები გამოვკითხეთ.**

### ზაზა ადეიშვილი

"სამტრედიას" პრეზიდენტი:



**- შევიტყვეთ, რომ ამ დღეებში გარკვეულ დაფინანსებას ელით.**

- მართალია, მაგრამ დანამდვილებით ვერ გეტყვით, რა მოხდება. იმედი ჯერ არ დაგვიკარგავს, "სამტრედიას" ბედით ადგილობრივი ხელისუფლება და პირადად იმერეთის გუბერნატორი არიან დაინტერესებული. ასევე მადლობის მეტი არაფერი მეთქმის საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიმართ, რომელიც გასულ თვეში მცირედით დაგვეხმარა. სხვების მსგავსად, ჩვენი მთავარი პრობლემა გაუცემელი ხელფას-პრემიებია.

**- რამდენი თვის დავალიანება აქვთ მისაღები ფეხბურთელებს?**

- გასასტუმრებელია ოქტომბრის და ნოემბრის თანხა. ჩვენთან დიდი ხელფასები არაა, პრემიაც მხოლოდ 200 ლარია, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერჯერობით არც ამის გადახდა შეგვიძლია. ჩვენი უპირველესი საზრუნავი სწორედ ამ პრობლემის მოგვარებაა, იმედი გვაქვს, რომ ხელფასებს ერთი კვირაში გავისტუმრებთ.

**- სხვა კლუბების მსგავსად, "სამტრედიაც" ხომ არ დგას ფეხბურთელებისგან დაცლის საფრთხის წინაშე?**

- სეზონის პირველ ნახევარში ეს გამორიცხულია, ამის შემდგომ პერიოდზე კი მერე ვისაუბროთ. ვისარგებლებ შემთხვევით და ჩვენს ბიჭებს ერთგულებისთვის დიდ მადლობას გადავუხდი. "სამტრედია" განსხვავებული სულის მატარებელი გუნდია და მისი წევრები საკუთარი საქციელით ამას ყოველთვის ამტკიცებენ. თუმცა მაინც არავინაა ვალდებული, ანაზღაურების გარეშე ითამაშოს. ყველას ოჯახი და საკუთარი პრობლემები აქვს.

**- თუ კლუბის უსახსრობა გაგრძელდა, კიდევ რამდენ ხანს გაუძლებს ამას "სამტრედია"?**

- დიდხანს ნამდვილად ვერ გავუძლებთ. სახელფასო დავალიანებასთან ერთად, მწვავედ გვიდგას კვების, მგზავრობისა და სხვა ყოველდღიური ხარჯების პრობლემა, არც ვალები გვაკლია. დაზუსტებით მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ჩემპიონატის პირველ ეტაპს ჩავამთავრებთ.

### ელგუჯა ქომეთიანი

"ბაიას" მთავარი მწვრთნელი:

- სამწუხაროდ, კარგს ვერაფერს გეტყვით. დრო გადის და ჩვენს გასაჭირს ბოლო არ უჩანს. უკეთესობის იმედს დღითიდღე ვკარგავთ. ახლა გვეუბნებიან, რომ თვის ბოლოს მაინც მივიღებთ გარკვეულ თანხას, ვნახოთ...

**- ჩემპიონატის უახლოესი მატჩის ჩაშლის საშიშროების წინაშეც ხომ არ დგახართ?**

- არა, "სპარტაკთან" სათამაშოდ აუცილებლად ჩავალთ და, სავარაუდოდ, სეზონის პირველ ნახევარსაც ბოლომდე ვითამაშებთ, მერე კი ნამდვილად აღარ ვიცი, რა მოხდება. ვერ წარმოიდგენთ, როგორი წვალების ფასად გვიჯდება თითოეული თამაშის ჩატარება, მაგრამ ყველაფერს გავაკეთებთ, რათა ჩვენი მიზეზით საქართველოს ჩემპიონატის შეხვედრა არ ჩაიშალოს.

**- გუნდიდან ფეხბურთელები კიდევ ხომ არ წასულან?**



- არა, ვინარჩუნებთ იმ კონტინგენტს, რომლითაც ბოლო მატჩები ჩავატარეთ. როგორც იცით, პირველ რიგში ადგილობრივი კადრების იმედად ვართ და ეს პატარა ბიჭები თავისი გუნდისთვის არაფერს ზოგავენ. მიკვირს კიდეც, როგორ ვახერხებთ არსებობას, ყველაფერზე ეკონომიას ვაკეთებთ, მაგრამ თანხები უმცირესი ხარჯებისთვისაც აღარ გაგვაჩნია.

**- რამდენი თვის გასამრჯელო აქვთ ფეხბურთელებს ასაღები?**

- გასაცემია სამი თვის ხელფასები და პრემიები, დაახლოებით ასეთ მდგომარეობაში ვართ მწვრთნელებიც. ძალიან დასანანია, რომ სეზონი საკმაოდ წარმატებულად დავიწყეთ და ახლა არცთუ სახარბიელო ფორმაში ვართ. ეს არცაა გასაკვირი, უხელფასო ფეხბურთელი თავის საუკეთესო თვისებებს ვერ გამოავლენს.

**- დახმარებას ვისგან ელით?**

- მოგეხსენებათ, კერძო სპონსორი ჩვენ არ გვყავს და მხოლოდ ადგილობრივი მმართველობის იმედად ვართ. პრობლემების მოგვარებას სამეგრელოს გუბერნატორი ზაზა გოროზია გვპირდება და "ბაიას" ბედი, ალბათ, მალე გადაწყდება.

### ბესიკ შეროზია,

"კოლხეთის" მთავარი მწვრთნელი:

- იცით, რომ რამდენიმე დღის წინ ერთი თვის ხელფასს ველოდებოდით, მაგრამ, საუბედუროდ, იმედები გაგვიცრუვდა. "კოლხეთი" არსებობას კი განაგრძობს, მაგრამ თუ ასე გაგრძელდა, ვერ წარმომიდგენია, როგორ უნდა ჩაატაროს სეზონის მეორე ნახევარი.

**- უფულობა გასაგებია, მაგრამ ახალი დაპირებებიც არ მიგიღიათ?**

- დაპირებები არის, მაგრამ ამას თუ ქმედითი ნაბიჯები არ მოჰყვა, რა აზრი აქვს. მაინც არ ვკარგავ იმის იმედს, რომ მდგომარეობა გამოსწორდება. მაქვს პორტის თანადგომის იმედიც და არც იმას გამოვრიცხავ, რომ ახალი სპონსორი გამოგვიჩნდეს.

**- გუნდიდან რამდენიმე დღის წინ წასული ფეხბურთელების ნაწილი ხომ არ მობრუნებულა?**

- არა, არავინ დაბრუნებულა და, სავარაუდოდ, აღარც დაბრუნდებიან. ისღა დაგვრჩენია, ჩემპიონატის პირველი ეტაპი ყოვლად გამოუცდელი ჭაბუკებით ჩავამთავროთ, რაც გუნდის შედეგებზეც აისახება.

**- თავადაც ხომ არ ფიქრობთ "კოლხეთიდან" წასვლაზე?**

- არა, ასეთ მძიმე დღეებში გუნდს ვერ მივატოვებ, ზამთრის პაუზამდე აუცილებლად ვიმუშავებ.

**- წინა ტურის მატჩში "კოლხეთს" დუბლიორების მწვრთნელი ზაზა ინიაშვილი ხელმძღვანელობდა.**

- ეს ლოგიკურიცაა, რადგან "ზესტაფონის" წინააღმდეგ უმეტესად მისმა ფეხბურთელებმა ითამაშეს და ვაჟკაცურადაც იბრძოლეს. პირველი ეტაპის დარჩენილი მატჩებისთვის "კოლხეთს" კვლავ ზაზა გაწვრთნის, მაგრამ მეც იქვე, სათადარიგოთა სკამზე ვიჯდები და ბიჭებს რჩევებით დავეხმარები.

გვერდი მოამზადა
**ლევან ჯანეზაშვილმა**
ავტორის ფოტოები



მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მედია პალიტრის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63**; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გვერდებით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ქართველები უცხოეთში

# რიგის ქართველების ამაყი რიგი

## ყველაფერი არ დაიჯეროთ: პერტიამ თუთაშხია დაიმოწმა

ბოლო დროს უცხოეთში ბევრი წარმატებული ახალგაზრდა ქართველი სპეციალისტი გამოჩნდა: **შოთა არველაძე** "ქაისერში" თურქებს ხელმეორედ აოცებს, **კახა ცხადაძისა** და **გიორგი ჩიხრაძის** ბაქოს "ინტერი" აზერბაიჯანის ჩემპიონი გახდა, **თემურ ქეცბაიამ** კვიპროსისა და საბერძნეთის პირველობების გამარჯვებულები ჩემპიონთა ლიგაში გაიყვანა და საქართველოს ნაკრებში მოიწვიეს.

ბოლო ორი წელია, ლატვიაში წარმატებით მუშაობს **თამაზ პერტია**, რომელიც სულ რაღაც ორიოდე წლის წინ ფეხბურთელი გახლდათ. "დინაბურგის" ყოფილ თავკაცს გასულ სეზონში ჩაწყობილ მატჩებში მონაწილეობა დაბრალდა და დისკვალიფიკაციით დაისაჯა, თუმცა წელს "დაუგავა" ჩააბარეს და უფერული გუნდი მეოთხე ადგილზე გაიყვანა.

უფრო მნიშვნელოვანი სხვა რამაა: პერტია ლატვიაში გასული წლის საუკეთესო ახალგაზრდა მწვრთნელი გახდა, წლეულს კი ამ ქვეყნის ყველაზე პოპულარულმა სპორტულმა გაზეთმა "სპორტავიზემ" წლის სიმბოლური ნაკრების მწვრთნელ **ალექსანდრ სტარკოვსის** (ლატვიის ნაკრებისა და "სკონტოს" თავკაცის) ასისტენტად დაასახელა.

უეფას ოფიციალურ ვებგვერდზე პერტიას "დაუგავა" ლატვიური სეზონის სიურპრიზად მონათლეს. დაუგავპილსელებმა არსებობის ისტორიაში სარეკორდო ქულები (56) დააგროვეს, "სკონტოსთან" ერთად ყველაზე ცოტა გოლი გაუშვეს (16) და ოთხეულის გუნდების ურთიერთშეხვედრებში ყველაზე მეტქულიანები აღმოჩნდნენ.

საკმაოდ ვრცელი შესავლის შემდეგ საქმეზე გადავიდეთ – თამაზ პერტია "ლელოს" სტუმარია.

**- ერთი წლის უქმობა ფეხბურთელსაც ეტყობა და, ალბათ, მწვრთნელსაც. თქვენ კი პირველივე სეზონში "დაუგავა" ლატვიურ სიურპრიზად აქციეთ.**

- სხვათა შორის, მეც გამიჭირდა. თუმცა დისკვალიფიკაციის პერიოდში ფეხბურთს არ ჩამოვშორებივარ. გუნდს მაინც მე ვავარჯიშებდი და ტრიბუნიდან ვკარნახობდი. ეგაა, სათადარიგოებში ყოფნის უფლება არ მქონდა. პირველი ორი შეხვედრისას დისკომფორტს ვგრძნობდი, შემდეგ კი ყველაფერი დალაგდა. გარკვეულწილად გამიმართლა, რადგან დისკვალიფიკაცია სეზონის ბოლოს მომცეს, სამი თვე ისედაც შევისვენეთ და ჩემპიონატში მხოლოდ რვა ტური გამიცდა.

თუმცა ვერაფრით გავიზიარებ იმ შეფასებას, რომ "დაუგავა" სეზონის აღმოჩენაა. ეს გუნდი წინა სეზონში "დინაბურგი" იყო, რომელმაც მესამე ადგილი დაიკავა, 2008 წელს კი ლატვიის თასს დაეუფლა.

**- გუნდში ბევრი ქართველი მიიყვანეთ. ისინი მომავალ სეზონშიც დარჩებიან თუ გაუშვებთ?**

- კმაყოფილი ვარ გიორგი ჩიხრაძის, ჯემალ ჯალიაშვილისა და მამუკა ღონღაძის თამაშით. მათი დატოვებით დაინტერესებული ვარ, თანაც საქართველოს კარგად წარმოაჩენენ. სამწუხაროდ, რომ ჯალიაშვილი დაშავდა და ბოლოს ვეღარ გვეხმარებოდა. დათო ფაილოძე და გიორგი წაქაძე დუბლშემადგენლობაში თამაშობდნენ და ჯერ არ ვიცი, მომავალ წელს ძირითადში გადავიყვან თუ არა.

**- ლიეპაიას „მეტალურგსში" მართლა გადადიხართ?**

- შემოთავაზება მაქვს და ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული. თუ "დაუგავას" ხელმძღვანელობამ დღევანდელი ბირთვის შენარჩუნების გარანტია მომცა და მინიმალურ პირობებ შემიქმნა, დავრჩები. ჩემი სურვილი მხოლოდ ჩემპიონობისთვის ბრძოლაა, სხვა მიზანი არ მაქვს. თუ ეს გარანტია არ მომცეს და ფეხბურთელები გამიყიდეს, "მეტალურგსში" გადავალ.

**- ეტყობა, იტალიაში სტაჟირება ნაგადგათ.**

- სტაჟირებაც არ ერქვა, "მილანის" ვარჯიშებს კახა კალაძის დახმარებით დავესწარი. მაგრამ ეს უბრალო დასწრებაც ჩემთვის მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. თუ სწავლა გინდა, ასეც ბევრს ისწავლი. ვაკვირდებოდი ვარჯიშებს, მოთამაშეთა მოქცევას, მათ პროფესიონალიზმს...

**- პოსტსაბჭოურ ქვეყნებში შეხედულებების გადაფასების პროცესი მიმდინარეობს და მოძველებული მეთოდები ევროპულით იცვლება. თქვენი აზრით, საბჭოთა და ევროპელ სპეციალისტებს რა განასხვავებს?**

- მთავარი მიდგომაა, ევროპული უფრო გააზრებული და გაწონასწორებულია, ადამიანური ფსიქოლოგია და მოთხოვნები გათვალისწინებულია. მთავარი განსხვავება კი ისაა, რომ ევროპაში მწვრთნელი აკრძალულ თამაშს არ კადრულობს და ზღვარს არ გადადის, რუსეთსა და სხვა პოსტსაბჭოურ ქვეყნებში კი სხვაგვარადაა საქმე, გადამწყვეტი არასაფეხბურთო ინტერესებია.

**- ფეხბურთელებთან მეგობრობთ თუ უფროსობთ?**

- ზომიერების დაცვაა საჭირო. მათთან არც დისტანცია ვარგა ნამეტანი და არც ძალიან დაახლოება. მთავარმა მწვრთნელმა ყველა ფეხბურთელთან საერთო ენა უნდა გამონახოს. ყველა სერიოზული და ბოლომდე პროფესიონალი ვერ იქნება, ორი-სამი პრობლემური ფეხბურთელი მაინც გამოერევა. სწორედ მათთან ურთიერთობის დალაგებაზეა დამოკიდებული, აიყვან თუ არა გუნდს ხელში. ისინი უნდა დაარწმუნო, რომ ფეხბურთი მათი უპირველესი საქმეა და თუ ეს გამოგივა, შედეგიც იქნება. მთავარია, ფეხბურთელმა დაგიჯეროს და გამოგყვეს.

**- ბევრი რთული ფეხბურთელი გყოლიათ?**

- ასეთი დღესაც მყავს, მაგრამ გვარს არ დავასახელებ. უნიჭიერესი ბიჭია, ეს თავადაც იცის და გუნდური ფეხბურთი არ აინტერესებს. ინდივიდუალისტები მხოლოდ ქართველებს არ გვყავს, ასეთები ლატვიაშიც მინახავს. საერთოდ, ნიჭიერი მოთამაშე ხშირად რთული პი-



როვნებაცაა, მაგრამ კარგმა მწვრთნელმა სწორედ ასეთი უნდა გამოიყენოს.

**- ლატვია-საქართველოს მატჩზე შთაბეჭდილება დაგვიანებით მაინც გაგვიზიარეთ.**

- რიგაში ძლიერი და ორგანიზებული გუნდი ჩამოვიდა. მოთელვაზეც გამოჩნდა, რომ ეს არ იყო ის ნაკრები, რომელიც ყველასთან ყველაფერს აგებდა. მე სამ დამახასიათებელ ფაქტორს გამოვყოფდი:

პირველი – ფეხბურთელები მაქსიმალურად კონცენტრირებულები იყვნენ. მეორე – ქართველებისთვის უჩვეულოდ დისციპლინირებული ფეხბურთი აჩვენეს და თანაც მთელი 90 წუთის განმავლობაში. მესამე – მოედანზე გასული თითოეული ფეხბურთელი ამ შეხვედრას ისე უყურებდა, როგორც უკანასკნელ ბრძოლას. ერთიც რომ გამოთიშულიყო, ლატვია წააგებდა.

ეს ყველაფერი მხოლოდ თემურ ქეცბაიას დამსახურებაა. ვერავინ დამაჯერებს, რომ ნაკრები ვინმეს დახმარებით გააძლიერა. მინდა, მას და საქართველოს ნაკრებს წარმატება ვუსურვო. ლატვიაში მცხოვრები ქართველები ამაყად დავდიოდით, როგორც იქნა, საქართველოს ღირსეული ნაკრები ვნახეთ.

**- საქართველოში დაბრუნებაზე არ გიფიქრიათ?**

- რატომაც არა, ბევრი მიფიქრია, მაგრამ თავადაც კარგად მოგეხსენებათ, ჩვენი კლუბები რა პირობებში არიან. კარიერის ბოლოს ბელარუსში ვთამაშობდი და მახსოვს, პრეზიდენტმა ლუკაშენკომ ბიზნესმენებს მოუწოდა, კლუბებისთვის მიეხედათ და ყველა ქალაქში თანამედროვე სტადიონი აეშენებინათ. ასეც მოხდა. ბიზნესი ყველა ქვეყანაში დინებას მიჰყვება და, ალბათ, ჩვენს ბიზნესმენებსაც იმავეს თუ არ ეტყვიან, ფეხბურთისკენ არავინ გაიხედავს. მიხარია, "ზესტაფონი" რომ გაძლიერდა, მაგრამ თბილისის "დინამო" რა დღეშია? ეს გუნდი ფინანსური გაჭირვებისთვის არ მემეტება. ჩვენ ლატვიელებზე ბევრად ნიჭიერი ფეხბურთელები გვყავს, ეგაა, ბალტიისპირელებს უფრო გამართული პირველობა აქვთ, დისციპლინითა და უკეთესი ორგანიზაციით გვჯობიან.

**- სხვათა შორის, გავრცელდა ხმები, თითქოს "დაუგავა" კახა კალაძემ იყიდა.**

- არ დაიჯეროთ, ტყუილია. ეს დათა თუთაშხიას ნათქვამს ჰგავს, ზოგჯერ ჩემზე ისეთი ჭორებს ვისმენ, საკუთარი თავის მეშინიაო. კლუბს ისეთი პრეზიდენტი ჰყავს, არავის დაუთმობს.

დინამო

# დინამო იოხ

## ფულიანმა მეზობლებმა ბრენდი დაგვიწუნეს

ბადრი პატარკაციშვილის ოჯახის განცხადების შემდეგ სამი დღე გავიდა. თბილისის „დინამოს" მეპატრონეებს კლუბის დაფინანსება აღარ სურთ. პარადოქსია, რომ მისი პატრონობის მსურველიც ჯერ არ ჩანს. ეს „დინამოს" მმართველმა დირექტორმა **ბუბა ტყავაძემ** ორიოდე დღის წინ „ლელოსთან" ინტერვიუში განაცხადა.

„ბოლოდროინდელი მდგომარეობიდან გამომდინარე, დიდი ხანია, ახალი ინვესტორის მოძიებას ვცდილობ... სიტყვიერად „დინამო" არა მხოლოდ კოკაიას, ბევრ სხვა პიროვნებასაც შევთავაზეთ... ჯერჯერობით კონკრეტული პასუხი არავისგან მიგვიღია", - გვითხრა ტყავაძემ.

გუნდი, რომლის პატრონობასაც რამდენიმე წლის წინ არა მხოლოდ ბიზნეს გათვლებით, არამედ პრესტიჟის თვალსაზრისითაც უყურებდნენ, დღეისთვის მყიდველს უშედეგოდ ელის.

ტყავაძის თქმით, „დინამოს" გასხვისებაზე მოლაპარაკებები დიდი ხანია დაწყებულია. ლოგიკით, „დიდი ხანი" 2010 წლის აპრილიდანაა ასათვლელი: სწორედ 16 აპრილს დაიძაბა თბილისის „დინამოსა" და „ზესტაფონის" ურთიერთობები, როდესაც ცნობილი გახდა, რომ თბილისელთა ფიზმომზადების მწვრთნელი **ივო კატუშიჩი** „ზესტაფონში" გადასვლას აპირებდა. მანამდე ტყავაძე იმერული კლუბის პრეზიდენტ **ილია კოკაიას** „დინამოს" პატრონობაზე ელაპარაკებოდა.

ურთიერთობების დაძაბვას კლუბებს შორის სასამართლოში გარჩევება მოჰყვა, ანუ თბილისის „დინამო" ახალ მეპატრონეს 16 აპრილამდეც, ანუ სულ მცირე შვიდი თვეა ეძებს და ვერ პოულობს. არადა, „დინამო" დღემდე ქართული ფეხბურთის ერთადერთი ბრენდია და მისი პატრონობა ბევრს სურს, მაგრამ მისვლას უფრთხიან.

პატარკაციშვილის ოჯახის განცხადების შემდეგ საქმეში ჩახედულ პიროვნებებს ველაპარაკეთ და საერთო აზრია – დღეს თითქმის არ დარჩა ბიზნესმენი, ვისაც უყვარს ფეხბურთი, აინტერესებს ქართული ჩემპიონატი და აიყვანს კლუბს.

და მეორე – ვინც ამ კრიტერიუმებს აკმაყოფილებს, მას ფულის გამოჩენა არ სურს. მესამე ფაქტორი თავად თბილისის "დინამოს" გარშემო არსებული გაურკვევლობაა – რა ეკუთვნის კლუბს, შეუძლია თუ არა ახალ მეპატრონეს დილმის ბაზის საკუთრებაში გადაფორმება და საერთოდ, რა თავსატეხია დამალული ამ კლუბში. რა უფლება აქვს სპორტსაზოგადოება „დინამოს" კლუბის მართვაში და ხომ არაა შესაძლებელი, „დინამოს" ახალი მეპატრონე ოდესმე სპორტსაზოგადოების 10-პროცენტიანმა წილმა თამაშგარეთ დატოვოს? სპორტსაზოგადოების წილი ხომ კლუბში ტროას ცხენივითაა – ეს ბიზნესმენებმა კარგად იციან. ამიტომ, ვფიქრობ, ამ საკითხებში პოტენციულ მყიდველს მეტი სიცხადე სჭირდება.

„აზერისპორტი" წერს, თითქოს თბილისური კლუბის თავკაცებმა „გამოთქვეს ვარაუდი, რომ მყიდველთა შორის შესაძლოა აზერბაიჯანელი ბიზნესმენებიც იყვნენ". თავიდანვე ვთქვათ, რომ ეს არადამაჯერებელი ინფორმაციაა, მაგრამ ინტერნეტგაზეთი გულშემატკივრების აზრითაც დაინტერესდა.

აი, რა წერია აზერბაიჯანულ ფორუმებში:

*- ქართული ფეხბურთი ჩვენი ბიზნესის ხარჯზე არ უნდა განვითარდეს. ფინანსური პრობლემის გამო რამდენიმე კლუბი ჩემპიონატში აღარ მონაწილეობს, უჭირს "განჯას", "შამქირი" მოყვარულთა კლუბად იქცა, "კიურ-ნიური" აღარ თამაშობს...*

*- ჩვენ მეტი პერსპექტივა გვაქვს. თუ ვიყიდით, მხოლოდ ევროპულ კლუბებს, შემდეგ აზერბაიჯანელები რომ წავიყვანოთ.*

*- ეს ჩვენ სიამაყეს არ შეგვძენს.*

*- ერევნის „არარატი" ვიყიდოთ და აზერბაიჯანული სახელი დავარქვათ.*

*- ბიზნესმენებმა განავითარონ მხოლოდ აზერბაიჯანული ფეხბურთი.*

*- თბილისის „დინამო" ქართული „ნეფთჩია" – მდიდარი ისტორია გააჩნია.*

*- აზრი არ აქვს, იქ სუსტი ჩემპიონატია.*

*- არაზ აგალაროვმა და ტელმან ისმაილოვმა ძლიერი კლუბები იყიდონ და ახალგაზრდა აზერბაიჯანელები გაგზავნონ. ბავშვები ისწავლიან და ეს ჩვენი ფეხბურთის გარღვევაც იქნება. რად გვინდა თბილისის "დინამო"? "ინტერი", "ბაიერნი", "სევილია", "მილანი" ვიყიდოთ.*

"დინამოში" აზერბაიჯანელი ინვესტორის შესაძლო გამოჩენას ქართველი გულშემატკივრებიც გამოეხმაურნენ.

*- ამათ უყურე, დონეს გვიწუნებენ! ახლანდელი „დინამო" მაგათ ნებისმიერ კლუბს გახევს.*

*- არ მინდა აზერბაიჯანელი და სხვა ინვესტორი....*

*- კლუბს თუ სასიკეთოდ წაადგება, მოვიდეს რას ერჩი?*

*- „ჭ" კლასის აზერბაიჯანელი ფეხბურთელებით გაავსებს და გუნდის სახელს და პრესტიჟს არად ჩააგდებს.*

*- არაბები და ინდოელები რომ ყიდულობენ გუნდებს, მიყავთ თავისიანი ფეხბურთელები? აგერ „ბლექბერნი" ინდოელებმა იყიდეს, სასაცილო იქნება ინდოელები რომ მიიყვანონ.*

*- ჯობია, ვინმე ქართველმა ბიზნესმენმა ჩადოს ფული, მაგრამ თუ არ გამოჩნდა ეს ქართველი ბიზნესმენი, მერე რა გვეშველება?*

*- ახალ მეპატრონეს ფეხბურთი უნდა უყვარდეს ფანატიკურად, სამწუხაროდ ასეთი ბიზნესმენი არ მეგულება.*

*- საქმის დაწყებამდე რომ გითხრან, წელიწადში 300 ათასს (არადა რა სამასი) წააგებ და ის ბიზნესი დაიწყეო, დაიწყებთ? რა თქმა უნდა არა! გამოსავალი ან სახელმწიფო მიდგომის შეცვლაა (სამწუხაროდ ვერ ვხვდები ეს სამართლებრივად როგორაა შესაძლებელი) ან ფინანსების სხვანაირად მოზიდვა (ვისაც ფულის გათეთრება უნდა, იმასთან შეკვრა). მოკლედ, წრეში ვტრიალებთ*

*- ბიძინა ივანიშვილს შესთავაზეთ, შეიძლება „დინამოსგან" აღმოსავლეთის ვარსკვლავის გაკეთება, იმ დონის გუნდის, ლიგის ჯგუფში რომ შევიდეს. გუნდს წარმატებული ისტორია აქვს და ლიგის ჯგუფში გამოჩენა პოლიტიკურადაც წაგვადგება.*

ანეკდოტური ვითარებაა: თბილისის "დინამო" აზერბაიჯანელებისთვის არ შეუთავაზებიათ, ჩვენთან და სამეზობლოში კი უკვე მსჯელობენ, ღირს თუ არა აზერბაიჯანელების მოსვლა.



დიეგო ლობჟანიძე

კაცი სახელით

# დიეგო საქართველოშია

საქართველოში უცნაური სახელები აღარავის უკვირს, მაგრამ ლენსტალბერის (ლენინ-სტალინ-ბერია), ჯუსტანის (ჯუღაშვილ-სტალინი), პობედას, ვილენის (ვლადიმერ ილიას ძე ლენინი), დაზმირის (და ზდრავსტვუეტ მირ) და მსგავსთა შემდეგ სასიამოვნოდ გავოცდით, როდესაც ცხინვალის "სპარტაკის" განაცხადში ამოვიკითხეთ დიეგო ლობჟანიძე.

დიეგო ბევრ ცნობილ ფეხბურთელს ჰქვია - ფორლანს, მილიტოს, ტრისტანს... მაგრამ, ცხადია, ეს სახელი ჩვენთან მარადონასთან ასოცირდება. და თუ სამხრეთამერიკელ მოთამაშეთა შორის დიეგოების მთელი წყება ბუნებრივი ამბავია, საქართველოსთვის ეს სახელი უცხოა.

"ჩვენი" დიეგო "სპარტაკის" 18 წლის მარცხენა მცველია და ცხინვალელთა შემადგენლობაში წლევანდელ სეზონში გამოჩნდა.

ლობჟანიძისთვის სახელი ცნობილი მექსიკელი და ესპანელის მხატვრების, **დიეგო რივერას** ან **დიეგო ველასკესის** სიყვარულით არ შეურჩევიათ - მარადონათი აღფრთოვანებამ ერთ ქართულ ოჯახში ისე შეაღწია, რომ შვილს არგენტინელი მეგავარსკვლავის სახელი დაანათლეს.

*"რა თქმა უნდა, დიეგო მამაჩემმა მარადონას პატივსაცემად დამარქვა. 1986 წლის მექსიკის მსოფლიოს ჩემპიონატზე მარადონამ ინგლისს ზღაპრული გოლი რომ გაუტანა, მამაჩემს მაშინ უთქვამს, ბიჭი თუ მეყოლება, დიეგოს დავარქმევო და ასეც მოხდა. მე 1991 წელს დავიბადე და მართლა ასე გააკეთა. სახელმა ჩემს ცხოვრებაზე დიდი გავლენა მოახდინა. მამას ფეხბურთი ძალიან უყვარს, მეც მასავით შემიყვარდა და ვალდებულიც ვიყავი, ფეხბურთი მეთამაშა", - ამბობს ლობჟანიძე.*

დიეგო ლობჟანიძე ცხინვალელთა შემადგენლობაში თბილისის "დინამოს" დუბლშემადგენლობიდან მოხვდა. თუმცა, დიდი სეხნიისგან განსხვავებით, სიმაღლით ლამის ორი მეტრია...

*"ხუთი წელი თბილისის "დინამოს" აკადემიაში ვვარჯიშობდი, მერე ერთი წელი დუბლებში გამოვდიოდი, "სპარტაკში" კი წლეულს გადმოვედი. ჯერ დუბლებში მაკვირდებოდნენ, ახლა კი დამაწინაურეს და ძირითადში გადმომიყვანეს. ალბათ, უხერხულიც არის, დიეგო დუბლებში თამაშობდეს. ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით..."*

მარადონას სიყვარული მამისგან შვილსაც გადაედო და მისი ცხოვრება გასულ წელს ერთმა მოვლენამ გაალამაზა.

*"როდესაც მარადონა საქართველოში ჩამოვიდა, შევხვდი, მის პრესკონფერენციას დავესწარი, ბურთზე ავტოგრაფი ვთხოვე და ძალიან ბედნიერი ვიყავი, ამხელა ფეხბურთელი პირადად რომ ვნახე".*

გვერდი მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური ფეხბურთი

## კლასიკოს ბარომეტრი

### ინტერვიუ ჟოზე მოურინიოსთან



# მოურინიო: მე რომ პრეზიდენტი ვიყო, გვარდიოლას 50-წლიან კონტრაქტს გავუფორმებდი

## ლიგის მოგებაც შეგვიძლია და... ადრეულად გავარდნაც

გუშინ **ჟოზე მოურინიოს** ინტერვიუს ნაწილი შემოგთავაზეთ, რომელიც პორტუგალიელმა მწვრთნელმა ლონდონში, დაჯილდოებაზე ყოფნისას ფიფას ოფიციალურ საიტს მისცა. დღეს ამ ინტერვიუს სრულად მოგაწვდით.

**- როგორ ფიქრობთ, თქვენს გაწვრთნილ „რეალს“ აქვს შანსი ჩემპიონთა ლიგის ფინალში გასვლის?**

- დიახ, თუმცა ჩვენ შეიძლება მანამდეც გავვარდეთ. თუკი გამოცდილებამ რამე მასწავლა, პირველი ისაა, რომ ჩემპიონთა ლიგა ძალიან რთული ტურნირია. ამ შეჯიბრებაში ერთი უმნიშვნელო შეცდომაც შეიძლება ძალიან ძვირი დაგიჯდეს. ამიტომ ასე ვიტყოდი - ჩვენი ამოცანაა გადავლახოთ მერვედფინალური ეტაპი, ზღუდე, რომელიც „რეალს“ 2004 წლის მერე ვერ გადაულახავს.

**- ლონდონის გზაზე რომელი გუნდი გესახებათ უმთავრეს კონკურენტად?**

- ისინი, ვინც იყვნენ კიდეც ფავორიტები: „ჩელსი“ და „მანჩესტერ იუნაიტედი“ ინგლისიდან, „ინტერი“, „ბაიერნი“, „ბარსელონა“... საშიში ტურნირია, სადაც სასწაულის მოხდენა ძნელია, ისეთის, რაც „პორტუმ“ და „მონაკომ“ 2004 წელს მოახერხეს, როცა ლიგის ფინალში გავიდნენ.

**- ცოტა ხნის წინათ „სან სიროზე“ მოგიწიათ დაბრუნებამ, თავს როგორ გრძნობდით იქ?**

- „სან სიროზე“ დაბრუნება ძალიან ამაღელვებელი იყო, ასევე საინტერესო იქნება „სტემფორდ ბრიჯზე“ დაბრუნებაც, სადაც რამდენიმე კარგი სეზონი გავატარე. ძალიან კარგი შეგრძნებაა, როცა ერთი თამაშით თითქოს „სახლში“ ბრუნდები. მართლაც ბრწყინვალე იქნება, ერთხელაც „სან სიროზე“ გუნდის გამოყვანა მაშინ მომიწევს, როცა ტრიბუნები „ინტერისტებით“ იქნება გადავსებული. სხვათა შორის, „მილანთან“ თამაშისას ვგრძნობდი მათ მხარდაჭერას და მიხარია, ესე იგი ისინი ისევ ლოიალურად არიან ჩემ მიმართ განწყობილნი.

**- „მილანზე“ რას იტყვით, შესაძლო კონკურენტებში არ მოგიხსენიებიათ...**

- „მილანს“ ევროპის საუკეთესო თავდამსხმელები ჰყავს, მაგრამ „რეალმა“ იტალიურ გუნდს ორივე თამაშში აჯობა. ჩვენი იყო ინიციატივა, ბურთს ვაკონტროლებდით და ტემპსაც. ორ მატჩში 4 ქულა ავიღეთ, როცა შარშან „რეალმა“ მხოლოდ 1 ქულა აიღო „მილანთან“ დაპირისპირებაში. ბიჭებს კიდევ აკლიათ ჩემპიონთა ლიგის ნიუანსებში გარკვევა.

**- რატომ არ იყო ზლატან იბრაჰიმოვიჩის ბარსელონური კარიერა წარმატებული და მოიწვევდით თუ არა მას „რეალში“?**

- არ ვიცი და, სიმართლე გითხრათ, არც არის ჩემი საქმე. ერთს ვიტყვი, რომ ჩემი ხელმძღვანელობით „ინტერში“ 25 გოლით სერია A-ს ბომბარდირი გახდა და ერთი სერიოზული პრობლემაც არ მქონია მასთან ურთიერთობაში. მას ძალიან ვაფასებ და ვფიქრობ, ისიც მაღალი შეხედულებისაა ჩემზე. მას კი წამოვიყვანდი „რეალში“, მაგრამ ეს იყო შეუძლებელი. მას შემდეგ, რაც ლუიშ ფიგუს გადახდა, ალბათ, საუკუნეები გაივლის, სანამ „ბარსას“ ფეხბურთელი „რეალში“ გადავა, ან პირიქით.

**- თქვენ სამუელ ეტოო და დიდიე დროგბა გაგიწვრთნიათ, რა აზრის ხართ მათზე?**

>> მე-9 გვერდზე

## ჩემპიონთა ლიგა. V ტური

### A ჯგუფი

#### ინტერი–ტვენტე 1:0

**ინტერი:** კასტელაცი – კორდობა, მატერაცი, ლუსიო, ხ. ძანეტი – კამბიასო, სტანკოვიჩი – ბიაბიანი (80. სანტონი), სნეიდერი (87. ობიორა), პანდევი (90. ბირაგი) – ეტოო.

**ტვენტე:** მიხაილოვი – ლოიგერსი (80. ბუისე), ვისგერჰოფი, დუგლასი, როსალესი – იანსენი, დე იონგი, ბრამა – ჩადლი, იანკო (70. ლანდზაატი), რუისი.

**გოლი:** 1:0 კამბიასო (55)

**მაყურებელი:** 30 000

**არბიტრი:** ს. ლანუა (საფრანგეთი)

სტატისტიკა

**მატჩი დაიწყო: ტვენტე**

**პირველი კუთხური: ტვენტე**

**პირველი ჯარიმა: ინტერი**

**პირველი გაფრთხილება: ტვენტე**

| | | |
|---|---|---|
| 27 (9) | დარტყმა | 9(2) |
| 16 | ჯარიმა | 15 |
| 7 | კუთხური | 3 |
| 2 | გაფრთხილება | 1 |
| 51% | ბურთის ფლობა | 49% |

#### ტოტენჰემი–ვერდერი 3:0

**ტოტენჰემი:** გომესი – ჰატონი, გალასი, ქაბული, ასუ-ეკოტო – ჯენასი (19. პალასიოსი), ლენონი, მოდრიჩი, ბეილი (81. კრანჩარი) – პავლიუჩენკო (57. დეფო), კრაუჩი.

**ვერდერი:** ვიზე – ფრიტცი, მერტეზაკერი, პრიოდლი, დ. შმიდტი – ფ. კროოსი (55. აიკი), დ. იენსენი (86. პასანენი), ბარგფრედე, მარინი – ჰანტი (79. ტაი), ვაგნერი.

**გოლები:** 1:0 ქაბული (6), 2:0 მოდრიჩი (45), 3:0 კრაუჩი (79)

**მაყურებელი:** 36 310

**არბიტრი:** ო. ბენკერენშა (პორტუგალია)

54-ე წუთზე ბეილმა ვერ გამოიყენა პენალტი (მეკარე)

სტატისტიკა

**მატჩი დაიწყო: ვერდერი**

**პირველი კუთხური: ვერდერი**

**პირველი ჯარიმა: ტოტენჰემი**

**პირველი გაფრთხილება: ვერდერი**

| | | |
|---|---|---|
| 20(7) | დარტყმა | 8(1) |
| 13 | ჯარიმა | 26 |
| 6 | კუთხური | 1 |
| 0 | გაფრთხილება | 4 |
| 57% | ბურთის ფლობა | 43% |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ტოტენჰემი | 5 | 3 | 1 | 1 | 15-8 | 10 |
| 2. ინტერი | 5 | 3 | 1 | 1 | 12-8 | 10 |
| 3. ტვენტე | 5 | 1 | 2 | 2 | 6-8 | 5 |
| 4. ვერდერი | 5 | 0 | 2 | 3 | 3-12 | 2 |

### B ჯგუფი

#### ჰაპოელი თ.–ბენფიკა 3:0

**ჰაპოელი:** ენიეამა – ბონდარვი, დუგლასი, ფრანსმანი, ბენ დაიანი – ვერმუთი, აბუთბული (78. ბადეერი), იადინი, ზეჰავი – შეხტერი (58. შივონი), ტამუში (66. საჰარი).

**ბენფიკა:** რობერტო – მაქსი პერეირა, ლუიზაო, დავიდ ლუისი, ფაბიო კოენტრაუ – სალვიო (65. კარლუშ მარტინში), ხავი გარსია (79. ხარა), გაიტანი – აიმარი, სავიოლა (46. კარდოზო), ალან კარდესი.

**გოლები:** 1:0 ზეჰავი (24), 2:0 დუგლასი (74), 3:0 ზეჰავი (90)

**მაყურებელი:** 12 000

**არბიტრი:** ა. ჰამერი (ლუქსემბურგი)

სტატისტიკა

**მატჩი დაიწყო: ბენფიკა**

**პირველი კუთხური: ჰაპოელი**

**პირველი ჯარიმა: ჰაპოელი**

**პირველი გაფრთხილება: ბენფიკა**

| | | |
|---|---|---|
| 11(6) | დარტყმა | 25(5) |
| 17 | ჯარიმა | 17 |
| 2 | კუთხური | 21 |
| 3 | გაფრთხილება | 1 |
| 42% | ბურთის ფლობა | 58% |

#### შალკე–ლიონი 3:0

**შალკე:** ნოიერი – უჩიდა, ჰიოვედესი, მეტცელდერი, შმიტცი – ფარფანი (65. ედუ), კლუგე, ჯონსი (70. მატიპი), ხურადო (85. დეასი) – ჰუნტელაარი, რაული.

**ლიონი:** ლორისი – რევეიერი, დიაკატე, ლოვრენი, სისოხო (46. გომისი) – გურკუფი (60. პიანიჩი), ტულალანი, კალსტრიომი – მიშელ ბასტოსი, ბრიანი – ლისანდრო ლოპესი (74. პიედი).

**გოლები:** 1:0 ფარფანი (13), 2:0 ჰუნტელაარი (20), 3:0 ჰუნტელარი (89)

**მაყურებელი:** 55 000

**არბიტრი:** ნ. რიცოლი (იტალია)

სტატისტიკა

**მატჩი დაიწყო: ლიონი**

**პირველი კუთხური: შალკე**

**პირველი ჯარიმა: შალკე**

**პირველი გაფრთხილება: შალკე**

| | | |
|---|---|---|
| 13(7) | დარტყმა | 12(7) |
| 17 | ჯარიმა | 14 |
| 8 | კუთხური | 7 |
| 2 | გაფრთხილება | 2 |
| 37% | ბურთის ფლობა | 63% |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შალკე | 5 | 3 | 1 | 1 | 8-2 | 10 |
| 2. ლიონი | 5 | 3 | 0 | 2 | 9-8 | 9 |
| 3. ბენფიკა | 5 | 2 | 0 | 3 | 6-10 | 6 |
| 4. ჰაპოელი თ. | 5 | 1 | 1 | 3 | 5-8 | 4 |

### C ჯგუფი

#### რეინჯერსი–მანჩესტერი 0:1

**რეინჯერსი:** მაკგრეგორი – ს. დევისი, ვაიტეკერი, ბროუდფუტი, ვეირი, ფოსტერი – ნეისმიტი, მაკკალოჰი, ჰატონი, ვაისი (80. ფლეკი) – კ. მილერი.

**მანჩესტერი:** ვან დერ სარი – ოში, ევანსი, სმალინგი, ფაბიო – გიგზი, ქერიკი, სქოულზი (67. ანდერსონი), ნანი (77. ობერტანი) – ბერბატოვი (76. ერნანდესი), რუნი.

**გოლი:** 0:1 რუნი (87. პენ.)

**მაყურებელი:** 35 000

**არბიტრი:** მ. ბუსაკა (შვეიცარია)

სტატისტიკა

**მატჩი დაიწყო: რეინჯერსი**

**პირველი კუთხური: რეინჯერსი**

**პირველი ჯარიმა: მანჩესტერი**

**პირველი გაფრთხილება: რეინჯერსი**

| | | |
|---|---|---|
| 9(2) | დარტყმა | 23(7) |
| 7 | ჯარიმა | 14 |
| 1 | კუთხური | 13 |
| 3 | გაფრთხილება | 0 |
| 37% | ბურთის ფლობა | 63% |

#### ვალენსია–ბურსა 6:1

**ვალენსია:** მოია (23. გუაიატა) – ბრუნო, რიკარდო კოშტა, მადურო, ხორდი ალბა – ხოაკინი, ტინო კოშტა, ალბელდა, მატა – ადურისი (61. დომინგესი), სოლდადო (71. ისკო).

**ბურსა:** ივანკოვი – კეჩელი, ოზთურქი, ომერ ერდოლანი, ვედერსონი (46. სერდარ აზიზი) – ინსუა, ერგიჩი (59. ბატალია), გ. სვენსონი, სენი – ილდირიმი (84. ოდაბასი), თურლაი ბაჰადირი.

**გოლები:** 1:0 მატა (17. პენ.), 2:0 სოლდადო (21), 3:0 ადურისი (30), 4:0 ხოაკინი (37), 5:0 სოლდადო (55), 5:1 ბატალია (69), 6:1 დომინგესი (78)

**მაყურებელი:** 26 000

**არბიტრი:** ბ. პეიშაო (პორტუგალია)

სტატისტიკა

**მატჩი დაიწყო: ვალენსია**

**პირველი კუთხური: ვალენსია**

**პირველი ჯარიმა: ბურსა**

**პირველი გაფრთხილება: ბურსა**

| | | |
|---|---|---|
| 15(12) | დარტყმა | 10(3) |
| 17 | ჯარიმა | 16 |
| 4 | კუთხური | 3 |
| 2 | გაფრთხილება | 2 |
| 55% | ბურთის ფლობა | 45% |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩესტერი | 5 | 4 | 1 | 0 | 6-0 | 13 |
| 2. ვალენსია | 5 | 3 | 1 | 1 | 14-3 | 10 |
| 3. რეინჯერსი | 5 | 1 | 2 | 2 | 2-5 | 5 |
| 4. ბურსა | 5 | 0 | 0 | 5 | 1-15 | 0 |

### D ჯგუფი

#### რუბინი–კოპენჰაგენი 1:0

**რუბინი:** რიჟიკოვი – კალეშინი (85. სალუქვაძე), სესარ ნავასი, ბოკეტი, ანსალდი – რიაზანცევი, ნობოა, ნაჩო, კასაევი (69. ბისტროვი) – გიოქდენიზ ყარადენიზი, კორნილენკო (81. მედვედევი).

**კოპენჰაგენი:** ვილანდი – პოხაუზი, იორგენსენი, ანტონსონი, ვენდტი – ბოლანოსი, კვისტი, კლაუდემირი, ვინგაარდი (73. ზოჰორე) – ნ'დოიე, გრონკიაერი.

**გოლი:** 1:0 ნობოა (45. პენ.)

**მაყურებელი:** 14 000

**არბიტრი:** მ. ატკინსონი (ინგლისი)

სტატისტიკა

**მატჩი დაიწყო: რუბინი**

**პირველი კუთხური: კოპენჰაგენი**

**პირველი ჯარიმა: კოპენჰაგენი**

**პირველი გაფრთხილება: კოპენჰაგენი**

| | | |
|---|---|---|
| 7(2) | დარტყმა | 14(3) |
| 14 | ჯარიმა | 16 |
| 4 | კუთხური | 7 |
| 2 | გაფრთხილება | 2 |
| 45% | ბურთის ფლობა | 55% |

#### პანათინაიკოსი–ბარსელონა 0:3

**პანათინაიკოსი:** ცორვასი – ვინტრა, ბუმსონგი, კანტე, სპიროპულოსი – მარინოსი (46. დიმუცოსი), კაცურანისი (67. პლესისი), ჟილბერტო სილვა, ლუის გარსია (63. პეტროპულოსი) – ხრისტოდოლოპულოსი – სისე.

**ბარსელონა:** ვალდესი – დანი ალვეში, პიკე (72. აბიდალი), პუიოლი, ადრიანო (76. მაქსველი) – ხავი (71. კეიტა), მასკერანო, ინიესტა – პედრო, მესი – ვილია.

**გოლები:** 0:1 პედრო (27), 0:2 მესი (63), 0:3 პედრო (69)

**მაყურებელი:** 50 000

**არბიტრი:** ჯ. როკი (იტალია)

სტატისტიკა

**მატჩი დაიწყო: ბარსელონა**

**პირველი კუთხური: ბარსელონა**

**პირველი ჯარიმა: ბარსელონა**

**პირველი გაფრთხილება: ბარსელონა**

| | | |
|---|---|---|
| 3 (1) | დარტყმა | 16(9) |
| 11 | ჯარიმა | [illegible] |
| 1 | კუთხური | 5 |
| 1 | გაფრთხილება | 1 |
| 21% | ბურთის ფლობა | 79% |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 5 | 3 | 2 | 0 | 12-3 | 11 |
| 2. კოპენჰაგენი | 5 | 2 | 1 | 2 | 4-4 | 7 |
| 3. რუბინი | 5 | 1 | 3 | 1 | 2-2 | 6 |
| 4. პანათინ. | 5 | 0 | 2 | 3 | 1-10 | 2 |

ლევან ჯანეზაშვილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. სამშაბათის მატჩების მიმოხილვა

# ქოუზეს დადგმული სპექტაკლი

## ...და როგორ გაპაზორდა რუსეთის სახალხო გუნდი

„რეალმა" „აიაქსი" გაანადგურა და ორმა მადრიდელმა წითელი ბარათი ძალით მიიღო; „ჩელსი" „ჟილინას" გადახალისებული შემადგენლობით ეთამაშა და სირცხვილს ძლივს გადაურჩა; ბელგრადში უკრაინელები თურმე ძალიან უყვართ, რომში კი „ბაიერნმა" თავი გაისულელა...

განცდები და რეაქციები სამშაბათის მატჩების მიმოხილვაში:

### E ჯგუფი

### რომა–ბაიერნი 3:2

**გოლები:** 0:1 გომესი (34), 0:2 გომესი (39), 1:2 ბორიელო (49), 2:2 დე როსი (81), 3:2 ტოტი (84-პენ)

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** მარიო გომესი (ბაიერნი)

ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე ზედიზედ ხუთი მატჩი არც ერთ გერმანულ გუნდს არ ჰქონდა მოგებული და სხვა რომელი ბუნდესკლუბი იქნებოდა ასეთ მიღწევასთან ახლოს, თუ არა მიუნხენის „ბაიერნი". გერმანიის „მარადმწვანე ჩემპიონი" მეხუთე თამაშის თავის სასარგებლოდ დასრულებასთან იმდენად ახლოს იყო, რომ მეტი არ შეიძლება: რეკორდმაისტერი **მარიო გომესის** დუბლის წყალობით „რომას" თავის ნახევრადსავსე „ოლიმპიკოზე" 2:0-ს უგებდა...

„ბაიერნს" მართლაც დაემართა ისეთი რამ, რაც მანამდე არასდროს მოსვლია, მაგრამ უარყოფითი თვალსაზრისით: გერმანიის სიამაყემ არსებობის ისტორიაში, ევროტურნირზე ორბურთიანი უპირატესობა პირველად გაანიავა და მოგებული თამაში ძალიან სულელურად წააგო.

არადა, მიუნხენელები მთელი პირველი ტაიმის მანძილზე მკაცრად დომინირებდნენ, გომესმა ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშებაში თავისი მეხუთე და მეექვსე გოლებიც გაიტანა და შესვენებისას კაციშვილი ვერ იტყოდა, მიუნხენელებს მეორე ტაიმში პრობლემები შეექმნებათო. მოკლედ, „რომამ" „ბაიერნს" დამართა ის, რასაც „ბაიერნი" და საერთოდ გერმანელები რასაც ისინი სჩადიან სხვებთან დაპირისპირებისას: მეორე ნახევარში **მარკო ბორიელომ, დანიელე დე როსიმ** და **ფრანჩესკო ტოტიმ** (რა თქმა უნდა, პენალტით, ოღონდ სამართლიანით) თამაში თავიანთ სასარგებლოდ შეატრიალეს. მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად გომესს ვასახელებთ, რაც ლოგიკურია, მაგრამ არ შეიძლება, არ აღვნიშნოთ ბავარიელთა სათადარიგო კიპერ **თომას კრაფტის** ძალიან კარგი თამაში. მართალია, სამი გოლი გაუშვა, მაგრამ იმდენად კარგად ითამაშა, რომ შესაძლოა, „ბაიერნის" ხელმძღვანელებმა ახალი მეკარის ყიდვა გადაიფიქრონ და **ჰანს-იორგ ბუტის** ფეხბურთიდან წასვლის შემდეგ, კარი კრაფტს ჩააბარონ.

### ბაზელი–კლუჟი 1:0

**გოლი:** 1:0 ალმერარესი (15)

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** ფედერიკო ალმერარესი (ბაზელი)

საშუალო დონის ფეხბურთი, საშუალო ტემპი და **ფედერიკო ალმერარესის** სწრაფი გოლი, რომელმაც ამ მატჩის ბედი გადაწყვიტა. „ბაზელმა" უკეთესი გუნდის შთაბეჭდილება დატოვა და შესაბამისად, შვეიცარიელების გამარჯვება დამსახურებულია. აღსანიშნავია, რომ „ბაზელს" „რომასთან" ურთიერთშეხვედრებში უპირატესობა აქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ ბოლო ტურში რომაელები „კლუჟთან" დამარცხდებიან, ხოლო „ბაზელი" კი „ბაიერნს" მოუგებს, იტალიური კლუბი ჯგუფში ჩარჩება, მაგრამ დაგვეთანხმებით, ეს უტოპიაა...



მსაჯი კრეიგ ტომსონი სერხიო რამოსს მოედნიდან აძევებს - რეალის მცველსაც სწორედ ეს უნდოდა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 5 | 4 | 0 | 1 | 13-6 | 12 |
| 2. რომა | 5 | 3 | 0 | 2 | 9-10 | 9 |
| 3. ბაზელი | 5 | 2 | 0 | 3 | 8-8 | 6 |
| 4. კლუჟი | 5 | 1 | 0 | 4 | 5-11 | 3 |

### F ჯგუფი

### სპარტაკი–მარსელი 0:3

**გოლები:** 0:1 ვალბუენა (18), 0:2 რემი (54), 0:3 ბრანდაო (68)

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** მატიო ვალბუენა (მარსელი)

ორივე გუნდის ფეხბურთელები, მწვრთნელები და ხელმძღვანელები თამაშის წინ ამბობდნენ, ეს ჩვენთვის წლის ყველაზე მნიშვნელოვანი მატჩიაო. ასეთი მნიშვნელობის შესაბამისად კი მხოლოდ მარსელის ფეხბურთელები იქცეოდნენ, მოსკოველებმა კი ფეხი ვერ გაანძრიეს - თუ შეიძლება, რომ ასე ითქვას. ფრანგები პირველივე წუთიდან დაეუფლნენ ინიციატივას და „სპარტაკს" შტურმი მოუწყვეს. შედეგმაც არ დააყოვნა: „ოლიმპიკი" მე-18 წუთზე **ვალბუენას** ულამაზესი გოლით დაწინაურდა. მოსკოველები აბსოლუტურად უაზრო ფეხბურთს თამაშობდნენ - თითქოს ვერ გადაეწყვიტათ, როგორი სტრატეგიით ემოქმედათ. თუკი პირველ ტურში, „ველოდრომზე" დაცვაში იდგნენ, კონტრშეტევებზე იკბინებოდნენ და შედეგსაც მიაღწიეს, საკუთარ „ლუჟნიკებზე" თავი ვალდებულად მიიჩნიეს, შეეტიათ და სწორედ აქ შეცდნენ. ან არც შეცდნენ და უბრალოდ, ვერაფერი მოახერხეს გაცილებით ჩამოყალიბებული, ტაქტიკურად განსწავლული, მონდომებული და დისციპლინირებული „მარსელის" წინააღმდეგ, რომელიც სავსებით სამართლიანად გავიდა მერვედფინალში. ერთი სიტყვით, **დიდიე დეშამმა ვალერი კარპინს** აჯობა და თანაც, ძალიან.

მატჩის შემდეგ, მოსკოველთა შოტლანდიელმა გარემარბმა გულახდილად თქვა, ისე ცუდად ვითამაშეთ, რომ მერვედფინალში გასვლას ნამდვილად არ ვიმსახურებდითო. მოგვიანებით, „სპარტაკის" ფანებმა გუნდის ავტობუსს ალყა შემოარტყეს და ნახევარი საათის განმავლობაში „პაზორ, პაზორ-ს" სკანდირებდნენ...

### ჩელსი–ჟილინა 2:1

**გოლები:** 0:1 ბელო (19), 1:1 სტარიჯი (51), 2:1 მალუდა (86)

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** დენიელ სტარიჯი (ჩელსი)

**კარლო ანჩელოტიმ** ძირითადი შემადგენლობა მოლოდინისამებრ გადაახალისა და „ბირმინგემთან" მატჩისგან განსხვავებით, სასტარტოში ხუთი ახალი ფეხბურთელი გაამწესა. მათ შორის იყო მეკარე **როს ტერნბული**, რომელმაც **პეტრ ჩეხი** შეცვალა. „ჩელსის" თერთმეტეულს მთლად მეორე შემადგენლობაც არ ეთქმოდა, ეს უფრო საუკეთესო B გუნდი გახლდათ, რომლის წევრებს პირველ ტაიმში ფაქტობრივად არაფერი უკეთებიათ, რის გამოც „ჟილინა" იგებდა. ლონდონელებს კი არც ჩამოყალიბებული სტრუქტურა ეტყობოდათ და დომინაციაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

როგორც ჩანს, შესვენებაზე ანჩელოტის შეგირდებთან მკაცრი საუბარი ჰქონდა, რადგან „არისტოკრატებმა" მატჩის მეორე ნახევარი სულ სხვანაირად დაიწყეს. პირველ რიგში ეს **დენიელ სტარიჯზე** ითქმის, რომელიც 46-ე წუთიდან უფრო და უფრო უმატებდა, რამაც „ჟილინას" დაცვის მარტივ მამრავლებად დაშლა გამოიწვია. მოკლედ, მეორე ნახევარში სტუმრების მცველებს დიდი თავგადასავლები გადახდათ - ანგარიში თვითონ სტარიჯმა გაათანაბრა, გამარჯვების გოლი კი **ფლორენ მალუდას** ანგარიშზეა. ფრანგმა ჩემპიონთა ლიგაში გოლი ორწლიანი (!) პაუზის მერე გაიტანა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩელსი | 5 | 5 | 0 | 0 | 14-3 | 15 |
| 2. მარსელი | 5 | 3 | 0 | 2 | 11-3 | 9 |
| 3. სპარტაკი | 5 | 2 | 0 | 3 | 5-9 | 6 |
| 4. ჟილინა | 5 | 0 | 0 | 5 | 2-17 | 0 |

### G ჯგუფი

### ოსერი–მილანი 0:2

**გოლები:** 0:1 იბრაჰიმოვიჩი (64), 0:2 რონალდინიო (91)

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** ალესანდრო ნესტა (მილანი)

„მილანმა" ისე ითამაშა, როგორც მიჩვეულები ვართ: იტალიელებმა დაცვითი სტილით დაიწყეს, შეტევაში კი მხოლოდ **ზლატან იბრაჰიმოვიჩის** მისამართით განხორციელებული მაღალი ჩაწოდებებით შემოიფარგლებოდნენ, რითაც „ოსერი" გამოიწვიეს და შეტევებისკენ უბიძგეს. ფრანგების იერიშებს შედეგი არ მოჰყოლია, რადგან „როსონერის" დაცვა, განსაკუთრებით კი **ალესანდრო ნესტა** ბრწყინვალედ თამაშობდა. მეორე ტაიმში კი უკვე „მილანმა" შეუტია და თანაც ისე, რომ „ოსერის" ფეხბურთელები გაოცებულები დარჩნენ.

რაც ყველაზე საინტერესოა, „როსონერის" ფეხბურთელებმა „ოსერის" კარში ზუსტად მხოლოდ ორჯერ დაარტყეს და ორივე შემთხვევაში გოლი გავიდა. ერთი სიტყვით, „ოსერის" დარ გუნდებთან „მილანს" „კატენაჩო" თავისუფლად ჰყოფნის („როსონერიმ" ფრანგულ კლუბს ორივე თამაში 2:0 მოუგო) და რაკი „რეალმა" „აიაქსი" გაანადგურა, მილანელებმა ჯგუფური ეტაპის დასრულებამდე ერთი ტურით ადრე თავი მერვედფინალში ამოყვეს.

### აიაქსი–რეალი 0:4

**გოლები:** 0:1 ბენზემა (36), 0:2 არბელოა (44), 0:3 რონალდო (70), 0:4 რონალდო (81-პენ)

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** კრიშტიანო რონალდო (რეალი)

მერე რა, რომ მერვედფინალში თამაში უკვე გარანტირებული ჰქონდათ და მხოლოდ პირველ ადგილზე გასვლა იყო მათი მოტივაცია; მერე რა, რომ „ელ კლასიკოს" სახით წინ სეზონის ერთ-ერთი უმთავრესი მატჩი ელით - მადრიდის „რეალის" ფეხბურთელებმა ამსტერდამში კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ „სამეფო გუნდი" ან „გალაქტიკოები" მათთვის ზედგამოჭრილი ეპითეტებია: „რეალი" დაფრინავს!

შესაძლოა, ასეთი შეფასება ბევრს გადაჭარბებულად მოეჩვენოს, მაგრამ სხვა თუ არაფერი, „რეალმა" ამსტერდამში ხომ 4:0 მოიგო და თანაც, არ დაგავიწყდეთ, როგორი პენალტი დაარტყა ეგოისტმა **კრიშტიანო რონალდომ**. და მერე რა, რომ „აიაქსის" მთავარი მწვრთნელი **მარტინ იოლი** მატჩის წინ მადრიდელ ვიზავის, **ჟოზე მოურინიოს** რამდენიმე წუთის განმავლობაში ესაუბრებოდა. ფაქტია, რომ პორტუგალიელმა მას არც ერთი საიდუმლო, არც ერთი იდეა არ გაუმხილა.

მატჩის მიწურულს „რეალმა", როგორც მოურინიოს გუნდებს სჩვევიათ ხოლმე, ცოტათი აურია, რასაც მოჰყვა კიდეც ჯერ **ჩაბი ალონსოს**, მერე კი **სერხიო რამოსის** გაძევებები. მაგრამ აურია რო? ამ ფეხბურთელებს ყვითელი ბარათები ჰქონდათ. თამაშის დასრულებამდე რამდენიმე წუთით ადრე კი სათადარიგო მეკარე **ირჟი დუდეკმა იკერ კასილიასს** რაღაც ჩასჩურჩულა, რის შემდეგაც, ნაღდად არავინ იფიქრებს, დამთხვევა იყოო ის, რომ ალონსომ და რამოსმა მეორე გაფრთხილებები ფაქტობრივად ძალით აიკიდეს. მთელი ამ თეატრის მთავარი მიზეზი კი, ვგონებთ, ესაა: ალონსომ და რამოსმა ამ გაძევებებით თავიდან აიცილეს მერვედფინალში დისკვალიფიკაციები და თუ ასეა, მაშინ ორივე მოთამაშის გაძევება ასი პროცენტით გამართლებულია.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 5 | 4 | 1 | 0 | 11-2 | 13 |
| 2. მილანი | 5 | 2 | 2 | 1 | 7-5 | 8 |
| 3. აიაქსი | 5 | 1 | 1 | 3 | 4-10 | 4 |
| 4. ოსერი | 5 | 1 | 0 | 4 | 3-8 | 3 |

### H ჯგუფი

### ბრაგა–არსენალი 2:0

**გოლები:** 1:0 მატეუში (83), 2:0 მატეუში (92)

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** მატეუში (ბრაგა)

ლონდონის „არსენალს" 4 ტურის შემდეგ 15 გოლი ჰქონდა გატანილი - უფრო მეტი, ვიდრე H ჯგუფის სხვა სამ წარმომადგენელს ერთად. ბრაგაში კი „მეთოფეებმა" ვერაფერი გააწყვეს - მიუხედავად იმისა, რომ ბურთის ფლობის მხრივ საკმაოდ დიდი უპირატესობა ჰქონდათ და ზუსტი პასების მხრივაც. გოლები მატჩის მიწურულს გავიდა, მანამდე კი, უნდა აღინიშნოს, ლონდონელები თერთმეტმეტრიანს იმსახურებდნენ: შეცვლაზე შესული **კარლოს ველა როდრიგესმა** საჯარიმოში დასცა, მაგრამ მსაჯმა **ვიქტორ კასაიმ** პენალტი არ დანიშნა, ველას კი მსახიობობა დააბრალა და ყვითელი ბარათი აუფრიალა. მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი კი ულაპარაკოდ **მატეუშია** - არა მარტო იმიტომ, რომ ლონდონელთა კარში ორივე გოლი მან გაიტანა, არამედ, პირველ რიგში იმის გამო, რომ მთელი მატჩის განმავლობაში საუკეთესო იყო.

### პარტიზანი–შახტარი 0:3

**გოლები:** 0:1 სტეპანენკო (52), 0:2 ჟადსონი (59), 0:3 ედუარდო (68)

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** ჟადსონი (შახტარი)

ბელგრადში ყინავდა, რის გამოც ორივე გუნდის ფეხბურთელებმა პირველი ტაიმი მარტო გახურებას მოანდომეს. მატჩის მეორე ნახევარი კი ხუთწუთიანი დაგვიანებით დაიწყო, რადგან არბიტრი **ფრანკ დე ბლეეკერე** გასახდელიდან გვიან გამოვიდა. სწორედ მეორე ტაიმში მოუნდათ უკრაინელებს სერბებისთვის დიდი ომის გაჩაღება და რაკი „პარტიზანისგან" წინააღმდეგობას არ გადააწყდნენ, თამაში საკმაოდ მარტივად მოიგეს. ბელგრადელები კი იდგნენ და უყურებდნენ, როგორ თამაშობდა „შახტარი". ვილიანმა, ჟადსონმა და კომპანიამ გაწონასწორებული მატჩი ერთი მსახიობის თეატრად ზუსტად თხუთმეტ წუთში გადააქციეს.

რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ბელგრადელ გულშემატკივრებს მწუხარებისა არაფერი დასტყობიათ: „შახტარი" ხომ ტაშით გააცილეს და არც თავიანთი გუნდის ფეხბურთელებისთვის უსტვენიათ. პირიქით, მღეროდნენ და ხალისობდნენ. პრინციპში, სატირალი არც ჰქონდათ - „შახტარს" ჩემპიონთა ლიგიდან გავარდნა ხომ ამ თამაშამდე ჰქონდა განაღდებული...

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შახტარი | 5 | 4 | 0 | 1 | 10-6 | 12 |
| 2. არსენალი | 5 | 3 | 0 | 2 | 15-6 | 9 |
| 3. ბრაგა | 5 | 3 | 0 | 2 | 5-9 | 9 |
| 4. პარტიზანი | 5 | 0 | 0 | 5 | 1-10 | 0 |

გოტფრიდ ლენცი

### ატლეტიკოს მცველი ბაიერნში?

„ბაიერნი" იანვრისთვის ახალ მცველს რომ ეძებს, ამის შესახებ მკითხველი ინფორმირებულია. ახალი ის არის, რომ გერმანული და ესპანური მედიის ცნობით, მიუნხენელთა ინტერესის არეალში მადრიდის „ატლეტიკოს" მცველი **ალვარო დომინგესიც** მოხვდა. ბავარიელები 21 წლის ნიჭიერ უკანახაზელს **მარტინ დემიკელისის** შემცვლელად მოიაზრებენ. დომინგესს მადრიდულ კლუბთან კონტრაქტი 2013 წლამდე აკავშირებს და ესპანური „ასის" ცნობით, მისი ფასი 12 მილიონი ევროა.

## უცხოური ფეხბურთი

ვარსკვლავის დაბრუნება

# ვიდეორუნი ბოდიშის გარეშე


რუნი დაბრუნებით გახარებულა

**უეინ რუნიმ** „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფანებს ტელეეკრანიდან მიმართა – გაზეთებში ამას დანაშაულის გამოსყიდვის მცდელობა დაარქვეს. წერენ, რომ რუნი გულშემატკივრის წინაშე ჩადენილის გამოსწორებას ჯერ კიდევ პრემიერლიგის ბოლო ტურიდან შეუდგა, როდესაც „უიგანთან“ შეხვედრაში მოედანზე 35 წუთით შეუშვეს და... ფორვარდმა გოლის გატანის ერთი აშკარა შესაძლებლობა გაუშვა ხელიდან. მოგეხსენებათ, ის კარგა ხანს არ თამაშობდა. სკანდალური ისტორიების შემდეგ სერ **ალექს ფერგიუსონმა** გაათავისუფლა და ხან მეუღლესთან ერთად დუბაიში ისვენებდა, ხანაც ამერიკაში გახლდათ კოჭის სამკურნალოდ. მოგეხსენებათ ისიც, თუ რაზე შემოსწყრა მანჩესტერელი ქომაგი თავდამსხმელს – ის გუნდიდან წასვლით იმუქრებოდა, ხოლო, როდესაც ჯამაგირი კვირაში 250 ათას ფუნტამდე გაუზარდეს, დაწყნარდა. მოკლედ, კაცისგან, რომელიც ძალიან უყვარდათ და ერთგულების მაგალითად მიაჩნდათ, ასეთი საქციელი შანტაჟს ჰგავდა.

და აი, ტელემიმართვა, რომელშიც... ყველაფერი იყო ერთი სიტყვის გარდა, არადა, ფანების დიდი ნაწილი სწორედ ამ სიტყვას ელოდა – ბოდიშზე მოგახსენებთ. სხვათა შორის, ბოდიშის თემა თავად ფერგიუსონისგან მოდის. სერ ალექსმა ჯერ კიდევ ოქტომბერში თქვა, რომ როდესაც რუნი საქმეს დაუბრუნდებოდა, აუცილებლად ითხოვდა პატიებას იმისთვის, რაც ჩაიდინა. ბოდიშის ნაცვლად ფორვარდმა თქვა:

*„მოვიტყუები, რომ ვთქვა თითქოს, დაბრუნების წინ ფანების რეაქციაზე არ ვფიქრობდი და ის ჩემთვის სულერთი იყო. საბედნიეროდ, ხალხმა შესანიშნავად მიმიღო. ამის შემყურეს ერთადერთი, რაც მინდოდა, მოედანზე გასვლა და თანაგუნდელების დახმარება, გოლების გატანა იყო.*

*კარგად მესმის ფანების გალიზიანების ამბავიც. საკონტრაქტო მოლაპარაკებები საჯაროდ არ უნდა წარმართულიყო. იმან, რომ ამ მოლაპარაკებების შესახებ ყველამ იცოდა, საქმე გაართულა, მაგრამ ჩემი და კლუბის სანაქებოდ უნდა ითქვას, რომ ჩვენ მაინც გამოვნახეთ საერთო ენა. გავიგე ჭორებიც, თითქოს მე „მანჩესტერ იუნაიტედის“ გარდა სხვა კლუბებთანაც ვაწარმოებდი მოლაპარაკებებს და „იუნაიტედს“ ასეთი ხერხით დავანიშვნინე მაღალი ხელფასი. ეს სისულელე და ტყუილია. მე მოლაპარაკებებს მხოლოდ „მანჩესტერ იუნაიტედთან“ ვაწარმოებდი, რადგან მომავალი ამ კლუბს დავუკავშირე“.*

სხვათა შორის, კლუბის ბანაკიდან, ამ ვიდეომიმართვასთან დაკავშირებით, ორი ხმა გამოვიდა. ერთის თანახმად მიმართვა ალექს ფერგიუსონის იდეაა ანუ რუნის ჩართული კამერის წინაშე ლაპარაკი მწვრთნელმა აიძულა, მეორის თანახმად კი იდეა თავად ფეხბურთელს ეკუთვნის. თუმცა, ასეა თუ ისე, „მანჩესტერ იუნაიტედში“ წარსულის დავიწყება და მხოლოდ მომავალზე ფიქრი გადაუწყვეტიათ. ყოველ შემთხვევაში, როდესაც ფერგიუსონს ჰკითხეს, რატომ არ უხდის მიმართვაში რუნი გულშემატკივარს ბოდიშს, უპასუხა, რომ ამ მიმართვის შესახებ საერთოდ არაფერი იცოდა.

ვიდეომიმართვაში რუნიმ დეტალურად ილაპარაკა ამერიკაში გატარებულ დღეებზე. ყოველდღე დილის 9 საათიდან საღამოს 7 საათამდე ვვარჯიშობდიო, ამბობს თავდამსხმელი.

კიდევ, მართალია, ფეხბურთელი პირდაპირ არ ამბობს, მაგრამ რჩება შთაბეჭდილება, რომ მის გარშემო აჟიოტაჟის ატეხაში მასმედიას ადანაშაულებს. ის ხაზგასმით ამბობს, რომ თანაგუნდელებთან არასდროს პრობლემა არ ჰქონია და ამაში, „რეინჯერსთან“ თამაშის წინ გამართულ პრესკონფერენციაზე **ჯონი ევანსიც** დაიმოწმა.

ფერგიუსონმა კი ასე ბრძანა: *„უეინ რუნი ფიზიკურად შესანიშნავად არის მომზადებული. მართალია, ბურთით ვარჯიში ჯერ აშკარად აკლია, ორი-სამი თამაშის შემდეგ ყველაფერი კარგად იქნება“.*

ვესტ ჰემის ამბები

# დაცვას დაუნესი მიხედავს

რასაც ახლა გეტყვით, ორიოდ დღეში ოფიციალურად გამოცხადდება: „ვესტ ჰემის“ მწვრთნელს **ავრამ გრანტის** ასისტენტად **უოლი დაუნესი** იმუშავებს. 49 წლის დაუნესი, რომელსაც ფეხბურთი 1979-1988 წლებში უთამაშია, ხოლო 2002-2004 წლებში „ბრენტფორდს“ წვრთნიდა, სამსახურიდან გაშვებულ **ჟელიკო პეტროვიჩს** შეცვლის. პეტროვიჩზე ორიოდ დღის წინ ვწერდით – მას ფეხბურთელები ვერ შეეგუვნენ. მოთამაშეებს მისი არც ქცევა მოეწონათ (ძალიან ქედმაღალი ვინმე ბრძანდებაო) და არც ვარჯიშები – პრემიერლიგაში წარმატების მისაღწევად ყოველ ვარჯიშზე ბოლომდე დახარჯვაა საჭირო, პეტროვიჩი კი ამას ვერ ახერხებდა.

„ჩაქუჩთა“ მეპატრონეებს, **დევიდ სალივანსა და დევიდ გოლდს** იმედი აქვთ, რომ გრანტი დაუნესის დახმარებით მოახერხებს იმას, რაც პეტროვიჩთან ერთად ვერ შეძლო – აღმოსავლეთლონდონელებს პრემიერლიგის ფსკერიდან სადმე, ცხრილის შუაში გადაიყვანს. დაუნესი, ძირითადად, „ვესტ ჰემის“ დაცვის მოსარჯულებლად აიყვანეს სამსახურში – გუნდს მიმდინარე სეზონში 25 გოლი აქვს გაშვებული.

ბოლოს სად მუშაობდა უოლი დაუნესი? „საუთჰემპტონში“ **ალან პერდიუს** მწვრთნელთა შტაბის ერთ-ერთი წევრი იყო, მაგრამ, აგვისტოში სამსახურიდან გაუშვეს. მანამდე, **სტივ კოპელს** „რედინგის“ გაწვრთნაში ეხმარებოდა.

შაბათს, 27 ნოემბერს, „ჩაქუჩები“ „აპტონ პარკზე“ „უიგანს“ მასპინძლობენ. „ვესტ ჰემი“, როგორც გითხარით, ბოლო ადგილზეა, „უიგანს“ კი 5 ქულით მეტი აქვს და მე-18 ადგილზე იმყოფება, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ შეხვედრას სამკვდრო-სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.

არადა, სალივანსა და გოლდს დიდი გეგმები აქვთ. ადრეც გვიხსენებია, რომ მათ, ლონდონის ოლიმპიური სტადიონის შეძენა სურთ და როგორც 2012 წლის ზაფხულის ოლიმპიადის თავმჯდომარის მოადგილე სერ **კით მილსი** ბრძანებს, ამის დიდი შანსიც აქვთ - „ვესტ ჰემი“ ამ საქმეში კონკურენტზე, ლონდონის მეორე გუნდ „ტოტენჰემ ჰოთსპურზე“ წინ არის. მოგეხსენებათ, აქ, სტადიონზე ოლიმპიადის შემდეგ გადაბარგებაზეა ლაპარაკი. ცნობისთვის: „ოლიმპიური პარკის მემკვიდრეობის კომპანიამ“ „ჩაქუჩებსა“ და „დეზებს“ შორის გამარჯვებული შობამდე, ანუ სულ რაღაც ერთ თვეში უნდა დაასახელოს. მილსმა ბრძანა:

*„ვესტ ჰემის წინადადებაში მთავარი ის არის, რომ კლუბი სარბენი ბილიკების ხელუხლებლად დატოვებას აპირებს. თუ ამასთან ერთად გამართული იქნება შემოთავაზების ეკონომიკური მხარეც, ვფიქრობ, მემკვიდრეობის კომპანია „ოლიმპიურ სტადიონს“ სწორედ მას დაუმტკიცებს. „ვესტ ჰემის“ გარდა არის „ტოტენჰემის“ ვარიანტიც, მაგრამ „სფურზის“ შემთხვევაში ოლიმპიელებს სარბენი ბილიკების სხვაგან გადატანა მოუხდებათ.*

*როდესაც საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს ჩვენი პროექტი წარვუდგინეთ და ზაფხულის თამაშების მასპინძლობის უფლება მივიღეთ, ერთ-ერთი საკითხთაგანი სწორედ მძლეოსნობის სარბიელის აშენება და ხელუხლებლად დატოვება გახლდათ. ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა მკაფიოდ გვითხრა, რომ სჯობს „ოლიმპიური სტადიონი“ ლონდონიდან გარეთ გავიტანოთ, ვიდრე მას სარბენი ბილიკები მოვაშოროთ. მეორე მხრივ, ჩვენ ხელში არ უნდა შეგვრჩეს ეგრეთ წოდებული „თეთრი სპილო“, ანუ რაღაც, რისი ფასიც მის რეალურ საჭიროებასა და ღირებულებაზე გაცილებით მეტია“.*


გრანტს ეს კაცი დაეხმარება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამბები

## ბერბა რჩება

„მანჩესტერ იუნაიტედის“ ბულგარელი თავდამსხმელი **დიმიტარ ბერბატოვი** გუნდიდან წასვლას გულშიც კი არ გაივლებსო, თქვა ფეხბურთელის აგენტმა. ბერბატოვი „ოლდ ტრეფორდზე“ ხანგამოშვებით „იშკილებიდან ჩამოვარდება“ ხოლმე – ასე, მაგალითად, ბოლო ტურში, „უიგანთან“ შეხვედრაში ის სათადარიგოთა სკამზეც კი არ დასვეს. საერთოდ არ შეიყვანეს თამაშის განაცხადში. „იუნაიტედიდან“ გამოსული ხმების თანახმად, მწვრთნელმა სერ **ალექს ფერგიუსონმა** მეტი ველარ მოითმინა და გადაწყვიტა ბულგარელი ფრანგი **ქარიმ ბენზემას** ხურდად აქციოს, ანუ „რეალს“ ბენზემაში ფული გადაუხადოს, მაგრამ რაც დააკლდება, ბერბატოვით შეავსოს. გარდა ამისა, „ტოტენჰემ ჰოთსპურის“ ყოფილ თავდამსხმელზე ამბობენ, რომ მისი შეძენით იტალიური კლუბები „იუვენტუსი“ და „მილანი“ არიან დაინტერესებული, გერმანიიდან კი გამზადებული კონტრაქტით „ბაიერნი“ იწევს. შეგახსენებთ, რომ „მანჩესტერ იუნაიტედმა“ ბერბატოვში 2008 წელს 30,75 მილიონი ფუნტი გადაიხადა.

თავდამსხმელის ზემოხსენებულმა აგენტმა **ემილ დანტჩევმა** კი განაცხადა:

*„დიმიტარი „მანჩესტერ იუნაიტედში“ თავს ბედნიერად გრძნობს, კლუბთან 2012 წლამდე კონტრაქტით გახლავთ შეკრული და არანაირი პრობლემის წინაშე არ დგას. ქარაგმულადაც კი არავის უხსენებია, რომ ბერბატოვი „ოლდ ტრეფორდიდან“ შეიძლება წავიდეს. გარწმუნებთ, ჩემს კლიენტს სერ ალექს ფერგიუსონთან საუცხოო ურთიერთობა აქვს“.*

არადა, შეგახსენებთ, რომ სეზონი ბულგარელმა საუცხოოდ დაიწყო: პირველ ხუთ შეხვედრაში ექვსი გოლი გაიტანა.

## სითის ჰალკი უნდა

**ჰალკი** გახლავთ 24 წლის ბრაზილიელი თავდამსხმელის **ჟივანილდო ვიეირა დე სოუზას** მეტსახელი. ის 2008 წლიდან „პორტუში“ თამაშობს და ახლა „მანჩესტერ სიტის“ მოსწონებია. ისტლენდელები იანვრის სატრანსფერო ბაზარზე 20 მილიონ ფუნტად სწორედ ამ 180-სანტიმეტრიანი თავდამსხმელის შეძენას აპირებენ.

ჰალკი პორტუგალიის ჩემპიონატში მეტად ეფექტურად თამაშობს და ამიტომაც მიიპყრო „სიტის“ თავკაცის **რობერტო მანჩინის** ყურადღება. ბრაზილიელს სტატისტიკა ასეთი აქვს: 10 შეხვედრაში 11 გოლი გაიტანა და სამჯერ მეტი მისი შემოქმედების წყალობით შეიქმნა.

თუ გახსოვთ, აქამდე სულ იმაზე იყო ლაპარაკი, რომ მანჩესტერელებს „ვოლფსბურგიდან“ **ედინ ძეკოს** გადაბირება უნდოდათ, მაგრამ როგორც ირკვევა, ბუნდესლიგის კლუბს თავდამსხმელში მაინცდამაინც 50 მილიონი ფუნტის მიღება სურს, ამ თანხად კი ისტლენდელებს 24 წლის ბოსნიელი არ ულირთ.

მოგეხსენებათ, იანვარში, „მანჩესტერ სიტიდან“ თავდამსხმელების წასვლაა მოსალოდნელი: **ემანუელ ადებაიორმა** განაცხადა, რომ სავარაუდოდ „იუვენტუსში“ გადაბარგდება, **როკე სანტა კრუსმა** კი გუნდი ჯერ ზუსტად ვერ დაასახელა, მაგრამ ნამდვილად წამსვლელია.

## გერა პანიკის წინააღმდეგ

ლონდონის „ფულჰემის“ უნგრელმა ნახევარმცველმა, 31 წლის **ზოლტან გერამ** განაცხადა, რომ ბოლოდროინდელი ცუდი შედეგების გამო პანიკა მას და მის თანაგუნდელებს სიკეთეს არ მოუტანს. შეგახსენებთ, რომ ბოლო ტურში „ფულჰემმა“ „კრეივენ კოტეჯზე“ „მანჩესტერ სიტისთან“ 4:1 წააგო და პრემიერლიგის ცხრილში გასავარდნებს მხოლოდ გატანილ-გაშვებულთა უკეთესი ბალანსით აღემატება. კრიტიკა ისმის ლონდონელთა მწვრთნელ **მარკ ჰიუზის** მისამართითაც. უელსელმა **როი ჰოჯსონისგან** წარმატების გზაზე შემდგარი „ფულჰემი“ ჩაიბარა – გასულ სეზონში გუნდმა ხომ ევროლიგის ფინალში ითამაშა, თუმცა გერა მომავალს იმედით შეჰყურებს:

*„მწამს, პანიკაში არ ჩავვარდებით, რადგან პანიკა არაფრის მომტანია. ის მხოლოდ გაგვიუარესებს მდგომარეობას. ახლა ჩვენთვის მთავარია გავერთიანდეთ. დღეს ცხრილში გუნდები ახლო-ახლო არიან ერთმანეთთან და მდგომარეობის გამოსასწორებლად დროც საკმარისია. პირადად მე საკუთარი გუნდისა მწამს. ნახავთ, მომდევნო ორ შეხვედრაში ჩვენ გაცილებით უკეთ ვითამაშებთ“.*

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● არგენტინა

# არგენტინის TOP 25

არგენტინის ჩემპიონატი ყოველთვის იყო ნიჭიერი და არაორდინარული მოთამაშეების ნამდვილი საბადო, მაგრამ ისე არ უნდა ვიფიქროთ, რომ ევროპა აბსოლუტურად ყველა არგენტინელს თავისკენ ექაჩება. შესაბამისად, იქაური მოთამაშეების კლასზე მხოლოდ ევროპულ კლუბებში ან ეროვნულ ნაკრებში გამოსვლით არ უნდა ვიმსჯელოთ.

**აქ მოყვანილ რეიტინგში არჩეულია 25 საუკეთესო მოთამაშე - ისინი არგენტინის პრიმერა დივიზიონს წარმოადგენენ. და რაც მთავარია, ეს მხოლოდ ნაწილია იმ მოთამაშეებისა, რომლებიც საფეხბურთო სამყაროს ღირსეულ ყურადღებას იმსახურებენ.**

### 25. როლანდო სკიავი (37 წლის, ცენტრალური მცველი, ნიუელსი)

თავისი კარიერის საუკეთესო წლებშიც **სკიავის** ვერ ამჩნევდნენ ნაკრების მწვრთნელები, არადა, ეს ფეხბურთელი იმსახურებდა თუნდაც ერთი შანსის მიღებას. **დიეგო მარადონამ** კი გარისკა და „ნიუელსის" დაცვის 36 წლის ლიდერი ნაკრებში მიიწვია, თანაც ოფიციალურ მატჩში. უფრო მეტიც, დიეგომ კარგად იცოდა ამ მცველის „მეორე სართულზე" უნარიანი თამაშის შესახებ და როლანდო არგენტინის გადასარჩენად შეუშვა მოედანზე (**სებასტიან დომინგესის** ნაცვლად) მაშინ, როცა ნაკრები მინიმალური ანგარიშით, მაგრამ უიმედოდ აგებდა პარაგვაიში. და ამ ნაბიჯმა კინაღამ გაამართლა - ერთადერთი მომენტი „ალბისელესტემ" 93-ე წუთზე შექმნა, როცა **მარტინ პალერმოს** პასის შემდეგ სკიავიმ ბოლო მომენტში ვერ მოარტყა ბურთს თავი, არადა, კარი ცარიელი იყო. მარადონას პერიოდში მცველმა კიდევ სამი მატჩი ითამაშა ნაკრებში, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ წავიდა.

სამაგიეროდ, სკიავის საკლუბო კარიერა შთამბეჭდავი გახლავთ. 177 მატჩი (11 გოლი) „არხენტინოს ხუნიორსში", 121 (13) - „ბოკაში" და 108 (16) - „ნიუელსში". მოასწრო ესპანურ „ერკულესსა" (2006) და ბრაზილიურ „გრემიოში" (2007) თამაში.

„ბოკაში" იმ დროს გამოდიოდა, როცა გუნდი ტიტულებს აგროვებდა: კოპა ლიბერტადორესი, სუდამერიკანა, საკონტინენტთაშორისო თასი, არგენტინის ჩემპიონობა - ყველაფერი, რაზეც შეიძლება ლათინურამერიკელმა იოცნებოს. ახლაც, 37 წლის ასაკში, ის ჩემპიონატის ერთ-ერთი საიმედო დაცვის ლიდერია და თან რეგულარულად გააქვს გოლები. ჯერ ერთი, შტატიანი პენალტისტია და გარდა ამისა, სტანდარტების დროს ძალიან საშიშია მეტოქის საჯარიმოში.

### 24. სებასტიან გრაცინი (29 წლის, ენგანჩე, ოლ ბოისი)

არგენტინული ფეხბურთის ძალიან ნიჭიერი, მაგრამ დაუფასებელი ენგანჩე. მეტსახელიც შთამბეჭდავი აქვს - El Magico. ახალგაზრდა ასაკში ის „სევილიას" სკაუტებმა შეამჩნიეს, მაგრამ შანსი ვერ მიიღო და დაიწყო მოგზაურობა არგენტინის, ბელგიის, იტალიისა და ვენესუელას მეორეხარისხოვან კლუბებში. 2008 წელს „ნიუელსისგან" მიიღო მიწვევა, ნახევარი წლის შემდეგ კი აველანედიას „რასინგში" გაიყიდა. წლინახევრის განმავლობაში ის „აკადემიის" („რასინგის" მეტსახელი) საყვარელი ფეხბურთელი გახდა, მაგრამ მწვრთნელმა **მიგელ ანხელ რუსომ** მიანიშნა, რომ **გრაცინიზე** იმედებს არ ამყარებდა. ამიტომაც სებასტიანს მთავარი დივიზიონის დებიუტანტ „ოლ ბოისში" გადასვლამ მოუწია. ახლა ის ამ მოკრძალებულ კლუბში ერთადერთი ნათელი წერტილია, მაგრამ აქაც იგრძნო მწვრთნელისგან დაუფასებლობა, შესაბამისად, ყოველთვის ვერ ხვდება სასტარტოში.

### 23. ლუკას ვიატრი (23 წლის, თავდამსხმელი, ბოკა ხუნიორსი)

**ვიატრიმ** საკუთარი თავი ორი წლის წინ გააცნო საფეხბურთო საზოგადოებას. მისი გოლების გარეშე „ბოკა" ვერ მოიგებდა 2008 წელს აპერტურას (8 გოლი, მათ შორის ერთი „სუპერკლასიკოში"), რომელიც ჯერჯერობით ბოლოა არგენტინული გრანდისთვის. მაგრამ ლუკასს ხშირად რეზერვისტის როლით უწევდა დაკმაყოფილება, რადგან ცენტრფორვარდის პოზიცია მარტინ პალერმოს ჰქონდა ჩაბარებული.

**კლაუდიო ბორხიმ** გადაწყვიტა, რომ გუნდში არ ჰყავდა კარგი „მსუბუქი" ფორვარდი და შეიძლებოდა შეტევაში ორივე პოზიციაზე ორი „ცხრიანის" დაყენება. და როგორც აღმოჩნდა, ასეთი ვარიანტი ეფექტური ყოფილა - ვიატრიც და პალერმოც მიმდინარე ჩემპიონატში ბომბარდირთა შორის არიან.

### 22. ლეანდრო რომანიოლი (29 წლის, ენგანჩე, სან ლორენსო)

2001 წელს იუნიორთა მსოფლიოს ჩემპიონატზე გაბრწყინების შემდეგ **რომანიოლი** თავიდანვე ევროპაში არ გაქცეულა. 2004 წლამდე „სან ლორენსოში" დარჩა, რის შემდეგაც ჯერ მექსიკაში გადავიდა და მხოლოდ ამის შემდეგ აღმოჩნდა ლისაბონის „სპორტინგში". პორტუგალიაში ამ ნიჭიერი მოთამაშის საქმეები არ აეწყო, რასაც ტრავმებმაც შეუწყო ხელი. 2009 წლის ზაფხულში ლეანდრომ საყვარელი „სან ლორენსოს" გამო უარი თქვა მექსიკური და ბრაზილიური კლუბებისგან სარფიან წინადადებებზე, მაგრამ **დიეგო სიმეონეს** სათამაშო სქემას ვერ მოერგო - „ელ ჩოლოს" პრიმიტიული ფეხბურთისთვის ის გამოუსადეგარი აღმოჩნდა.

2010 წელს კლაუსურაში წარუმატებლობის შემდეგ კლუბის ხელმძღვანელობამ სიმეონეს კარისკენ მიუთითა. მოვიდა **რამონ დიასი** და ლეანდრო ისევ ძირითადშია.

### 21. მაურისიო სპერდუტი (24 წლის, შემტევი ნახევარმცველი, ნიუელსი)

როსარიოში დაბადებული, დღემდე ამ ქალაქის ერთ-ერთ კლუბში თამაშობს. ტექნიკურია, აქვს კარგი პასი, ურტყამს საჯარიმოებს და ხშირად იტანს სტანდარტული მდგომარეობებიდან. შესანიშნავ შემტევ დუეტს ქმნის **მაურო ფორმიკასთან**, რისი წყალობითაც „ნიუელსი" ცხრილის ზედა ნაწილშია.

### 20. ხუან მერსიერი (30 წლის, საყრდენი ნახევარმცველი, არგენტინოს ხუნიორსი)

2010 წელს კლაუსურაში „არგენტინოს ხუნიორსის" ჩემპიონობა არ შედგებოდა, რომ არა სამი ადამიანი: მწვრთნელი **კლაუდიო ბორხი** და ცენტრში **მერსიერისა** და **ნესტორ ორტიგოსას** ტანდემი. თუ ორტიგოსამ პარაგვაის ნაკრებში მსოფლიოს წლევანდელ ჩემპიონატში ითამაშა, მარადონამ მერსიერი ბოლო მომენტში ამოაგდო შემადგენლობიდან.

ტექნიკა არ დაეწუნება, შეუძლია შეტევა და ბურთის ართმევა, კარგად ხედავს მოედანს. „ბოკას" მხრიდან დიდი ინტერესის მიუხედავად, მან არ დატოვა „არგენტინოსი", ისევე როგორც, ორტიგოსამ. მაგრამ მათ ძველი პარტნიორები აღარ ჰყავთ. თანაც ბორხი „ბოკაში" გადავიდა, რასაც მკვეთრი ჩავარდნა მოჰყვა. თუმცა დუეტი მაინც ერთ-ერთი საუკეთესოა ქვეყანაში.

### 19. ხუან მარტინესი (25 წლის თავდამსხმელი, ველეს სარსფილდი)

„ველეს სარსფილდის" აღზრდილია, თუმცა თავდაპირველად თავი ვერ გამოიჩინა და მხოლოდ მას შემდეგ ათამაშდა, რაც იჯარის წესით რამდენიმე კლუბი მოიარა. კოლუმბიასა და საუდის არაბეთში თამაშიც კი მოასწრო. ახლა ის გაიხსნა და **რიკარდო გარეკას** გუნდში ერთ-ერთ შეუცვლელ ფეხბურთელად ჩამოყალიბდა. ამ მომენტისთვის პარტნიორ **სანტიაგო სილვასთან** ერთად ლიდერობს ბომბარდირთა დავას. სხვათა შორის, ამ სიაში სილვას ვერ იპოვით - ის ურუგვაელია.



მარიანო პავონე

**არიელ ორტეგასთან** გარეგნული მსგავსების გამო ხუანს „ბურიტო" („ვირი") უწოდეს.

### 18. ვალტერ ერვიტი (30 წლის, შემტევი ნახევარმცველი, „ბანფილდი")

2009 წლის აპერტურაში „ბანფილდის" ჩემპიონობის ერთ-ერთი მთავარი შემოქმედი. იმ სეზონში თავისი პარტნიორების უმრავლესობისგან განსხვავებით, დღემდე ამ გუნდის რიგებშია, მიუხედავად იმისა, რომ მისი შეძენა ძალიან უნდოდა „რივერ პლეიტს". ახლა მთელი „ბანფილდი" **ერვიტის** იმედზეა. ტექნიკა, ინტელექტი, პასი - მას ეს ყველაფერი აქვს.

### 17. მარიანო პავონე (28 წლის, თავდამსხმელი, რივერ პლეიტი)

ფეხბურთში იშვიათად შეხვდები ასეთი თვისებების მქონე თავდამსხმელს. აქვს კარგი საგოლე ალღო და ფიზიკური მონაცემები, მაგრამ ტექნიკაც არ დაეწუნება. ფეხებით მუშაობაში ძლიერია და დამაჯერებლად გრძნობს თავს ჰაერში. ნებისმიერი ურთულესი სიტუაციიდან იტანს გოლებს და არც პარტნიორებს ივიწყებს.

ასეთი იყო ის „ესტუდიანტესში", „ბეტისში" კი ეს თვისებები ვერ გამოავლინა. ახლა სამშობლოში დაბრუნდა - „რივერ პლეიტის" შეტევების ერთ-ერთი ლიდერი გახდა.

### 16. მაურო ფორმიკა (22 წლის, შემტევი ნახევარმცველი, ენგანჩე, თავდამსხმელი, „ნიუელსი")

ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე არგენტინის ჩემპიონატში იმათგან, ვინც „ოც წელზე ცოტა მეტისაა". **ფორმიკა** 22 წლის ასაკში „ნიუელსის" ლიდერია. ერთი წლის წინ ის ერთ-ერთი მთავარი მამოძრავებელი ძალა იყო ჩემპიონობისთვის ბრძოლაში, როცა გუნდს ტიტულამდე ბოლო მატჩის მოგება დააკლდა. სწრაფი, ძალიან ტექნიკური, კარგი პასის მქონე. თამაშის მანერით ოდნავ **კაკას** მოგვაგონებს. არგენტინის ჩემპიონატში 18 წლის ასაკში ჰქონდა დებიუტი.

P. S. რამდენჯერმე ვახსენეთ სიტყვა - „ენგანჩე". ეს სამხრეთამერიკული ტერმინია და ის საფეხბურთო ამპლუას ნიშნავს, რომელიც თავის თავში აერთიანებს სუფთა გამთამაშებლისა (მოედანზე ყოველგვარი კონკრეტული პოზიციის გარეშე) და გუნდის ლიდერის ფუნქციებს. ენგანჩე, როგორც წესი, ნახევარდაცვასა და თავდასხმას შორის მოქმედებს და მუდმივად საკუთარ თავზე იღებს გუნდის თამაშს. ეს არ არის ეპიზოდის ფეხბურთელი - მასზე უნდა აეწყოს გუნდის მთელი თამაში, რაც იშვიათია თანამედროვე ფეხურთში. ამიტომაც უმაღლესი დონის გუნდებში ენგანჩეები სულ უფრო იშვიათად გვხვდებიან.

*(დასასრული შემდეგ ნომერში)*

● აპერტურა 2010

# ტურის შემდეგ


შეტევაზე ხუან მარტინესი

**ტურის გმირი.** სერხიო არაუხო („ბოკა ხუნიორსი"). 2009 წელს ნიგერიაში გამართულ 17-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატზე გაბრწყინების შემდეგ, არაუხოს გამოჩენას „ბოკა ხუნიორსის" შემადგენლობაში მოუთმენლად ელოდნენ. „არსენალის" წინააღმდეგ გამართული შეხვედრა მხოლოდ მეხუთე იყო 18 წლის თავდამსხმელისთვის, მაგრამ თამამად შეიძლება ითქვას, რომ სწორედ კვირას შედგა მისი ნათლობა დიდ ფეხბურთში.

მატჩის დასაწყისში ტრავმა მიიღო **ლუკას ვიატრიმ** და **რობერტო პომპეიმ** მოედანზე ახალგაზრდა ტალანტი შეუშვა. უკვე შვიდი წუთის შემდეგ მან ლამაზი გოლი გაიტანა, რომელიც თავიდან ბოლომდე მან შექმნა. ამ გოლს კი დარჩენილ დროში კარგი თამაშიც დაურთო თან.

ვიატრი მინიმუმ კიდევ ერთ შეხვედრას გამოტოვებს, ასე რომ, არაუხოს ჩვენ „ნიუელსთან" მომდევნო ტურში სასტარტო შემადგენლობაში ვიხილავთ.

**ტურის კურიოზი.** მაინცდამაინც სახალისო ეპიზოდი არ არის, მაგრამ კურიოზთა რიცხვს მაინც უნდა მივაკუთვნოთ. „ოლიმპოსა" და „არგენტინოს ხუნიორსის" მატჩის არბიტრმა ხუან პაბლო პომპეიმ თამაშის დროს... მზის დარტყმა მიიღო. ამასთან, ტემპერატურა სულ რაღაც 21 გრადუსი იყო.

- „ესტუდიანტესი" ისევ ერთპიროვნული ლიდერია. „სტუდენტებმა" სუფთა პირველი ადგილი მე-14 ტურის შემდეგ დაკარგეს, მაგრამ მათ მშველელად თანაქალაქელი და დაუძინებელი მტერი „ხიმნასია" მოევლინა, რომელმაც ორი ქულა არ დაანება „ველეს სარსფილდს". თუმცა დარჩენილ ტურებში „ველესს" უკეთესი კალენდარი აქვს და ამიტომაც არავინ ჩქარობს „ესტუდიანტესისთვის" უპირობო ფავორიტის სტატუსის მინიჭებას.

- **რობერტო პომპეი** დაუბრუნდა „ბოკა ხუნიორსის" მთავარი მწვრთნელის სავარძელს. ხელმეორე დებიუტი მას კვლავ „არსენალის" წინააღმდეგ ჰქონდა და ისევ მოიგო - ამჯერად 2:1 (შარშან - 4:0).

- ასევე პირველივე მატჩი მოიგო **გაბრიელ შურერმა**. ეს გახლავთ „ლანუსის" ახალი მთავარი მწვრთნელი, რომელმაც **ლუის სუბელდია** შეცვალა. „ლანუსი" ბოლო ტურში დამაჯერებლად გაუსწორდა „ტიგრეს". საინტერესო იქნება შურერის მუშაობაზე დაკვირვება, რადგან მის გუნდს ლიბერტადორესის თასზე მოხვედრის რეალური შანსი აქვს.

სხვათა შორის, 2007 წლის აპერტურას ჩემპიონმა ბოლო მოგებით ოთხმატჩიანი წაგებათა სერია შეწყვიტა.

- „ინდეპენდიენტეს" მოუგებელი სერია ხუთ მატჩამდე ავიდა, აქედან ოთხი შეხვედრა ფრედ დასრულდა.

- „მწვრთნელი-ყოფილი კლუბის" პრინციპით ორი საინტერესო დაპირისპირება შედგა: **რამონ დიასი** „რივერ პლეიტის" და **ანტონიო მოჰამედი** „კოლონის" წინააღმდეგ. დიასისთვის „რივერი" მშობლიური კლუბია, რომელსაც უამრავი ტიტული მოაპოვებინა. შესაძლოა, მოჰამედისთვისაც „კოლონი" ასევე მშობლიური გუნდი იყოს, რადგან წლევანდელი აპერტურა სწორედ ამ კლუბის მთავარ მწვრთნელად დაიწყო, მაგრამ შვიდი ტურის შემდეგ კარისკენ მიუთითეს და სულ მალე „ინდეპენდიენტეში" **დანი გრანეროს** ადგილი დაიკავა.

არ შეიძლება არ ვახსენოთ ერთი საინტერესო ინციდენტი. მეორე ტაიმის წინ მსაჯმა მოჰამედი ტრიბუნებზე მიაბრძანა, რადგან „ინდეპენდიენტე" დაგვიანებით გაიყვანა მოედანზე. არადა, „ეშმაკებმა" სულ რაღაც 35 წამით დაიგვიანეს გასახდელიდან გამოსვლა, მაგრამ მსაჯმა **ლუსტომ** პრინციპულობა გამოიჩინა. ასეთია ახალი წესი და მის გამო უკვე დაზარალდა კლაუდიო ბორხი - „ბოკა ხუნიორსის" ან უკვე ყოფილი მწვრთნელი.

- ბოლო ტურში მხოლოდ 18 გოლი გავიდა (საშუალოდ - 1.8), აქედან მასპინძლებმა 13-ჯერ გამოიჩინეს თავი.

წლევანდელ აპერტურაში იშვიათად ფიქსირდება დუბლები. ამ ტურშიც მხოლოდ ერთმა ფეხბურთელმა შეძლო ორი გოლის გატანა - **მარიო რეგეირომ** „ტიგრესთან" მატჩში გამოიჩინა თავი.

„ველესის" ფეხბურთელები - **სილვა** და **მარტინესი** კვლავ რვა გოლით ლიდერობენ ბომბარდირთა დავას. მათ სამი მოთამაშე უდგათ კვალში: **სტრაკალურსი** („ტიგრე"), **პალერმო** („ბოკა") და **დავიდ რამირესი** („გოდოი კრუსი") - შვიდ-შვიდი გოლი. **მაურო ობოლოს** („არსენალი") - ექვსი გოლი აქვს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური ფეხბურთი

● იუვენტუსი

# კიელინი კიდევ ხუთი წლით

გოლოპერიოდში „იუვენტუსის" გულშემატკივრებისთვის მხოლოდ სასიამოვნო ინფორმაციები ვრცელდება. გუშინ გამცნეთ, რომ **ჯანლუიჯი ბუფონმა** ვარჯიში განაახლა და სეზონის მეორე ეტაპს ჩვეულებრივად გუნდთან ერთად დაიწყებს. ამასთან, ტურინული გრანდის მესვეურები ერთი ექსტრაკლასის თავდამსხმელის დამატებას ლამობენ და თვალი **ემანუელ ადებაიორზე** უჭირავთ. მეტიც, გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მხარეებს შორის შეთანხმება უკვე მიღწეულია და აფრიკელი „მანჩესტერ სიტის" იანვარში დატოვებს. და აი, გუშინ „ბიანკონერის" ოფიციალურმა ვებგვერდმა კიდევ ერთი კარგი ამბავი გვამცნო - ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ, როგორც იქნა, **ჯორჯო კიელინიმ** კლუბთან ხელშეკრულების 2015 წლამდე გახანგრძლივების გადაწყვეტილება მიიღო. „იუვესა" და იტალიის ნაკრების ცენტრალური მცველი კარგა ხანს ითრევდა ფეხს და ბუნებრივია, ბევრმა გამოთქვა ვარაუდი მისი სხვა გუნდში გადაბარგების შესახებ. თუმცა, გუშინ ამ სპეკულაციებს წერტილი დაესვა - აი, რას ამბობს თავად ფეხბურთელი:

*„ბედნიერი ვარ, რომ ახალი ხელშეკრულება გავაფორმე და ბედი კიდევ ხუთი წლით დავუკავშირე „იუვენტუსს". ტურინულ გრანდს ბავშვობიდან ვქომაგობდი და მხოლოდ ვოცნებობდი იმაზე, რომ ერთ მშვენიერ დღეს შავ-თეთრ მაისურას მოვირგებდი. უკვე ხუთი წელია „იუვეში" ვასპარეზობ და ახალი კონტრაქტის მიხედვით კიდევ ხუთი წლით ტურინში დავრჩები. ჩემი მიზანია, კლუბთან ერთად უამრავი ტიტული მოვიგო და მჯერა, ასეც მოხდება. ლუიჯი დელ ნერი ახალ გუნდს ქმნის, ახალი ერა იწყება კლუბის ისტორიაში და მიხარია, რომ მეც შევიტან წვლილს ახალი ისტორიის შექმნაში. რატომ გავაჭიანურე კონტრაქტზე ხელის მოწერა? - იმიტომ, რომ არსად გვეჩქარებოდა და დეტალებზე მშვიდად ვიმუშავეთ".*

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კიელინიმ ხუთწლიან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი, რომლის ძალითაც სეზონში 3.5 მილიონ ევროს მიიღებს. შეგახსენებთ, რომ ჯორჯო ტურინულ გრანდში 2003 წელს ფლორენციის „ფიორენტინადან" გადავიდა. მას შემდეგ სწორედ „ბიანკონერიში" ასპარეზობს და ამ გუნდის მაისურით 200-ზე მეტი შეხვედრა აქვს ჩატარებული. მას შემდეგ, რაც კიელინი „იუვენტუსს" სიყვარულში გამოუტყდა, თბილი სიტყვები არც მთავარი მწვრთნელის მისამართით დაიშურა:

*„ბევრ მწვრთნელთან მიმუშავია, მაგრამ დელ ნერი ყველასგან გამორჩეულია. ძალიან დიდი ენერგია მოდის მისგან და რაც მთავარია, ყოველთვის საჭირო სიტყვებს პოულობს. ერთ მუშტად შეკრა გუნდი, რაც უმნიშვნელოვანესია წარმატების მისაღწევად. თუ გუნდში ერთსულოვნება არ არის, რაც უნდა ძლიერმა მოთამაშეებმა მოიყარონ თავი, დადებით შედეგს ვერ მიაღწევ. ეს კარგად ესმის დელ ნერის და ცდილობს, გასახდელში ყოველთვის კარგი აქტმოსფერო იყოს. ბედნიერი ვარ, რომ „იუვენტუსში" ვთამაშობ და ლუიჯი დელ ნერის შეგირდობა მერგო".*

**ლაშა წიკლაური**



ჯორჯო კიელინი

● მილანი

# გალიანი პიპოზე, იბრასა და იტალიურ კლუბებზე



ადრიანო გალიანი

„მილანის" საქმეები შესანიშნავად მიდის, **მასიმილიანო ალეგრის** გუნდი სერია A-ს სატურნირო ცხრილს სათავეში უდგას და ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალური ეტაპის საგზური უკვე მოპოვებული აქვს. მოკლედ, გულშემატკივრები ძალიან კმაყოფილები არიან, თუმცა არის ერთი რამ, რაც მათ გუნებას უფუჭებს. ეს **ფილიპო ინძაგი** და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობაა. პიპომ „პალერმოსთან" შეხვედრაში მიიღო ტრავმა და როგორც აღმოჩნდა, მეტად სერიოზული. აქამდე ექიმები ვერ სვამდნენ ზუსტ დიაგნოზს, თუმცა იყო ვარაუდები, რომ ინძაგის სეზონის ბოლომდე მოუწევდა ლაზარეთში გადანაცვლება. სამწუხაროდ, ეს ვარაუდი გამართლდა და პიპო მართლაც ძალიან დიდხანს იუქმებს. ამის შესახებ **ადრიანო გალიანიმ** განაცხადა პრესასთან საუბარში:

*„ბოლომდე გვქონდა იმის იმედი, რომ ფილიპოს ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდებოდა, მაგრამ რეალობა მეტად მძიმე გამოდგა. ინძაგიმ ჯვარედინი მყესი დაიზიანა და სეზონის ბოლომდე მოედანს ვერ დაუბრუნდება. ეს ჩვენთვის დიდი დანაკლისია, რადგან პიპოს ყველაზე რთულ სიტუაციაშიც კი შეუძლია გუნდის გადარჩენა. ასე მოხდა მადრიდის „რეალთან" და საერთოდ, დიდ შეხვედრებში პიპო შეუცვლელია. რას ვიზამთ, ასეთია ფეხბურთი და უნდა შევეგუოთ არსებულ რეალობას. მთავარია, თავად გამხნევდეს, ჩვენ ის მომავალ სეზონშიც დაგვჭირდება".*

გალიანიმ **ზლატან იბრაჰიმოვიჩის** შესანიშნავ სათამაშო კონდიციაზე ილაპარაკა და აღნიშნა, რომ მის შესაძენად თავის დროზე ძალ-ღონე არ დაიშურა: *„როდესაც ზლატანის ყიდვა გადავწყვიტეთ, ბევრ პრობლემას გადავაწყდით. „ბარსელონაში" ჩასულს სანდრო როსელი შვებულებაში დამხვდა - იბიცაზე ისვენებდა და სატელეფონო საუბარში იბრაჰიმოვიჩის გასხვისება კატეგორიულად იუარა. თუმცა, არ დავნებდით და შედეგი სახეზეა, იბრა „მილანის" ფეხბურთელია. ვერ ვიტყვი, რომ მთელი გუნდი მასზეა დამოკიდებული, მაგრამ უმნიშვნელოვანესი ფეხბურთელი რომ არის, ამას წყალი არ გაუვა. რაც ფილიპო ინძაგი დაშავდა და ლაზარეთში სეზონის ბოლომდე გადაინაცვლა, მისი როლი კიდევ უფრო გაიზარდა. ზლატანს იერიშის დაგვირგვინება ბრწყინვალედ გამოსდის, ამასთან, თვითონვე შეუძლია შექმნას სახიფათო მომენტი და ბოლო პასი გააკეთოს. მისი ტრანსფერი გასულ ზაფხულს ჩვენთვის პრიორიტეტული იყო და ბედნიერი ვარ, რომ მიზანს მივაღწიეთ".*

გალიანიმ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის დაძლევაზე და ზოგადად, იტალიური საკლუბო ფეხბურთის პერსპექტივაზე ილაპარაკა: *„ძალიან კარგია, რომ მერვედფინალში უკვე გავედით და ეს ამოცანა ნაადრევად შევასრულეთ. პლეიოფებამდე მთელი სამი თვეა დარჩენილი და ამ დროში უნდა ვეცადოთ, რომ სერია A-ში კიდევ უფრო განვიმტკიცოთ მდგომარეობა. ძალიან გამახარა იმანაც, რომ „რომამ" მოახერხა „ბაიერნის" დამარცხება. საერთოდ, ევროარენაზე სერია A-ს ყველა წარმომადგენელს ვგულშემატკივრობ, რადგან ისინი იტალიური ფეხბურთის ღირსებას იცავენ. ყველამ ერთად უნდა ვიზრუნოთ რეიტინგის ამაღლებაზე, რათა შერყეული პოზიციები განვიმტკიცოთ. ამიტომ, თითოეული გამარჯვება ძალიან მნიშვნელოვანია როგორც ჩემპიონთა, ისე ევროპის ლიგაზე".*

**ლაშა წიკლაური**

● ალმერიული ამბავი

# ალმერიაში გოროსიტოს ეპოქა იწყება

არაუგვიანეს პარასკევისა, არგენტინელი სპეციალისტი **ნესტორ გოროსიტო** ესპანურ „ალმერიასთან" კონტრაქტს მოაწერს ხელს, პრინციპული შეთანხმება მიღწეულია. ასე რომ, კვირას „ვალენსიას" წინააღმდეგ ანდალუსიურ კლუბს უკვე გოროსიტო უხელმძღვანელებს.

45 წლის ბასკი მწვრთნელის, **ხუან მანუელ ლილიო დიესის** (ანუ **ხუანმა ლილიო**) კარიერა „ალმერიაში" კატასტროფულად დასრულდა - მისმა გუნდმა შინ 0:8 წააგო „ბარსელონასთან". ფაქტობრივად, ლილიო თამაშის დასრულებისთანავე აღარ იყო „ალმერიას" მწვრთნელი, უბრალოდ, კლუბის ხელმძღვანელობამ საჯარო განცხადებებისგან თავი შეიკავა და, სანამ ახალი მწვრთნელის ძიება არ დაიწყო, მედიამ ვერც კი შეიტყო ლილიოს მოხსნის ამბავი (თუმცა კი ივარაუდა). სხვათა შორის, აწ უკვე ყოფილი თავკაცი საინტერესო პიროვნებაა - მას ფეხბურთი არასოდეს უთამაშია, პირველი გუნდი რომ ჩაიბარა, 16 წლის იყო, ხოლო 30 წლისაც არ იყო, როცა „სალამანკაში" დააწინაურეს და პრიმერა დივიზიონის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა მწვრთნელი გახდა. „ალმერიაში" მან ერთი წელიც ვერ გაძლო, ლილიო დეკემბრის ბოლოს მოხსნილ მექსიკელ **უგო სანჩესს** ცვლიდა. ლილიომ „ალმერია" გასავარდნ ზონაში ჩაიბარა და გუნდს მე-13 ადგილზე დაასრულებინა პრიმერა, რის წყალობითაც კიდევ ერთი წლით მოიპოვა ანდალუსიური კლუბის გაწვრთნის უფლება, მაგრამ წლევანდელ ცუდ სეზონს („ალმერია" 9 ქულით ბოლოსწინა ადგილზეა) „ბარსელონასთან" შერცხვენა მოჰყვა.

ლილიოს ნაცვლად დროებით გუნდს ფიზიკური მომზადების მწვრთნელი **ედუ პონსი** ხელმძღვანელობს. ვარჯიშებს სწორედ პონსი ატარებს.

ნესტორ გოროსიტო 46 წლისაა, ის 90-იან წლებში არგენტინის ეროვნული ნაკრების ნახევარმცველი იყო (12 თამაში, 1 გოლი). გოროსიტომ მწვრთნელობა 2002 წლიდან დაიწყო, წლეულს იანვარში კი არგენტინელი „ხერესმა" მიიწვია, თუმცა „ხერესი" გავარდნისგან ვერ იხსნა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# კაპდევილა ლივერპულში?

მას მერე, რაც ჩაიშალა მოლაპარაკებები „ვილიარეალსა" და მის მცველ **ხოან კაპდევილას** შორის, მსოფლიოს ჩემპიონის გადაბირებით „ლივერპული" დაინტერესდა. „მირორი" იუწყება, რომ 32 წლის კაპდევილა კლუბისგან ორწლიან ხელშეკრულებას ითხოვდა, მაშინ როცა „ელ სუბმარინოს" ხელმძღვანელობა მხოლოდ ერთწლიანზე იყო ყაბულს.

კაპდევილას ხელშეკრულება ზაფხულში ეწურება, „ლივერპულს" კი არსად ეჩქარება, ალბიონური კლუბი მცველს ბოსმანის წესით, უსასყიდლოდ ჩაიგდებს. ამბობენ, რომ სავარაუდო ტრანსფერში „ლივერპულის" მეკარე **პეპე რეინას** ხელი ურევია, რომელიც კაპდევილას ახლო მეგობარია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



# ეტოოს ბოდიში

გაჭირვებულს ქვა აღმართში მიეწიაო, ისეა „ინტერის" საქმე. მილანური გრანდი ქულებს უხვად ანიავებს და სერია A-ს სატურნირო ცხრილში მისთვის უჩვეულო მეექვსე ადგილზეა მოკალათებული. ერთადერთი ფეხბურთელი, რომელიც „ნერაძურიში" მოწოდების სიმაღლეზეა, **სამუელ ეტოო** გახლავთ, თუმცა „კიევოსთან" პაექრობაში თავი მოიჭრა და საკუთარ იმიჯთან ერთად, „ინტერიც" გვარიანად დააზარალა. ერთ-ერთ ეპიზოდში, კამერუნელმა ფორვარდმა ემოციები ვერ მოთოკა და ვერონული გუნდის სლოვენიელ უკანახაზელ **ბოშტიან ცესარს** თავი მუცელში უთავაზა. თუ ეს ეპიზოდი იხილეთ, უთუოდ მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის ფინალი, **ზინედინ ზიდანისა** და **მარკო მატერაცის** საქციელი გაგახსენდებოდათ. მოკლედ, ეტოო არასპორტულად მოიქცა, თუმცა მატჩის არბიტრმა ეს ვერ შეამჩნია და ეტოომ თამაში სრულად ჩაატარა. სამაგიეროდ, სადისციპლინო კომიტეტს არ გამოჰპარვია ეს ეპიზოდი და გუშინ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ფეხბურთელს სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიესაჯა. კამერუნელმა არ გააპროტესტა დისციპლინარების გადაწყვეტილება და პრესასთან საუბარში უბრალოდ ბოდიში მოიხადა:

*„ძალიან ვწუხვარ, რომ ემოციები ვერ მოვთოკე და „კიევოს" მცველს ვეუხეშე. ამით პირველ რიგში ჩვენი გუნდი, მწვრთნელი და გულშემატკივრები დავალალატე. მინდა ბოდიში მოვუხადო მათ და ასევე პრეზიდენტ მასიმო მორატის, რომელიც ყოველთვის მხარში მიდგას და დარწმუნებული ვარ, ჩემგან ასეთ რამეს არ მოელოდა. ბოდიშს ვუხდი „კიევოს" მცველს და მსაჯებს, რომლებმაც ეს ეპიზოდი ვერ შეამჩნიეს და შესაბამისად, მათ გარჯას დაბალი შეფასება მიეცა. ასეთი რამ მომავალში აღარ განმეორდება".*

**ლაშა წიკლაური**



ეროვნული ბიბლიოთეკა

კლასიკოს ბარომეტრი

ინტერვიუ ჟოზე მოურინიოსთან

# მოურინიო: მე რომ პრეზიდენტი ვიყო, გვარდიოლას 50-წლიან კონტრაქტს გავუფორმებდი

« მე-4 გვერდიდან

- „მამა მია", რა ფანტასტიკური ფეხბურთელები არიან! ამ ორის მწვრთნელობა ჩემთვის უდიდესი პატივია. მეგოლე მკვლელები, რომელთაც გოლის გატანის ენით აუწერელი უნარი აქვთ. ძალიან მაგარი ბიჭები არიან ეტოო და დროგბა.

**- მალე პირველი „კლასიკო" გელით კარიერაში. არის კი მზად „სამეფო კლუბი" „ბარსელონასთან" საბრძოლველად?**

- „ბარსელონა" დიდი გუნდია, გუნდური ფილოსოფიით, რასაც დიდი ისტორია აქვს. მათ ისეთი ფეხბურთელები ჰყავთ, რომელთაც ლამის მთელი ცხოვრება ერთად გაატარეს: ანდრეს ინიესტა, ჩავი, ლეო მესი... მათი დამარცხება არც ისე იოლია, მაგრამ ჩვენც საკმაოდ ძლიერები ვართ, საკმარისად, რომ მათ ტიტულისთვის ბრძოლაში შევეცილოთ. ისე, „ბარსა" ორჯერ მყავს დამარცხებული, „ჩელსიში" და „ინტერში" მუშაობისას, თუმცა სათასო ფორმატით მათი ძლევა უფრო მარტივია, ვიდრე ჩემპიონატში.

**- შეგიძლიათ უფრო ვრცლად თქვათ, რას გულისხმობდით საერთო ფილოსოფიაში?**

- პეპი კარგად მოერგო ამ ფსიქოლოგიას, რომელიც იოჰან კრუიფის დროიდან არსებობს და რომელიც არც ლუის ვან გაალს და არც ფრანკ რაიკაარდს არ დაურღვევიათ. აი, „რეალის" სათამაშო სტილი კი ასე ჩამოყალიბებული ჯერ არ არის. მადრიდმა კაპელოდან პელეგრინიმდე გრძელი გზა გამოიარა, შუსტერის და რამოსის „გავლით". ეს მწვრთნელები კი ძალიან განსხვავებული სტილის მიმდევრები არიან. არადა, ასეთ კლუბს საფეხბურთო ფილოსოფია, სათამაშო სტილი ძირისძირობამდე უნდა ჰქონდეს ჩამოყალიბებული. აი, რისთვის ვზრუნავ აქ მოსვლის დღიდან ჩემს გუნდთან ერთად.

**- „რეალისთვის" „კლასიკო" ძალიან ადრე ხომ არ მოვიდა?**

- დედამიწის ზურგზე არ მეგულება არც ერთი ფეხბურთელი და მწვრთნელი, რომელსაც არ უნდოდეს მსგავს მატჩში მონაწილეობა. „ბარსა" „რეალის" წინააღმდეგ, ეს არის განსაკუთრებული რამ ფეხბურთისთვის. მთელი მსოფლიო ამ შეხვედრას ელის. ხვალაც რომ იყოს თამაში, სიამოვნებით გავიყვანდი გუნდს მოედანზე. „კლასიკო" ყოველთვის ფანტასტიკაა.

**- თქვენ რომ კლუბის პრეზიდენტი იყოთ, მიიწვევდით თუ არა ხოსეპ გვარდიოლას გუნდის თავკაცად?**

- მე რომ „ბარსელონას" პრეზიდენტი სანდრო როსელი ვიყო, პეპს 50-წლიან ხელშეკრულებას გავუფორმებდი.

**- რატომ?**

- იმიტომ, რომ ის ამ კლუბის კაცია, რომელიც დაბადებიდან „ბარსელონიზმით" იკვებება. მან იცის ყველაფერი შიგნიდან და გარედან, რაც კი ამ კლუბს ეხება, რა სურთ მის ფანებს. ის იდეალურია „ბარსელონასთვის", სანამ ეს თავად სურს.

**- კი, მაგრამ თქვენ რომ „რეალის" პრეზიდენტი იყოთ, მაშინ პეპს აირჩევდით?**

- სხვათა შორის, მაინც კი. იმიტომ, რომ გვარდიოლა დიდი მწვრთნელია. ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ ვთქვი, რომ ის დიდი მწვრთნელი იქნებოდა. არქივებს, რომ „ჩაუჯდეთ" ჩემს ამ გამონათქვამსაც აღმოაჩენთ, რომელიც 20 წლის წინანდელია.

**- ისე, როგორი ურთიერთობა გაქვთ მასთან?**

- ჩვენ ერთად გვიმუშავია „ბარსელონაში" და მხოლოდ კარგი ამბები მახსენდება. ახლა ჩვენ მოწინააღმდეგეები ვართ, მაგრამ, ვფიქრობ, ერთმანეთს პატივს ვცემთ. ჩემი აზრით, ეს კარგია და იმედია ასეც დარჩება მომავალშიც.



**- გიკვირთ თუ არა, რომ გვარდიოლა ასეთი წარმატებული მწვრთნელი გახდა?**

- არავითარ შემთხვევაში. როცა პეპი „ბარსას" ფეხბურთელი იყო და მე მწვრთნელის ასისტენტი, კარგად ვამჩნევდი, რომ ის უთუოდ მწვრთნელი გახდებოდა. ის უკვე იყო კიდეც მწვრთნელი... მინდორზე. მან კარგად იცის, რა ესაჭიროება, მას და სხვა ფეხბურთელებსაც.

**- ჩავის და კარლოს პუიოლსაც კარგად იცნობთ „ბარსელონაში" მუშაობის პერიოდიდან, მაგრამ, ამბობენ, ჩავისთან პრობლემები გქონდათ.**

- ჩავისთან პრობლემა არასოდეს მქონია. ხანდახან, „ცხელ გულზე" კაცმა ათასი რამ შეიძლება თქვა, მაგრამ შემდეგ გაგივლის. არასოდეს მითქვამს, რომ ჩავი დიდი ფეხბურთელი არ არის. „პუისთან" ახლაც კარგი ურთიერთობა მაქვს.

**- რას ფიქრობთ, როგორ დაგხვდებიან „კლასიკოზე"?**

- „კამპ ნოუ" არასოდეს მაპატიებს, რომ ორჯერ დავამარცხე „ბარსელონა". მათთვის მე „პერსონა ნონ გრატა" ვარ. მე წავართვი მათ შანსი, „ბერნაბეუზე" ჩემპიონთა ლიგის მოგება ეზეიმათ. ახლა კიდევ მათთვის საძულველი „რეალის" მწვრთნელი ვარ. მაგრამ იქ მხოლოდ ფეხბურთის სათამაშოდ მივდივარ. ერთი ჩვეულებრივი მატჩისა, თუკი ორშაბათს მოვიგებთ, მეორე დღეს სამშაბათი გათენდება. წაგების შემთხვევაშიც სამშაბათი გველის. ამიტომაც მხოლოდ შრომაზე ვფიქრობთ.

**- დაბოლოს, ფიქრობთ, თუ არა, რომ „ბარსელონაში" გატარებულმა წლებმა გაგხადათ ამ გუნდის ფანების უპირველესი მტერი?**

- ასეთია ფეხბურთი და რას ვიზამთ. მათი პოზიცია ჩემთვის გასაგებია, თუმცა არ არის მისაღები. მაგრამ ჩემთვის წარსულს მნიშვნელობა ნაკლებად აქვს, ფეხბურთისთვის მთავარია, რა ხდება ახლა მოედანზე.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული სპორტი

**ოლიმპიური ფესტივალი**

## ბრნო თუ თბილისი?

### გამარჯვებული ზეგ გამოვლინდება

27 ნოემბერი ქართული სპორტისა და ოლიმპიური მოძრაობის ისტორიაში შეიძლება ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან თარიღად შევიდეს. შეგახსენებთ, რომ თბილისი კონტინენტის ახალგაზრდობის 2015 წლის ოლიმპიური ფესტივალის მასპინძლობისთვის იბრძვის და სწორედ ამ დღეს ბელგრადში ევროპის ოლიმპიური კომიტეტების გენერალურ ასამბლეაზე ფარული კენჭისყრით გადაწყდება ეს პატივი საქართველოს დედაქალაქს ერგება თუ ჩეხეთის ქალაქ ბრნოს.

ნიშანდობლივია, რომ ბრნო ამ უფლების მოპოვებას ჯერ კიდევ 2007 წლიდან ცდილობს. 2011 წლის ფესტივალის მასპინძლობა ტრაპზონს დაუთმეს, ხოლო 2013 წლის თამაშებისთვის ბრძოლაში ჰოლანდიურ უტრეხტთან დაყარეს ფარ-ხმალი. იმედია, ბელგრადში გასამდება და ამ საპასუხისმგებლო მისიას ამჯერად თბილისს დააკისრებენ.

ასამბლეა მუშაობას ხვალ დაიწყებს. მოისმენენ ეოკ-ის პრეზიდენტის **პატრიკ ჰიკის** წლის შემაჯამებელ სიტყვას, ასევე ლონდონისა (2012), რიო დე ჟანეიროს (2016) ზაფხულის ოლიმპიადებისა და სოჭის (2014) წლის ზამთრის თამაშების საორგანიზაციო კომიტეტების მოხსენებებს, თუმცა ჩვენთვის საინტერესო და მნიშვნელოვანი მოვლენები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ზეგ განვითარდება.

ევროპის 49 ქვეყნის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების წინაშე ჯერ ზამთრის 2015 წლის კანდიდატი ქალაქები – სარაევო (ბოსნია) და ავსტრია-ლიხშტენშტეინი (ერთობლივი განაცხადი) წარდგებიან პრეზენტაციით, შემდეგ ზაფხულის ფესტივალის მსურველები - თბილისი და ბრნო.

ქართული დელეგაციის ნაწილმა, რომელშიც სეოკ-ის პრეზიდენტი **გია ნაცვლიშვილი,** პირველი ვიცე-პრეზიდენტი **რამაზ გოგლიძე,** ვიცე-პრეზიდენტი **დავით გობეჯიშვილი,** სეოკ-ის პრეზიდენტის მრჩეველი **ემზარ ზენაიშვილი,** „თბილისი 2015"-ის პრეზენტაციის რეჟისორი **დავით დოიაშვილი** და სხვები შედიან, სერბეთის დედაქალაქისკენ დღეს გამთენიისას აიღეს გეზი. თბილისის მერი, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე **გიგი უგულავა,** დუეტი „ჯორჯია", რომელიც თბილისზე სპეციალურად შექმნილ სიმღერას შეასრულებს და დელეგაციის სხვა წევრები ბელგრადში მოგვიანებით გაემგზავრებიან.

კენჭისყრის შედეგები 27 ნოემბერს თბილისის დროით 16 საათისთვის გახდება ცნობილი.

სეოკ-ის პრესსამსახური

**სპორტი საპარლამენტო კომიტეტში**



## კომიტეტმა მხარი დაუჭირა

პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტმა გუშინ განიხილა საქართველოს პრეზიდენტის მიერ რატიფიცირებისთვის წარმოდგენილი საერთაშორისო ხელშეკრულება: „სპორტის სფეროში გაფართოებული ნაწილობრივი შეთანხმების (EPAS) სტატუსი".

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის, **გიორგი ავალიანის** განცხადებით, სტატუსთან მიერთება ხელს შეუწყობს საქართველოში სპორტის სფეროში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სტრატეგიის შემუშავებას და სპორტული ღონისძიებების უსაფრთხო ჩატარების უზრუნველყოფას.

ხელშეკრულების რატიფიცირება ითვალისწინებს ურთიერთობების გაფართოებას ისეთ მნიშვნელოვან ორგანიზაციებთან, როგორებიცაა: „სპორტულ ღონისძიებებზე და კერძოდ საფეხბურთო მატჩებზე (T-RV) მაყურებელთა ძალადობრივ და უწესო ქმედებათა შესახებ" ევროპის კონვენციის მუდმივმოქმედი კომიტეტი, ანტიდოპინგური კონვენციის მონიტორინგის ჯგუფი (T-DO) და მსოფლიოს ანტიდოპინგური სააგენტოს ევროპის საკოორდინაციო ფორუმის საგანგებო კომიტეტი(CAHAMA).

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტმა მხარი დაუჭირა ხელშეკრულების რატიფიცირებას პარლამენტის პლენარულ სხდომაზე.

**ჭადრაკი**

## გალიამოვა პაიკიძესთან...

რუსი დიდოსტატი **ალისა გალიამოვა** ტიტულოვანი მოჭადრაკეა: მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონმა, მრავალი საერთაშორისო შეჯიბრებისა და რუსეთის ჩემპიონატის შარშანდელი სუპერფინალის გამარჯვებულმა წლეულს თავისი ქვეყნის ნაკრების შემადგენლობაში მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადა მოიგო. ამჯერად იგი წარმატებით გამოდის რუსეთის მე-60 ჩემპიონატის სუპერფინალში. გუშინ მე-8 ტურში გულშემატკივართა და სპეციალისტთა ყურადღების ცენტრში სწორედ გალიამოვას და ასპარეზობის ერთპიროვნული ლიდერის **ნაზი პაიკიძის** შეხვედრა აღმოჩნდა. თეთრებით ახალგაზრდა ქართველი დიდოსტატი თამაშობდა. მართალია, მან მედგარი წინააღმდეგობა გაუწია გამოცდილ მეტოქეს, მაგრამ ბოლომდე გამკლავება მაინც ვერ შეძლო და 83-ე სვლაზე დამარცხდა. დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: **ტატიანა კოსინცევა-ალექსანდრა კოსტენიუკი** 1:0, **სვეტლანა მატვეევა-ნატალია პოგონინა** 0,5:0,5, **ვერა ნებოლსინა-ოლგა გირია** 0,5:0,5, **ვალენტინა გუნინა-ტატიანი შადრინა** 0:1, **ნადეჟდა კოსინცევა-ანასტასია ბოდნარუკი** 0:1.

რვა ტურის შემდეგ: გალიამოვა-5,5, პაიკიძე, პოგონინა, ტ. კოსინცევა-5-5, ნ. კოსინცევა, ბოდნარუკი, შადრინა, კოსტენიუკი, ნებოლსინა-4-4, გირია-3, გუნინა-2,5, მატვეევა-2 ქულა.

დღეს მე-9 ტურში ითამაშებენ: **პოგონინა-ნ. კოსინცევა, შადრინა-ტ. კოსინცევა, გირია-გუნინა, გალიამოვა-ნებოლსინა, ბოდნარუკი-პაიკიძე, კოსტენიუკი-მატვეევა.**

ვაჟა დანელია

## ჯობავას გუნდმა გაიმარჯვა

ხარკოვის VI საერთაშორისო ტურნირზე („თემიდა 2010"), რომელშიც 4 გუნდი მონაწილეობს წრიული სისტემით, გუშინ კვლავ გაიმარჯვა ქართველი დიდოსტატის **ბაადურ ჯობავას** „ჩერნიგოვმა", რომელიც „კიევს" ხვდებოდა. პირველ დაფაზე ჩვენებურს (2707) 79 სვლა დასჭირდა მსოფლიოს ჩემპიონის **რუსლან პონომარიოვის** (2744) დასამარცხებლად; მისმა თანაგუნდელმა **ანტონ კორობოვმა ალექსანდრ არეშჩენკოს** სძლია. დაზავდნენ **ევგენი მიროშნიჩენკო** და **ანდრეი ვოლოკიტინი,** ხოლო **სერგეი ჟიგალკო იური კუზუბოვს** დანებდა. საბოლოოდ 2,5:1,5 გაიმარჯვა „ჩერნიგოვმა".

„ხარკოვისა" და „როვნოს" შეხვედრაც მსგავსი ანგარიშით დამთავრდა როვნოელთა სასარგებლოდ. აქ ყაიმზე შეთანხმდნენ: **ალექსანდრე მოისეენკო-მარტინ კრავცივი, ვალერი ავესკულოვი-ვლადიმირ იაკიმოვი, ოლეგ ივანოვი-ვლადიმირ ონიშჩუკი,** ხოლო **ელდარ ჰასანოვმა ნაზარ ფირმანს** მოუგო.

დღეს მესამე ტურის პარტიები გაიმართება.

ვაჟა დანელია



## საჩევანშოდ თურქეთში... 13 წლის შემდეგ

ამას წინათ გერმანიაში მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირზე **მაია ლომინეიშვილმა** ქალებში პირველი ადგილი დაიკავა. არც გაგვკვირვებია — ქართველი დიდოსტატი ხომ მრავალი საგულისხმო ტიტულის მფლობელია. ვინც მას ახლოს იცნობს, ალბათ, ემახსოვრება, რომ საქართველოს ოთხგზის ჩემპიონმა ახალგაზრდებში მსოფლიოს პირველობებზე მრავალჯერ მოიპოვა ვერცხლის და ბრინჯაოს მედლები, კონტინენტის პირველობებზე კი 14 და 20-წლიანებში ორჯერ ავიდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე, 2000 წელს მსოფლიო უნივერსიადაზე დაჯაბნა მეტოქეები. ყველაზე დიდი ჯილდო 2008 წელს დრეზდენში ხვდა— საქართველოს ნაკრებთან ერთად მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადა მოიგო. მის სპორტულ კოლექციას ევროპის საკლუბო ჩემპიონატების ორი ოქროს, ამდენივე ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედალი ამშვენებს. 2005 წელს ევროპის გუნდური ჩემპიონატის მეორეადგილოსანია. მაია ლომინეიშვილი ახლა მსოფლიოს ინდივიდუალური ჩემპიონატისთვის ემზადება, რომელიც ნოკაუტ-სისტემით 2 დეკემბრიდან თურქეთში გაიმართება.

— წლევანდელ სეზონში კარგი სტარტი ავიღე — საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში მესამე ადგილი დავიკავე, რაც ნაკრებისკენ გზას მიხსნიდა, მაგრამ შემდეგ წინა პლანზე ცხოვრებისეულმა საზრუნავმა წამოიწია — ოჯახი შევქმენი და ჭადრაკისთვის სათანადოდ ვერ ვიცლიდი, რაც შედეგებსა და რეიტინგზეც აისახა. სამ საერთაშორისო ტურნირში ვიასპარეზე და სამგანვე წარუმატებლად.

**— ეს მაშინ, როცა წინ მსოფლიოს ჩემპიონატი გელოდა...**

— არ ვიცი, რა მოხდა. წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში ჭადრაკზე გული მქონდა აცრუებული. სამსახურიც დიდ დროს მართმევდა. ამას ოჯახის შექმნაც დაემატა... ორი თვეა, ბრძენთა თამაშისადმი უწინდელი განწყობა დამიბრუნდა. ამაში მეუღლესაც მიუძღვის წვლილი — ის მაგულიანებდა. ოქტომბრის მიწურულს გერმანიის ტურნირზე გავემგზავრე და ქალებში პირველი ადგილი დავიკავე, რამაც ძალებისადმი რწმენა განმიმტკიცა. შეჯიბრების შემდეგ იქვე დავრჩი ერთკვირიან საწვრთნელ შეკრებაზე. 1998-2004 წლებში კარლსრუეს კლუბის ღირსებას ვიცავდი ბუნდესლიგაში. მაშინ დავუმეგობრდი ინგრიდ ლაუტერბახს, რომელიც ჩემთან ერთად გამოდიოდა. მისი მეუღლეა ცნობილი დიდოსტატი კლაუს ბიშოფი. ახლაც მათს ოჯახში ვცხოვრობდი ფრანკფურტში და მთელი კვირა კლაუსთან მომავალი მსოფლიოს ჩემპიონატისთვის დებიუტებს ვამუშავებდი. უანგაროდ მეხმარებოდა. მოგეხსენებათ, მწვრთნელთან პერსონალური მომზადება ძალიან ძვირია, სერიოზულ თანხებთანაა დაკავშირებული. უსპონსოროდ სრულყოფილი შეკრების გავლა წარმოუდგენელია. დიდი მადლობა საქართველოს ჭადრაკის ფედერაციას და მის პრეზიდენტ გია გიორგაძეს, რომელიც მოჭადრაკეებისთვის შესაძლებლობის მაქსიმუმს აკეთებს. ოფიციალური შეჯიბრების წინ შეკრებებს გვიწყობს. გერმანიის ტურნირზე გასამგზავრებლადაც ფედერაციამ დამაფინანსა, იქიდან დაბრუნებულს კი პერსონალური მწვრთნელიც მომამაგრა — საქართველოს ნაკრების წევრი მერაბ გაგუნაშვილი.

**— მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობასა და მეტოქეზე რას გვეტყვი?**

— ამ შეჯიბრების საგზური, ფაქტობრივად, ორჯერ მოვიპოვე: 2008 წელს პლოვდივში და შარშან პეტერბურგში ევროპის ჩემპიონატებზე. პეტრეს ქალაქში მედლამდე სულ მცირე დამაკლდა — ტაიბრეიკებში პოლონელ რაილიჩსა და რუს ოვოდს ვძლიე, მესამე ადგილისთვის პაექრობა კი „არმაგედონით" წავაგე ნატალია პოგონინასთან და მეოთხე ადგილზე გავედი.

თურქეთში პირველ მეტოქედ უკრაინელი ანა ზატონსკიხი მეყოლება. სერიოზული დიდოსტატია. კარგა ხანს ოკეანის გაღმა ცხოვრობდა და ამ ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონმა ამერიკის გუნდის შემადგენლობაში 2008 წელს მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადაზე მესამე ადგილი დაიკავა. მერე მეორედ გათხოვდა გერმანიაში დიდოსტატ ფრიდმანზე და ახლა მისი ხელმძღვანელობით ემზადება. სხვათა შორის, მე და ფრიდმანმა ერთად ვითამაშეთ გერმანიის ტურნირზე, სადაც მან კაცებში პირველი-მეოთხე ადგილები გაიყო, ანა კი ამ დროს ბუნდესლიგის პირველობაში მონაწილეობდა. საჭადრაკო დაფასთან მხოლოდ ერთხელ შევხვედრივართ ერთმანეთს — 1997 წელს ალუშტის საერთაშორისო ტურნირზე, მაშინ თითქმის მოგებული პარტია დავთმე. ასე რომ, რევანში მაქვს ასაღები. მართალია, ზატონსკიხი ძლიერი დიდოსტატია, მაგრამ, ტრაბახად ნუ ჩამითვლით და, მეც მეთქმის სიტყვა დიდ ჭადრაკში. თურქეთში 2 დეკემბერს გავემგზავრები და ვეცდები, რაც შეიძლება, მეტ ხანს დავრჩე იქ.

ვაჟა დანელია

**სუმოს სამყარო**

## ტოჩინოშინმა ტიტული დაკარგა

ელიტის ყველაზე ახალგაზრდა სუმოისტი **ლევან გორგაძე (ტოჩინოშინი)** 2011 წელს კომუსუბის ტიტულით ველარ შეხვდება - გუშინ მან კიუშუს ბაშოზე მე-8 მარცხი იგემა, რითაც უარყოფითი ბალანსში აღმოჩნდა. პირველ მაეგაშირა **კისენოსატოსთან** ორთაბრძოლას მეტად პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა, იაპონელთა იმედმა იორიკირით მოიგო და სწორედ ის გახდება ახალი წლიდან კომუსუბი, ხოლო ლევანი - რიგითი მაეგაშირა. წლეულს ტოჩინოშინმა ორჯერ მოიპოვა კომუსუბის ტიტული, მაგრამ შენარჩუნება ერთხელაც ვერ შეძლო. დარჩენილ ბრძოლებს ქართველისთვის მხოლოდ იმისთვის აქვს მნიშვნელობა, რამდენი საფეხურით დაქვეითდება რეიტინგში. დღეს ლევანი მე-3 მაეგაშირა **ჰომაშოს** (6-5) ხვდება.

უარყოფითი ბალანსითაა **ლევან ცაგურიაც (კოკაი).** ალმოსავლეთის მე-6 მაეგაშირა გუშინ **მოკონამიმ** გაიყვანა დოჰიოდან. „შავ ზღვას" რეიტინგში დაქვეითება არ ასცდება, დღეს მისი მეტოქე მე-12 მაეგაშირა **ბუშუიამაა** (2-9).

ჯერ კიდევ იბრძვის მე-10 მაეგაშირა **გაგამარუ** (5-6), რომელმაც იმდენი უკვე მოახერხა, რომ უარყოფითი ბალანსის შემთხვევაშიც არ გავარდება ელიტიდან. **თეიმურაზ ჯუღელმა** გუშინ ბუშუიამა იორიკირით გაიყვანა დოჰიოს რკალიდან. დღეს ელიტის ყველაზე მძიმე რიკიში მე-5 მაეგაშირა **ვაკანოსატოს** (4-7) ეჭიდავება.

კიუშუს ბაშოს ლიდერთა კვარტეტმა კვლავ მოიგო და ახლა უკვე 10-10 მოგებით ლიდერობს. დიდმა ჩემპიონმა **ჰაკუჰომ** იორიკირით დაამარცხა სეკივაკე **კაკურიუ.** დღეს ლიდერთაგან ერთი მაინც დამარცხდება, რადგან ოძეკი **ბარუტო** მე-9 მაეგაშირა **ტოიონოშიმას** ხვდება. 10 მოგება აქვს ვეტერან ოძეკი **კაიოსაც.**

**კიუშუს ბაშო. 14-28 ნოემბერი. ფუკუოკა (იაპონია)**

**XI დღე (სულ 8 ილეთი)**

**იორიკირი (9):** ჰაკუჰო-კაკურიუ, კოტოოშუ-ტოჩიოძანი, ბარუტო-იოშიკაძე, ასასეკირიუ-არანი, კისენოსატო-**ტოჩინოშინი,** კოტოშოგიკუ-კიტატაიკი, ვაკანოსატო-სოკოკურაი, მოკონამი-**კოკაი, გაგამარუ**-ბუშუიამა. **ჰიკიოტოში (3):** კაიო-ტაკეკაძე, შოტენრო-კიოკუტენჰო, კორიუ-ტოკიტენკუ. **ოშიტაოში (2):** ამინიშიკი-ჰაკუბა, ტოკუსეგავა-ჰომაშო. **ცუკიოტოში (2):** ტოჩინონადა-შიმოტორი, ტოიონოშიმა-ოკინოუმი. **უვატენაგე (1):** ტოსაიუტაკა-კოტოკასუგა. **ცუკიდაში (1):** მიაბიამა-კიმურაიამა. **ოშიდაში (1):** გოეიდო-ტამავაში. **სუკუინაგე (1):** ტაკამისაკარი-კასუგაო.

**სატურნირო მდგომარეობა**

**10-1: ჰაკუჰო** (იოკოძუნა), **ბარუტო** (ოძეკი), **კაიო** (ოძეკი), **ტოიონოშიმა** (მაეგაშირა 9).

**8-3: კოტოოშუ** (ოძეკი), **კისენოსატო** (მ 1), **გოეიდო** (მ 14), **შოტენრო** (მ 16)... 5-6: **გაგამარუ** (მ 10)... 3-8: **ტოჩინოშინი** (კომუსუბი), **კოკაი** (მ 6).

ნიკოლოზ ნეფარიძე

**ხელბურთი**

## ჩემპიონი დამაჯერებლად ლიდერობს

გლდანში ჯემალ ცერცვაძის სახელობის ხელბურთის სპორტკომპლექსში დასრულდა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მეორე ეტაპი. ქვეყნის მოქმედმა ჩემპიონმა, "თბილისისა" და აგრარული უნივერსიტეტის გაერთიანებულმა გუნდმა ამჯერადაც დაუმარცხებლად იასპარეზა და გათამაშებას დიდი უპირატესობით ლიდერობს.

| | თ | მ | ფ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. სსაუ/თბილ. | 10 | 10 | 0 | 0 | 20 |
| 2. ქუთაისი | 10 | 6 | 0 | 4 | 12 |
| 3. თსუ | 10 | 5 | 1 | 4 | 11 |
| 4. ძარიმხალა | 10 | 5 | 0 | 5 | 10 |
| 5. ბათუმი | 10 | 3 | 1 | 6 | 7 |
| 6. გორი | 10 | 0 | 0 | 10 | 0 |

## ჭანტურიას 6 გოლი

ევროტურნირებზე წარმატებით თამაშს განაგრძობს საქართველოს ნაკრების წევრი **რევაზ ჭანტურია.** სკოპიეს "ვარდარმა", რომლის ღირსებასაც იგი იცავს, ევროპის ხელბურთის ფედერაციის თასის მერვედფინალის პირველ მატჩში ლუქსემბურგული "ბერხემი" 42:23 გაანადგურა, ჭანტურიას ანგარიშზე კი 6 გოლია. განმეორებით შეხვედრას "ვარდარი" სტუმრად 27 ნოემბერს ჩაატარებს.

ლევან ჯანეზაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისუფალი ჭიდაობა

# თავისუფალი საქართველო

## გოგშელიძე და თუშიშვილი კვლავ არ ჭიდაობენ, მინდორაშვილის დაბრუნება ისევ გადაიდო

დღეს, 11 საათზე დილომში, ძიუდოს აკადემიაში თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა საქართველოს ჩემპიონატი დაიწყება, რომელმაც გაისად სეზონის უმთავრეს ტურნირებზე - ევროპისა და მსოფლიოს პირველობებზე წამსვლელი ნაკრების ბირთვი უნდა გამოავლინოს. ამდენად, ეს მნიშვნელოვანი შეჯიბრებაა და მასში მონაწილეობა ყველასთვის სავალდებულოა. ამას ფინანსური საკითხიც ემატება - აქ ნაჩვენებ შედეგზეა დამოკიდებული ათლეტთა ხელფასები მომავალ სეზონში. იქით ხელმძღვანელობა ითხოვდა ძალზე მკაცრად ჩემპიონატში ლიდერთა მონაწილეობას და ამ ყველაფერმა გაჭრა. ანონაზე რა მოხდება, არავინ იცის - არაა გამორიცხული, ზოგიერთები არ გამოცხადდნენ. ოფიციალურად კი მხოლოდ ოთხი კაცია გათავისუფლებული. სამწუხაროდ, სწორედ ამ კვარტეტშია ნაკრების გამოკვეთილი ლიდერი, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი, ოლიმპიური პრიზიორი **გიორგი გოგშელიძე** (96). იგი ექიმთა დასკვნის საფუძველზეა გათავისუფლებული - კისერი სტკივა. ამ ეტაპზე გადაიდო ოლიმპიური, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონ **რევაზ მინდორაშვილის** (84) სპორტში დაბრუნება - ბოლო ხანებში ის გერმანიაში მკურნალობდა და თითქმის არ ვარჯიშობდა. მესამე გათავისუფლებული ოლიმპიური პრიზიორი, მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი **ოთარ თუშიშვილია** (66) - ოჯახური პრობლემების გამო ბოლო ხანებში ვერ ვარჯიშობდა. შეჯიბრებაში არ გამოვა გოგშელიძისა და თუშიშვილის კიდევ ერთი თანაქალაქელი, გორელი **თენგიზ ჩოჩიშვილი** (60), რომელიც წლევანდელი ახალგაზრდული ნაკრების ერთ-ერთი ტრიუმფატორია - ევროპის ვერცხლის და მსოფლიოს ბრინჯაოს პრიზიორი. ცოტა ხნის წინ მან მენისკის ოპერაცია გაიკეთა და ჯერაც სარეაბილიტაციო პერიოდს გადის.

ამათ გარდა, ჩემპიონატში ყველა უძლიერესმა უნდა იჭიდაოს, ვინც კი საგაისოდ ნაკრების კანდიდატად მოიაზრება. მათ შორის, ახალგაზრდული ნაკრების ყველა ის მედალოსანი, რომლებმაც წლეულს თანატოლთა ევროპისა და მსოფლიოს პირველობებზე გამოიჩინეს თავი: ორივე შეჯიბრების გამარჯვებული **დავით ხუციშვილი** (74), მსოფლიოს ჩემპიონი და ევროპის ვერცხლის პრიზიორი **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** (55), მსოფლიოს ვერცხლის და ევროპის ბრინჯაოს მედალოსანი **ლაშა ტალახაძე** (50; ამჯერად ეს 55-ში იასპარეზებს), ევროპის ჩემპიონი და მსოფლიოს ბრინჯაოს პრიზიორი, მძიმეწონოსანი **გიორგი საკანდელიძე**... თუმცა გამოვლენ ახალგაზრდულ ნაკრებში ხელმოცარული ფალავნებიც.

ნამდვილად საინტერესო იქნება ამ ახალგაზრდების გამოსვლა. ცხადია, აქ ასპარეზობა ბევრად რთულია, ვიდრე - ახალგაზრდებში. ამიტომ ნუ გაგვიკვირდება, რომელიმეს თუ გაუჭირდება კიდეც. მაგალითად, იგივე ხუციშვილი, რომელიც მართლაც ნიჭიერია და ეს დუბლის მოგებითაც დაამტკიცა, საკმაოდ სუსტად გამოვიდა ეროვნულ ნაკრებში. თუმცა ეს ნაფორხილება დროებითია და ეჭვიც არ გვეპარება, ლონდონის ოლიმპიადამდე ეს წარმატებით ჩაანაცვლებს ახლანდელ ლიდერებს და სამომავლოდ არაერთ წარმატებას მოიპოვებს.

ვფიქრობთ, გულშემატკივრის ყველაზე დიდ ინტერესს მძიმე წონა გამოიწვევს, სადაც ლიდერობაზე პრეტენზიის მქონე ყველა ფალავანი იჭიდავებს - იგივე საკანდელიძე, უფროსებში მსოფლიოს წლევანდელი ბრინჯაოს მედალოსანი **ლევან ბერიანიძე**, უფროსებში ევროპის ექსჩემპიონი **დავით მოძმანაშვილი**, ახალგაზრდებში ევროპის ჩემპიონი **გიორგი ნიკურაძე, ლევან სეთურიძე** და სხვები... ვფიქრობთ, აქ მაყურებელი დაძაბულ ბრძოლებს იხილავს.

რაც შეეხება სხვა წონებს, 55-ში ყველაზე დიდ ინტერესს ხინჩეგაშვილის და ტალახაძის პაექრობა გამოიწვევს, თორემ წონის ძველმა ლიდერმა, ევროპის ვიცე-ჩემპიონმა **ბესარიონ გუჩაშვილმა** 60-ში გადაინაცვლა და ამჯერად იქ იჭიდავებს. 84-ში გამოვა ახალგაზრდებში ევროპის ვიცე-ჩემპიონი **დავით მარსაგიშვილიც**, რომელმაც წლეულს ვახტანგ ბალავაძის სახელობის „ოქროს დიდ პრიზზეც" ვერცხლი მოიპოვა, თუმცა სწორედ იქიდან დაეწყო ხანგრძლივი კრიზისი, რომელიც აქამდე გრძელდება. ვნახოთ, დასძლია თუ არა ეს ჩავარდნა.

დღეს შეჯიბრებაში საწყისი ოთხი წონის - 55, 60, 66 და 74-ის ფალავნები ჩაებმებიან. ტურნირი შესვენების გარეშე ჩატარდება, დასწრება კი თავისუფალია. შეჯიბრება ხვალაც შესვენების გარეშე ჩაივლის. სამწუხაროდ, ფინალური შეხვედრების პირდაპირი რეპორტაჟები არ გადაიცემა. აქ კიდევ ერთხელ უნდა გავავლოთ პარალელი ძიუდოსა და ჭიდაობებისადმი დამოკიდებულებას - ძიუდოისტთა ქვეყნის პირველობის ფინალური ბლოკი აჩვენეს პირდაპირ ეთერში. დაგვეთანხმებით, ჭიდაობა ჩვენთვის ნამდვილად სტრატეგიულია და ბევრად მეტ ყურადღებას იმსახურებს.

ჭიდაობა. კარავაევის ტურნირი.

# ბერძენ-რომაელები კარავაევს უმიზნებენ

საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრები გუშინ მინსკში გაფრინდა, სადაც ხვალ ოლიმპიური და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონ ოლეგ კარავაევის სახელობის საერთაშორისო ტურნირში იჭიდავებს. **ბეგი დარჩიამ** იქ **ლაშა გოგიტაძე** (55), **რევაზ ლაშხი** (60), **ანტონ მამაგეიშვილი** (66), **გენადი გოგიშვილი** (74), **ვლადიმერ გეგეშიძე** (84), **მიხეილ ქაჯაია** (96) და **გურამ ფერსელიძე** (120) წაიყვანა.

ამ შემადგენლობაში ერთი ცვლილებაა, რისი გაკეთებაც დარჩიას იძულებით მოუხდა - კოჭი ვერ მოირჩინა ევროპის ბრინჯაოს პრიზიორმა **სოსო ჯაბიძემ** (96) და მის ნაცვლად გუნდში ქაჯაია ჩართო. ჯაბიძეს კოჭი მაშინაც აწუხებდა, როცა დარჩიამ შემადგენლობა დაასახელა - სამი კვირის წინ, თუმცა ექიმებზე დაყრდნობით იმედოვნებდა, რომ ტრავმა მოუშუშდებოდა. ეს არაა ერთადერთი ტრავმა, რამაც გუნდის დაკომპლექტებაზე გავლენა მოახდინა - იმავე მიზეზით მინსკში მსოფლიოს ვერცხლისა და ევროპის ბრინჯაოს პრიზიორ **მანუჩარ ცხადაიას** (66) და ოლიმპიურ, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონ **მანუჩარ კვირკველიას** (74) წასვლა ადრევე გამოირიცხა. გაცივდა და სრულყოფილად ვერ ივარჯიშა ევროპის ორგზის და მსოფლიოს ჩემპიონმა, ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსანმა **რამაზ ნოზაძემ** (96). მისი წასვლაც ამ მიზეზით გამოირიცხა.

კარავაევის ტურნირი გუნდური შეჯიბრებაა, თუმცა აქამდე ჩვეულებრივი ფორმატით ტარდებოდა. რეფორმა გაისად მინსკშივე გასამართ მსოფლიოს თასს უკავშირდება - მასპინძლები იმ შეჯიბრებისთვის რეპეტიციას ახლავე გადიან. თუმცა გუნდურობაა იმის მიზეზი, რომ დარჩიამ უფრო დიდი შემადგენლობა არ წაიყვანა - იქ მხოლოდ ერთი სათადარიგო დასაშვები. ამასთან, ჩვენებისთვის მთავარი შეჯიბრება მაინც 22-24 დეკემბერს გასამართი საქართველოს ჩემპიონატია. ზოგმაც იმ ტურნირისთვის უკეთ მომზადების მიზნით ითხოვა გათავისუფლება - ვისაც წონის დაკლება უწევს ან გადაღლილობის საფრთხე არსებობდა (თუმცა ამის საშიშროება ნაკლებად გვგონია, რადგან ჩვენები არ არიან შეჯიბრებებით გადატვირთულები). წინასწარი მონაცემებით, ტურნირში ჩვენ გარდა ბელარუსის, რუსეთის, აშშ-ს, აზერბაიჯანის, სომხეთის, უკრაინის და საფრანგეთის გუნდები გამოვლენ. კარავაევის მემორიალი კომერციულია - გამარჯვებული ნაკრები 60 ათას დოლარს მიიღებს.

ძიუდო. ინტერვიუ პეტერ ზაიზენბახერთან



# ზაიზენბახერი: ოლიმპიადამდე საკმარისი დროა

## მთავარია, სწორი გეგმა დავსახოთ

გუშინ საქართველოს ძიუდოისტ ვაჟთა ნაკრების კონსულტანტად მოწვეულმა ავსტრიელმა ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა **პეტერ ზაიზენბახერმა** და მის მიერ ჩამოყვანილმა სამედიცინო ჯგუფმა დაასრულა ჩვენი სპორტსმენების კომპლექსური შემოწმება, საღამოს კი ზაიზენბახერი გუნდის ვარჯიშსაც დაესწრო და სპორტსმენებს დააკვირდა.

არ ვიცით, რა დასკვნები გამოიტანა მან ამ დაკვირვებიდან, მაგრამ მისმა სტუმრობამ ნათლად დაგვანახა დისტანცია საქართველოსა და განვითარებულ ევროპას შორის. ავსტრიელმა ჩვეულებრივად და უბრალოდ თქვა, ათიოდე შტანგა შეიძინეთო. მას ვერც წარმოუდგენია, რომ ამდენი ძალოსნობის დარბაზებსაც არ აქვთ. ზაიზენბახერს მასპინძლებთან ისიც უთქვამს, როგორ ავარჯიშებს თავის კლუბში წონის ლიდერებს - ერთ კაცს ათიოდე კონკურენტს დააჭიდებს, ოღონდ ყველა მათგანს სხვადასხვა ილეთის გაკეთება ევალება, ლიდერი კი მოვალეა, ყველასგან დაიცვას თავი! დაგვეთანხმებით, ასეთ პირობებში მრავალფეროვან სტილს გამოიმუშავებენ, ყველანაირ შეტევას მოუძებნიან თავდაცვის მექანიზმს და ჩვენი ფალავნებივით ერთი-ორ ილეთზე არ იქნებიან დამოკიდებულნი. ენა არ მოგვიბრუნდება, იგივე ჭიდაობებში მომუშავე მწვრთნელებს არაპროფესიონალიზმი დავწამოთ, მაგრამ ცხოვრება ერთ ადგილზე არ დგას, მსოფლიო ძალიან სწრაფი ტემპით ვითარდება და თუ წარმატება გვსურს, მას კვალში უნდა მივყვეთ, ფეხი ავუწყოთ. ამიტომაა გამართლებული უცხოელი სპეციალისტების მოწვევა ან ჩვენი მწვრთნელების რაც შეიძლება ხშირად მივლინება უცხოეთში.

პიროვნულად პეტერ ზაიზენბახერი საკმაოდ თავისუფალი ადამიანი ჩანს, რომელიც, გარკვეულწილად, ცივი და პრაგმატული ევროპელის სტანდარტებსაც არღვევს და - გაზულუქებული, ცხვირაწეული ვარსკვლავისასაც, რაც ასე ხშირია ჩვენში. კაცი ორგზის ოლიმპიური ჩემპიონია (ასეთი სულ ოთხია ევროპაში). თავისუფალ საზოგადოებაში გაზრდილი კაცი ურთიერთობაშიც უშუალოა და დატვირთული სამუშაო განრიგის მიუხედავად, ინტერვიუზე უყოყმანოდ დაგვთანხმდა. მასთან საუბარში ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი **გიორგი ალექსიძე** დაგვეხმარა, რომელმაც ევროპელთა სამუშაო გრაფიკიდან ერთი ნიშანდობლივი დეტალიც გაგვაცნო - შუადღეზე დასვენებასა და სადილზე უარი მითხრეს, საქმე ჯერ არ დაგვიმთავრებიაო... აბა, წარმოიდგინეთ, ჩვენ რას ვიზამდით მათ ადგილას, მე კი ინტერვიუმდე დავძენ, რომ ზაიზენბახერი საქართველოს ნაკრებთან ლონდონის ოლიმპიადის ჩათვლით იმუშავებს. ის ნაკრებს ტოკიოშიც გაჰყვება კანოს მემორიალზე, მერე კი მოსკოვში ჩადის, სადაც სამედიცინო შემოწმებას იქაურ ჰოკეისტებს ჩაუტარებს. მასთან კონტრაქტი დეკემბერში გაფორმდება.

**- რა დასკვნები გამოიტანეთ იმ ყველაფრიდან, რაც აქ ნახეთ - რეალობა ისეთია, რაც წარმოგედგინათ თუ?**

- თავიდან საერთოდ არაფერი ვიცოდი საქართველოზე, ქართულ ძიუდოზე. აქ სუფთა ფურცლით ჩამოვედი, მაგრამ ნელ-ნელა ვეცნობი აქაურობას. უბრალოდ, დროის ფაქტორია და ამ ტესტების შედეგების მიხედვით თანდათან შევქმნი ვითარების სრულ სურათს. შეფასებები ჯერ ადრეა, მოკლედ კი გეტყვით, რომ საბრძოლო ჟინი, გამარჯვებისთვის მზადყოფნა და სპორტსმენთა რაოდენობა, რაც აქ ვნახე, მისასალმებელია და ნამდვილად დადებითად შეიძლება შევაფასოთ. თუმცა დეტალებში უფრო ჩაღრმავება და კონკრეტულ სპორტსმენებზე ლაპარაკი ჯერ ადრეა. საამისოდ დრო მჭირდება.

**- თქვენ რა სამუშაოს შეასრულებთ ნაკრებთან, როგორ გადანაწილდება ფუნქციები თქვენსა და მთავარ მწვრთნელს შორის?**

- ერთი მხარეა, სპორტსმენები შევაფასო ფიზიკური, ტაქტიკურ-ტექნიკური მომზადების, გამძლეობის მხრივ, ამის მერე კი დავეხმარო მათაც და მწვრთნელებსაც, რომ გაიუმჯობესონ სპორტული ფორმა, არსებული მდგომარეობა. მაგალითად, 60 კილოგრამის მოჭიდავეს აბსოლუტურად განსხვავებული გარემო, აბსოლუტურად განსხვავებული ვარჯიში სჭირდება, ვიდრე - მძიმეწონოსნებს. აუცილებელია, ღრმად ჩავწვდეთ რეზერვს, მისი შესაძლებლობები გავიგოთ ბოლომდე და წავიდეთ სწორი გზით.

მეორე მიმართულებაა ექიმებთან მუშაობა, რაც დაგვეხმარება წინსვლაში. სხვა საკითხია, აქვთ თუ არა მათ ამის ინტერესი.

**- მომავალშიც ექიმთა იმ ჯგუფთან იმუშავებთ, რომელიც ახლა ჩამოიყვანეთ? ადრე გქონიათ მათთან საქმიანი ურთიერთობა?**

- ამ ჯგუფთან მუშაობის გაგრძელება ქართული მხარის გადასაწყვეტია, მაგრამ უახლოეს ხანში ამათთან ვიქნები. თქვენი ფედერაციის მიერ გადადგმული ნაბიჯიც თავისებურია და სპეციფიკური - უმეტესობა ჩვენთან ჩამოდის ადგილზე, თქვენები კი საპირისპიროდ მოიქცნენ.

რაც შეეხება ამ ჯგუფთან ჩემს ურთიერთობას, დაახლოებით 30 წელიწადია, მათთან ვმუშაობ, ჯერ კიდევ სპორტსმენობის დროიდან. ეს ძალზე გამოცდილი ჯგუფია, რომელსაც მხოლოდ ელიტურ ათლეტებთან აქვს შეხება, ოღონდ არა მარტო ძიუდოში, არამედ სპორტის ყველა სახეობაში.

**- საქართველოში ჩამოსვლა ჩვენთვის მძიმე პერიოდში მოგიხდათ, როცა გუნდი თავიდანაა ასაშენებელი. რამდენად მოულოდნელი იყო ეს შემოთავაზება და იოლად დათანხმდით?**

- ვერ ვიტყვი, რომ ძალიან რთულ დროს ჩამოვედი. შიდა სამზარეულოს კარგად არ ვიცნობ, მაგრამ ოლიმპიადა მოდის და ყველა ცდილობს, მზადების პროცესში კარგი სპეციალისტები ჩართოს - ამაში გასაკვირი არაფერია. ახლა მთავარია, სწორი პროგრამა შევიმუშავოთ და ამოვარჩიოთ გუნდი, რომელიც ლონდონში იჭიდავებს. რაც მეტი სპორტსმენი გყავს, ამორჩევაც მით უფრო იოლია. უნდა ვეცადოთ, ყველა თავის საუკეთესო ფორმამდე მივიყვანოთ და მერე მათ შორის ამოვარჩიოთ, ვისი სპორტული ფორმაც უკეთესია. ამჯერად ახალი საკვალიფიკაციო სისტემაა და ყველა თანაბარ პირობებშია. ტაქტიკას და ტექნიკურ გამოცდილებას რაც შეეხება, ეს ახალგაზრდა გუნდი უნდა ჩაერთოს რაც შეიძლება მეტ ერთობლივ ვარჯიშში - იქ ბევრი გუნდია, განსხვავებული ტაქტიკით და ყველას მოსინჯავენ. ეს ორი მიმართულებით შეიძლება გაკეთდეს - ან ჩვენ წავიდეთ საზღვარგარეთ, ან - ისინი აქ მოვიწვიოთ. საქართველოში ჩამოსვლა ბევრს უნდა. ჩვენ თუ მოვამზადებთ მომსახურეობის პაკეტს, რა უნდა შევთავაზოთ მათ, რამდენიმე ნაკრები აუცილებლად ჩამოვა. თუ ეს წინასწარგაწერილი გეგმა არ იქნება, არავინ ჩამოვა - თავგადასავლებს არავინ ეძებს, მათ ვარჯიში აინტერესებთ. მით უფრო, თუ კარგი გუნდების ჩამოყვანა გვინდა, ისინი პირობებსაც განსხვავებულს ითხოვენ. მომსახურეობაში შედის არა მხოლოდ კვება და სასტუმრო, არამედ დასვენების საშუალება, რელაქსაცია-აღდგენისთვის საჭირო პირობებიც. ცხადია, ძლიერი პარტნიორი ყველას უნდა, მაგრამ მხოლოდ ეს არაა საკმარისი, პირობებიც საჭიროა. ძიუდოს სამყაროში ძალიან ბევრი მეგობარი მყავს. ისინი სიხარულით შეხვდნენ ცნობას ქართველებთან ჩემი მუშაობის შესახებ და ყველამ მთხოვა, სავარჯიშოდ ჩამოვალთო. თუმცა ეს იოლიც არ იქნება, რადგან გრაფიკი გაწერილი აქვთ. მისი შეცვლა არც ისე იოლია, თუმცა ჩამოსვლის სურვილი ნადვილად გამოთქვეს.

**- როგორ ფიქრობთ, ოლიმპიადამდე დარჩენილი დრო საკმარისია გუნდის სათანადოდ მოსამზადებლად?**

- ოლიმპიადამდე წელიწადნახევარია დარჩენილი. ამ პერიოდში ახალგაზრდა გუნდი ყველაფერში სრულყოფილად მომზადებას ვერ მოასწრებს, მაგრამ ფიზიკური მომზადება შესაძლებელია. ტაქტიკა და ტექნიკა ერთ დღეში არ მოდის - ახლები ძველი მოჭიდავეებივით გამოცდილები ერთბაშად ვერ გახდებიან, მაგრამ ფიზიკური სრულყოფისთვის საკმარისია.

**- ალბათ, ქართველი ფალავნები სპორტსმენობის დროიდანაც გემახსოვრებათ. გქონდათ მათთან ახლო ურთიერთობა?**

- უკვე საკმაო ასაკისა ვარ და ბევრ რამესაც მოვესწარი. საბჭოთა კავშირის ნაკრებში ძალიან ბევრი ქართველი გამოდიოდა. მათთან ახლო ურთიერთობა არ მქონია. უბრალოდ, იყო პატივისცემა, როგორც ძლიერი ძიუდოისტებისადმი. 1981 წელს 20 წლისამ ჩემი პირველი ოფიციალური ტურნირი დავით ბოდაველთან წავაგე, მერე კი აღარ მახსოვს, შევხვდი თუ არა ქართველს ტატამზე.

**- სპორტიდან წასვლის შემდეგ სად მოღვაწეობდით, როგორი იყო თქვენი კარიერა?**

- ჯერ ავსტრიის სპორტის სამინისტროში ვმუშაობდი, მერე კი ვენაში საკუთარი კლუბი დავაარსე და დღემდე იქ ვმუშაობ. ყოველთვის ვარ ჩართული ძიუდოს საერთაშორისო განვითარებაში, აქტიურად ვადევნებ თვალს და წელიწადში ერთხელ შეგირდები იაპონიაშიც დამყავს ერთობლივ ვარჯიშებზე.

გვერდი მოამზადა
**ირაკლი თავაძემ**

# კალათბურთი

## სუპერლიგა. II ტური ციფრებში

### სტატისტიკური ლიდერები

**ქულა**

| მოთამაშე | გუნდი | თ. | ქ. | ქ.საშ |
|---|---|---|---|---|
| 1. ლაშა კეშელავა | ბათუმი | 3 | 73 | 24.33 |
| 2. ლაშა ფარლალავა | სოხუმი | 4 | 80 | 20 |
| 3. ბუბა კვიმსაძე | ქუთაისი | 3 | 59 | 19.67 |
| 4. ბექა ჩიკვილაძე | სტუ | 4 | 78 | 19.5 |
| 5. გიორგი მარხვაშვილი | თსუ | 3 | 57 | 19 |
| 6. კოტე ტულუში | არმია | 3 | 56 | 18.67 |
| 7. მიხეილ ფანჩულიძე | თსუ | 4 | 74 | 18.5 |
| 8. რევაზ ჩაჩანიძე | სსაუ | 4 | 68 | 17 |
| 9. დავით ხანიაშვილი | სსაუ | 4 | 66 | 16.5 |
| 10. ჟულივეტ ტუჯანი | ენერჯი | 4 | 63 | 15.75 |
| 11. ლევან ცეკვავა | ენერჯი | 4 | 63 | 15.75 |
| 12. მიხეილ ჟოჟუა | თსსუ | 4 | 63 | 15.75 |
| 13. რიჩარდ მათიაშვილი | თსუ | 4 | 63 | 15.75 |
| 14. ტროი კოტონი | შსს | 3 | 47 | 15.67 |
| 15. ირაკლი ალხანაიძე | დინამო | 4 | 62 | 15.5 |

**პასი**

| მოთამაშე | გუნდი | თ. | პ. | პ.საშ |
|---|---|---|---|---|
| 1. გიორგი გაფრინდაშვილი | თსუ | 4 | 27 | 6.75 |
| 2. კოტე ტულუში | არმია | 3 | 17 | 5.67 |
| 3. ლაშა ფარლალავა | სოხუმი | 4 | 22 | 5.5 |
| 4. ტარიელ თავართქილაძე | თსსუ | 4 | 21 | 5.25 |
| 5. გივი ბაქრაძე | არმია | 3 | 15 | 5 |
| 6. ბექა წივწივაძე | ენერჯი | 4 | 19 | 4.75 |
| 7. რიჩარდ მათიაშვილი | თსუ | 4 | 18 | 4.5 |
| 8. ვასილ ბერუაშვილი | სტუ | 4 | 18 | 4.5 |
| 9. გიორგი ტეტელაშვილი | სსაუ | 4 | 18 | 4.5 |

**ჩაჭრა**

| მოთამაშე | გუნდი | თ. | ჩ. | ჩ.საშ |
|---|---|---|---|---|
| 1. ირაკლი გულისაბედაშვილი | სამედ. | 4 | 14 | 3.5 |
| 2. ლაშა ფარლალავა | სოხუმი | 4 | 12 | 3 |
| 3. ვასილ ბერუაშვილი | სტუ | 4 | 12 | 3 |
| 4. ზვიად ანთაძე | სტუ | 4 | 12 | 3 |
| 5. გივი ბაქრაძე | არმია | 3 | 8 | 2.67 |
| 6. გიორგი მარხვაშვილი | თსუ | 3 | 8 | 2.67 |
| 7. ლევან ელიაძე | ბათუმი | 3 | 8 | 2.67 |
| 8. გიორგი გაფრინდაშვილი | თსუ | 4 | 10 | 2.5 |
| 9. მიხეილ ფანჩულიძე | თსუ | 4 | 10 | 2.5 |

**დაფარება**

| მოთამაშე | გუნდი | თ. | დ. | დ.საშ |
|---|---|---|---|---|
| 1. კარლ დამუსი | სოხუმი | 4 | 8 | 2 |
| 2. ირაკლი კოზიძე | სტუ | 4 | 7 | 1.75 |
| 3. ანატოლი ბოისა | არმია | 3 | 5 | 1.67 |
| 4. რიჩარდ მათიაშვილი | თსუ | 4 | 6 | 1.5 |
| 5. დავით იმნაძე | შსს | 3 | 4 | 1.33 |

**შეცდომა**

| მოთამაშე | გუნდი | თ. | შ. | შ.საშ |
|---|---|---|---|---|
| 1. ლაშა ფარლალავა | სოხუმი | 4 | 22 | 5.5 |
| 2. მაიკ მაძძერი | სოხუმი | 3 | 13 | 4.33 |
| 3. ბექა ჩიკვილაძე | სტუ | 4 | 17 | 4.25 |
| 4. ლევან ცეკვავა | ენერჯი | 4 | 15 | 3.75 |
| 5. გივი ბაქრაძე | არმია | 3 | 11 | 3.67 |
| 6. გიორგი გაფრინდაშვილი | თსუ | 4 | 14 | 3.5 |
| 7. გიორგი ტეტელაშვილი | სსაუ | 4 | 14 | 3.5 |

**მოხსნა**

| მოთამაშე | გუნდი | თ. | მეტ. | საკ. | ჯამი | მ.საშ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დავით იმნაძე | შსს | 3 | 16 | 20 | 36 | 12 |
| 2. კარლ დამუსი | სოხუმი | 4 | 22 | 24 | 46 | 11.5 |
| 3. ლაშა კეშელავა | ბათუმი | 3 | 10 | 23 | 33 | 11 |
| 4. რიჩარდ დამუსი | სოხუმი | 4 | 21 | 21 | 42 | 10.5 |
| 5. დავით უგრეხელიძე | არმია | 3 | 10 | 18 | 28 | 9.33 |
| 6. კოტე ტულუში | არმია | 3 | 4 | 24 | 28 | 9.33 |
| 7. ბექა ბექაური | თსსუ | 4 | 13 | 24 | 37 | 9.25 |
| 8. რიჩარდ მათიაშვილი | თსუ | 4 | 15 | 22 | 37 | 9.25 |
| 9. ჟულივეტ ტუჯანი | ენერჯი | 4 | 11 | 25 | 36 | 9 |
| 10. ნოდარ თენიეშვილი | ბათუმი | 3 | 8 | 18 | 26 | 8.67 |

### რეკორდები

**ქულა**

33 - ლაშა ფარლალავა (სოხუმი).
2-ქულა: 4/8. 3-ქულა: 7/16. საჯარიმო: 4/7.
13.11.10 სოხუმი-ენერჯი

**მოხსნა**

17 - დავით იმნაძე (შსს).
მეტოქის ფარზე: 5. საკუთარზე: 12.
12.11.10 ბათუმი-შსს

**პასი**

13 - გიორგი გაფრინდაშვილი (თსუ).
01.11.10 სტუ-თსუ

**ჩაჭრა**

7 - გიორგი გაფრინდაშვილი (თსუ).
01.11.10 სტუ-თსუ
7 - ირაკლი გულისაბედაშვილი (სამედ.)
09.11.10 ენერჯი-სამედიცინო

**დაფარება**

5 - ანატოლი ბოისა (არმია)
13.11.10 სტუ-არმია




## ტურის კალათბურთელი — MVP

### თორნიკე ნინიაშვილი

# მეოთხე ტური: შემობრუნების წერტილი

**მიმდინარე ჩემპიონატში იმდენი საინტერესო თამაშია, რომ ტურის ცენტრალური მატჩის გამოყოფაც რთულდება და საუკეთესო კალათბურთელის გამორჩევაც. მეტსაც გეტყვით, მეოთხე ტურში არათუ MVP-ს, არამედ სიმბოლურ ხუთეულში შესაყვანი კალათბურთელების არჩევაც გაგვიჭირდა. საბოლოოდ ზოგიერთი ღირსეული კანდიდატი სიმბოლური ნაკრების მიღმა აღმოჩნდა. ეს, პირველ რიგში, ნოდარ თენიეშვილს ეხება.**

ჟურნალისტთა უმეტესობამ საუკეთესო კალათბურთელი რუსთავში „ენერჯის“ მძლეველი „სამედიცინოდან“ შეარჩია - **თორნიკე ნინიაშვილი.** საინტერესოა, რომ სუპერლიგის საიტზე მიმდინარე გამოკითხვაშიც სწორედ თორნიკე ლიდერობს - ხმების 26.9 პროცენტი. მან რუსთავში 17-დან 11 ორქულიანი ჩააგდო და 22 ბალი მოაგროვა.

ტრადიციულად, გთავაზობთ ინტერვიუს ტურის საუკეთესო კალათბურთელთან, რომელთან საუბარი „ენერჯისთან“ მატჩით დავიწყეთ.

**- საწყისი სამი მარცხის შემდეგ, რუსთავში რა განწყობით ჩახვედით?**

- მოსაგებად! თითქმის დარწმუნებული ვიყავი, რომ წარმატება ჩვენ დაგვრჩებოდა. სამი წაგების მერე სწორი დასკვნები გამოვიტანეთ და ვფიქრობ, სწორედ „ენერჯისთან“ მატჩი იქცევა შემოტრიალების წერტილად.



**- რის ხარჯზე დაამარცხეთ მასპინძლები?**

- სეზონის დაწყების შემდეგ თამაში გავაუმჯობესეთ, რუსთავშიც კარგად გავისარჯეთ. შეიძლება, ჩვენ სასარგებლოდ გარკვეულმა ფსიქოლოგიურმა მომენტმაც იმოქმედა, ცოტა ფორტუნაც დაგვეხმარა...

**- მეორე ტაიმში შენც უკეთესად ითამაშე და დანარჩენმა „მედიკოსებმაც“...**

- ქულათა უმეტესობა მეორე ნახევარში ჩავაგდე. ძალიან მიჭირს რომელიმე თანაგუნდელის გამორჩევა, რადგან გუნდური კალათბურთი ვითამაშეთ. გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანეს ჩაჩიბაიამ, გულისაბედაშვილმა, თავართქილაძემ...

**- საწყის სამ ტურში წაგების მიზეზი რა იყო?**

- ჩემპიონატი რომ დაიწყო, ახალი შეკრებილები ვიყავით. შეთამაშება და ვარჯიში გვაკლდა. ახლა ამ მხრივ ყველაფერი გამოსწორდა და თამაშსაც ნელ-ნელა ვუმატებთ. ვიმედოვნებ, მეოთხე ტურიდან შედეგებსაც გავაუმჯობესებთ და ოთხეულში მოხვედრაზე პრეტენზიაც საფუძვლიანი იქნება.

**- ბოლოს, მიმდინარე სუპერლიგაზე გკითხავ.**

- კარგი ჩემპიონატი გვაქვს. წინა წლების პირველობებს აშკარად სჯობს. მართალია, არის ერთი-ორი აუტსაიდერი, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ მათი ძლევა იოლია. ფავორიტად კი „არმია“ მიმაჩნია, რომელშიც ძლიერი შემადგენლობაა შეკრებილი.




## ქართველი NBA-ში

# იმ საღამოს რას აკეთებთ?

„ბოსტონ სელტიქსთან“ წაგების შემდეგ „ატლანტას“ მწვრთნელმა **ლარი დრიუმ** ისეთი ფრაზა თქვა, ამერიკულმა გაზეთებმა უმალ აიტაცეს:

*- ბიჭებს ვუთხარი, არ ვიცი, რას აკეთებთ თამაშის წინა ღამით, არ ვიცი რას საქმიანობთ მოედნის მიღმა, მაგრამ ფაქტია, რომ რაღაცა წესრიგში არ არის. უკვე მესამე თამაშია, ჩემს ბიჭებს ვერ ვცნობ. ყველამ საკუთარი პრობლემა გვერდზე უნდა გადადოს და კონცენტრაცია მატჩებზე მოახდინოს.*

მწვრთნელის შეგონებამ მეტ-ნაკლებად გაჭრა, „ჰოქსმა“ „ნიუ ჯერსიში“ ბოლო წუთებზე ანგარიში გაათანაბრა და მატჩი დამატებით დროში გადაიყვანა, თუმცა ოვერტაიმში მასპინძლებთან ვერაფერი გააწყო და 101:107 დამარცხდა.

ლარი დრიუ **ზაზა ფაჩულიას** კვლავაც ენდობა, მოედანზე პირველი პერიოდის ბოლოს შეჰყავს და მეორის დასაწყისში ათამაშებს. ზაზას შემდეგი გამოჩენა მესამე პერიოდის ბოლოსა და მეოთხის დასაწყისზე მოდის... თუმცა მწვრთნელმა ქართველ ცენტრს სათამაშო დრო ნელ-ნელა შეუმცირა. „ნიუ ჯერსიში“, მიუხედავად იმისა, რომ ფაჩულია ურიგოდ არ გამოიყურებოდა, მხოლოდ 11 წუთი ათამაშა.

„ნიუ ჯერსისთან“ წაგება „ატლანტასთვის“ მეშვიდე იყო. ჯორჯიელებს 8 მოგება აქვთ და აღმოსავლეთის კონფერენციაში მეექვსე ადგილზე არიან. „ჰოქსი“ მე-16 მატჩს შინ, 25 ნოემბერს „ვაშინგტონთან“ ჩაატარებს. ვნახოთ, ჯორჯიელები შეწყვეტენ თუ არა წაგებათა სამმატჩიან სერიას.

**ნიუ ჯერსი-ატლ. 107:101**

ზაზა ფაჩულია: 10:44 წუთი, 4 ქულა (4-დან 2 ორქულიანი), 6 მოხსნა, 2 პასი, 2 ფოლი.

**ქრონოლოგია**

**I პერიოდი**

02:54 ზაზამ ჰორფორდი შეცვ.
01:10 ორქულიანი: არაზუსტი
01:07 ფოლი: 1

**II პერიოდი**

10:52 მოხსნა: შეტ-1, დაც-0
10:51 ორქულიანი: 2ქ (23:33)
10:36 მოხსნა: შეტ-1, დაც-1
09:57 ფოლი: 1
09:57 ჰორფორდმა ზაზა შეცვ.

**III პერიოდი**

01:59 ზაზამ ჰორფორდი შეცვ.
01:44 მოხსნა: შეტ-2, დაც-1
01:40 პასი: 1 (უილიამსი 3ქ, 67:70)
00:35 მოხსნა: შეტ-2, დაც-2

**IV პერიოდი**

11:42 ორქულიანი: არაზუსტი
11:40 მოხსნა: შეტ-3, დაც-2
11:38 ორქულიანი: 4ქ (69:70)
09:49 პასი: 2 (კროუფ. 2ქ, 71:74)
08:39 მოხსნა: შეტ-3, დაც-3
08:12 ჰორფორდმა ზაზა შეცვ.

# ენერჯისა და არწივიძის გზები გაიყო

„ენერჯი“-“სამედიცინოს“ მატჩის მიმოხილვაში დავწერეთ: „რუსთაველთა უკანახაზელმა **დავით არწივიძემ** არასპორტული ჯარიმა მიიღო, რასაც მისი აღშფოთება და აყალმაყალი მოჰყვა. არწივიძემ ტექნიკურიც მიიღო და პროტესტის ნიშნად დარბაზი საკუთარი სურვილით დატოვა.“



ამ ინციდენტს საბოლოოდ არასახარბიელო შედეგი მოჰყვა - დავით არწივიძისა და „ენერჯის“ გზები გაიყო. ამ ამბავთან დაკავშირებით რუსთაველთა მწვრთნელ **მიხეილ ბერუაშვილს** დავუკავშირდით, რომელმაც დაგვიდასტურა, რომ დისციპლინის დარღვევის გამო არწივიძე „ენერჯიდან“ დაითხოვეს.

გვერდი მოამზადა
ვაჟა სიმონიშვილმა





# ქართული სპორტის ქრონიკები

ეროვნული ბიბლიოთეკა

## შეხვედრა წარსულთან



მარცხნიდან: ვახტანგ ბალავაძე, გურამ სალარაძე, ეროსი მანჯგალაძე ფოტო ლელოს არქივიდან

# ეროსი მანჯგალაძე

## გრიგოლ გაგუა იგონებდა

ომის შემდეგ მრავალმა ადამიანმა სცადა ფეხბურთის რადიორეპორტაჟის გადაცემა, მათ შორის რამდენიმე ცნობილმა მსახიობმაც, მაგრამ საბოლოოდ მიკროფონთან რადიოკომენტატორის ღირსეული ადგილი მხოლოდ რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტმა **ეროსი მანჯგალაძემ** დაიმკვიდრა. მისმა სასიამოვნო ბარიტონმა, ომახიანმა „არის! არის!“ და მრავლისმეტყველმა „მაგრამმა“ გულშემატკივრთა საყოველთაო მოწონება დაიმსახურა. გაგონილი მქონდა ეროსი შესანიშნავად გადასცემს თამაშის მსვლელობასო, შეხვედრით კი არასოდეს შევხვედროდი.

და აი, მოსკოვის „დინამოს“ სტადიონის საერთო საცხოვრებელში, სადაც იქ ჩასვლის დროს ვცხოვრობდით, გამოგვეცხადა მაღალი ტანის, სასიამოვნო იერის, საოცრად მორიდებული ახალგაზრდა კაცი, რომელმაც დიდი ბოდიშების შემდეგ გაგვაგებინა ეროსი მანჯგალაძე გახლავართ და მოსკოვში ჩამოვედი თამაშის რადიორეპორტაჟის გადასაცემადო. ეროსიმ რატომღაც მე მთხოვა სტადიონის დირექციაში მიმყევი გადაცემის საკითხის მოსაგვარებლადო. როდესაც საკითხი დადებითად გადაწყდა, ღამის გასათევად ჩემ გვერდით რომ თავისუფალი საწოლი იყო, ის შევთავაზე. სულ ერთთავად ღელავდა, ერთ ადგილზე ვერ ჩერდებოდა და გამუდმებით ერთსა და იმავეს მეუბნებოდა: პირველად გადავცემ მოსკოვიდან რეპორტაჟს, დამეხმარეთ, თუ ძმა ხართ. სიკეთე ჰქენით, მოიგეთ ეს თამაში რომ გადაცემა გამიადვილდეს. ინსტიტუტიდანაც უნებართვოდ ვარ წამოსული და თუ მოვიგეთ, აკაკი ხორავას სიბრაზეც გადაუვლის და ინსტიტუტიდანაც არ გამომრიცხავსო. დავაშოშმინე.

ვახშმად წასვლის წინ შოთა შავგულიძემ გაგვაფრთხილა მძარცველებისა და მკვლელების ბანდა დადის ქალაქში, წუხელის სტადიონის ახლოს ორი კაცი მოუკლავთ, ღამე გვიანობამდე გარეთ არ დარჩეთო.

მეორე დღეს მძიმე თამაში გველოდა და დასაძინებლად ადრე დავწექით. ეტყობა, ტვინში ჩამრჩა შოთა შავგულიძის ნაამბობი, მთელი ღამე ვბორგავდი, ვილაც გადარეული დანამომარჯვებული მდევდა მოსაკლავად.

დილით, ვარჯიშის შემდეგ, სირბილით გამოვეშურე საერთო საცხოვრებლისკენ, რადგანაც ერთადგილიან საშხაპეში მუდამ რიგი იდგა. ის იყო, საშხაპის კარს ხელი წავავლე, რომ შიგნიდან ემოციით აღსავსე ხმა შემომესმა:

— ჯერ შეიცადეთ!

ადგილზე გავშეშდი.

— ვიდრემდე წახვალთ, მათქმევინეთ ორიოდე სიტყვა!

კართან მივედი და სმენად ვიქეცი.

— მივწვდი მე ყელში იმ ქოფაკ ძაღლსა, წინდაცვეთილს, და დავკალ, აი, ასე...

იატაკზე სხეულის დაცემისა და ხროტინის ხმა შემომესმა. შეშინებულმა სწრაფად ჩავირბინე კიბეები და რაც შემეძლო ვიყვირე: „უშველეთ! უშველეთ! მოკლეს“. მოვარდნენ ბიჭები — ვინ მოკლეს, სად მოკლესო! მე ხელით ვანიშნე, ყველანი ერთად ფრთხილად მივუახლოვდით კარებს. საშხაპედან გარკვევით გავიგონეთ სხვადასხვა ინტონაციით წარმოთქმული „მიი! მიი! მიი!“ დავცხეთ კარს მუშტები და ვიყვირეთ — გააღეთ კარი! საშხაპის კარი ნელა გაიღო და გამოჩნდა წელზე ზეწარშემოხვეული და თავზე პირსახოცწაკრული... ეროსი მანჯგალაძე.

— რა ჰქენი, ეროსი! მოკალი, კაცო? — ვეკითხები ეროსის.

აროხროხდა ეროსი, ბევრი იცინა, მერე სული რომ მოითქვა, გვითხრა, ოტელოს მონოლოგს ვკითხულობდი, პატივცემულნო, „მიის“ ძახილით კი ხმას ვიყენებდიო.

ახლა ბიჭებმა ატეხეს სიცილი. მთელიდღე ვეხვეწებოდი ეროსის, არ დამღუპო, არავისთან წამოგცდეს ეს საჯაყი ამბავი და სამაგიეროდ გოლს გავიტანმეთქი. ყველაფერი კარგად აგისრულდეთ: გოლიც გავიტანე, თამაშიც მოვიგეთ და კარგად გადაცემული რეპორტაჟის გამო აკაკი ხორავამაც შეირიგა ეროსი და ინსტიტუტში დატოვა.

რაღაც განსაკუთრებული, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი თავმდაბლობის, ყურადღებიანობისა და სითბოსთვის შეიყვარეს ეროსი „დინამოს“ ფეხბურთელებმა. იგი უკვე სტუმარი აღარ იყო; ჩვენთან, ერთად გამოდიოდა მინდორზე სავარჯიშოდ და ალბათ კარგი ფეხბურთელიც დადგებოდა თავის დროზე ხეირიანი მწვრთნელის ხელში რომ მოხვედრილიყო. ეს იყო, ოღონდ, მისი ფეხის ზომის (45-46) ვერც ბუცი ვიშოვეთ და ვერც კედი. ეროსი ხშირად გვიყვებოდა თეატრის კულისებსმიღმა ცხოვრების ამბებს, იუმორით აღსავსე სხვადასხვა თეატრალურ ანეკდოტს. გვიზიარებდა თავის სანუკვარ ოცნებებს, გვიამბობდა, თუ რომელ როლს როგორ შეასრულებდა. განსაკუთრებით, შექსპირის „ოტელოსა“ და სუმბათაშვილ-იუჟინის „ღალატის“ გმირების განსახიერებას ოცნებობდა.

შესანიშნავად დაყენებული ხავერდოვანი ხმის პატრონმა სასიამოვნო საუბრის გარდა სიმღერაც კარგი იცოდა, ამიტომაც ბორის პაიჭაძეს უხაროდა ხოლმე მისი გამოჩენა. დაინახავდა თუ არა ეროსის, სიამოვნებისაგან სახე გაებადრებოდა და დაბალ ხმაზე წაიღიღინებდა — „ართი კოჩი ქუმორთუდო, ოსურს გირიგენქიავო“. ეროსი წამსვე ბანს მიაშველებდა და ლაღობდნენ ორთავენი.

ერთხელ რუსეთის ერთ ქალაქში ახალი კორპუსის ორ ოთახში მოგვათავსეს ყველანი. ეროსიც ჩვენთან დარჩა. დაუმთავრებელ სახლში არც წყალია და არც შუქი. სიბნელეში ლოგინზე წამოწოლილმა ბიჭებმა გადავწყვიტეთ „ოთახებით“ შევჯიბრებოდით ერთმანეთს სიმღერაში, ჯერ ერთმა ოთახმა იმღეროს, მერე მეორემო. ეს იყო, ჩემი ოთახის ბიჭებმა სიმღერა დავამთავრეთ, რომ არჩილ კიკნაძემ ასანთი აანთო და მკითხა:

— გინდა სიმღერაში ჩვენმა ოთახმა გაიმარჯვოს?

— რა თქმა უნდა.

— ჰოდა, თუ ჩვენი ოთახის გამარჯვება გინდა, ჩუმად შეიპარე იმ ოთახში და იმათთან ერთად იმღერე...

ასეც მოვიქეცი. იმ ოთახში სიმღერა დამთავრებული არ გვქონდა, რომ ეროსი მანჯგალაძის ხმა გაისმა.

— ბორის სოლომონოვიჩ, ამ მხარეს ვიღაცა გვიშლის ხელს.

ახლა ბორის პაიჭაძემ აანთო ასანთი.

— შენ ამ ოთახში ცხოვრობ? — შემეკითხა.

— არა, იმ ოთახში.

— მაშ, ამ ოთახში რატომ ხარ?

— მოვედი, თქვენთან ერთად რომ ვიმღერო და ამით იმათ დავეხმარო:

— შე ხომ არ გაგიჟდი, — მიყვირა ბორისმა, — მაგ მიზნით ჩვენ რა ხანია იმ ოთახში თენგიზ გავაშელი შევაპარეთ.

ეროსი მანჯგალაძის სიფხიზლისა და ძლიერი ხმის წყალობით პაიჭაძის ოთახმა გაიმარჯვა.

ერთხელ ფეხბურთის რომელიღაც გულშემატკივარმა მკითხა ასე თავდავიწყებით რისთვის უყვარს ეროსის თქვენი გუნდი ან თქვენც რისთვის გიყვართ იგი?

ოტელოს სიტყვებით ვუპასუხე:

„ჩემგან გამოვლილ ჭირთათვის მან ჩვენ შეგვიყვარა,

ჩვენ შევიყვარეთ ჩვენთან ჭირთა თანაგრძნობისთვის.

არ გვიხმარია ამის მეტი ჯადო-თილისმა!“

## თარიღი 25 ნოემბერი–1 დეკემბერი

**25.XI. 1942 წ.** დაიბადა **რომან რურუა** — ბერძნულ-რომაული ჭიდაობა.

**25.XI.1948 წ.** დაიბადა **ვლადიმერ ისელიძე** — წყალბურთი.

**25.XI.1936 წ.** დაიბადა **გურამ მინაშვილი** — კალათბურთი.

**26.XI.1905 წ.** დაიბადა **ვიქტორ გოგლიძე** — ჭადრაკი. გარდაიცვალა 1964 წელს.

**26.XI.1983 წ.** დაიბადა **ბაადურ ჯობავა** — ჭადრაკი.

**26.XI.1920 წ.** დაიბადა **დავით ჩირაძე** — ჭადრაკი. გარდაიცვალა 1987 წელს.

**26.XI.1924 წ.** დაიბადა **ნიკოლოზ მუზაშვილი** — თავისუფალი ჭიდაობა. გარდაიცვალა 1992 წელს.

**27.XI.1975 წ.** გარდაიცვალა **ალექსანდრა ჯაფარიძე** — ალპინიზმი. დაიბადა 1895 წელს.

**30.XI.1988 წ.** თბილისის საპატიო მოქალაქედ დასახელდა **ბორის პაიჭაძე.**

**1.XII. 1961 წ.** თბილისში გივი მრელაშვილის თაოსნობით შეიქმნა საქართველოში პირველი ოფიციალური ორგანო — თბილისის რაგბის საქალაქო სექცია. ეს დღე აღიარებულია საქართველოში რაგბის ოფიციალურად ცნობის დღედ.

## პირველი, პირველმა, პირველად...

**პირველი** უბედური შემთხვევა ქართული ალპინიზმის ისტორიაში მოხდა 1929 წლის 27 აგვისტოს. თეთნულდზე პირველი ქართული ასვლის მცდელობისას ყინულვარდნილში გადაიჩეხნენ და დაიღუპნენ სიმონ ჯაფარიძე და პიმენ დვალი. ჯგუფის მესამე წევრმა გიორგი ნიკოლაძემ საკუთარი თვალით იხილა ეს ტრაგედია, მაგრამ უმწეო იყო რაიმე ეღონა.

**პირველმა** მოჭადრაკეთა შორის დიდოსტატის წოდება, როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შორის მოიპოვა **ნონა გაფრინდაშვილმა.**

**პირველად** მასობრივი სპორტული სანახაობა ქუთაისში გაიმართა 1919 წლის 5 ოქტომბერს. თბილისის „შევარდენმა“ წარმოადგინა გიორგი ეგნატაშვილის ვარჯიში „საქართველოს ვარსკვლავი“. ამ სტუმრობას დაერთო „შევარდენის“ ქუთაისის ორგანიზაციის შექმნა.

## თქვენთვის, ერუდიტებო! ვიქტორინა (ეძღვნება ქართულ კალათბურთს)

1. შესაბამისად რამდენგზის მსოფლიოს, ევროპის და ოლიმპიური ჩემპიონია ლერი ხაბელოვი?

ა – 5 4 1

ბ – 4 3 2

გ – 3 4 0

2. რომელ წელს გახდა ფეხბურთში ოლიმპიური ჩემპიონი გელა კეტაშვილი?

ა – 1984 წელს

ბ – 1988 წელს

გ – 1992 წელს

3. რომელ წელს მიიღეს პირველად მონაწილეობა ქართველმა მხედრებმა პარდუბიცეს სტიპლჩეიზში?

ა – 1991 წელს

ბ – 1993 წელს

გ – 1994 წელს

4. მაია ჩიბურდანიძემ 1984 წელს მსოფლიოს ჩემპიონობა შეინარჩუნა ჭადრაკში ქალთა შორის. ვინ იყო მისი მეტოქე?

ა – ნონა გაფრინდაშვილი

ბ – ელენა ახმილოვსკაია

გ – ირინა ლევიტინა

5. რომელი ქართული ხალხური თამაშობაა ბალახის ჰოკეის მსგავსი?

ა – მხოლოდ ჭოროლა

ბ – ჭოროლა და ჭაკუნაობა

გ – მხოლოდ ჭაკუნაობა

პასუხები: 1-ა, 2-ბ, 3-ა, 4-გ, 5-ბ.

## სპორტსმენები საკუთარ თავზე



### გაიოზ ჯეჯელავა იხსენებდა

„სკოლის ეზოში ვთამაშობდი ჩემზე გაცილებით უფროს, 19-20 წლის ბიჭებში. გოგონები ფანჯრიდან გვიყურებდნენ და რამდენ ფინტსაც გავაკეთებდი, იმდენჯერ ტაშისცემით იკლებდნენ იქაურობას. უკვირდათ, ეს თითისტოლა ბიჭი უფროსებს რას უშვრებაო. ზოგიერთი ჩემი იმჟამინდელი მაყურებლის გვარი დღემდე მახსოვს: თამარ ფარცხალაძე, თამარ გოგოლაძე, ელიკო გვაზავა, ვერა გიგიაძე, ქსენია იმნაძე“...

## სახელოვანი წინაპრები

### ანდრია დადიანი 160



**ანდრია დადიანი** იყო XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის ცნობილი ქართველი მოჭადრაკე, რომლის მოღვაწეობაც ამდიდრებს ჩვენი ჭადრაკის ისტორიას.

იგი დაიბადა 1850 წელს ზუგდიდში, სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის დავით დადიანისა და ალექსანდრე ჭავჭავაძის ასულის ეკატერინეს ოჯახში. ანდრიამ მთელი ცხოვრება პეტერბურგსა და კიევში გაატარა (გარდაიცვალა კიევში 1910 წლის 13 ივნისს, დაკრძალულია საგვარეულო ეკლესიაში ხონის რაიონის სოფელ გორდში). ზოგჯერ თბილისშიც ჩადიოდა, სადაც მრავალი ნათესავი და პატივისმცემელი ჰყავდა.

ანდირა დადიანმა იურიდიული განათლება მიიღო ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში (გერმანია). სიცოცხლის ბოლომდე რუსეთის არმიაში მსახურობდა და გენერალ-ლეიტენანტის ჩინამდე მიაღწია.

ანდრია დადიანმა მდიდარი საჭადრაკო მემკვიდრეობა დაგვიტოვა. ზუგდიდის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცულია მისი არქივი, ჭადრაკი, ბიბლიოთეკა, ჯილდოები და სიგელები. ხსენებულ და სხვა მასალების საფუძველზე თენგიზ გიორგაძემ გამოსცა წიგნი „თამაშობს ანდრია დადიანი“.

გვერდი მომზადებულია თენგიზ თომაშვილის პროექტით

● ტესტები

# ბოკეს რეაბილიტაციის ერთი შანსი

ნოემბრის ტესტების ბოლო დღის ყველაზე საინტერესო მატჩი ლონდონში, „თვიქნემზე" გაიმართება. 2011 წლის მსოფლიო თასის ჯგუფურ ეტაპზე „ბორჯღალოსნების" მეტოქე ინგლისის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონ, სამხრეთ აფრიკის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდება.

„პომებმა" აქამდე გამართული სამი მატჩიდან ორში, ავსტრალიისა და სამოას ნაკრებები დაამარცხეს. ორი შეხვედრა მოიგო „ბოკემაც". **ვილემ დე ფილიერსის** ბიჭებმა ორივეში გაჭირვებით იმარჯვეს, შეიძლება ითქვას, რომ წაგებას გადაურჩნენ. მაგრამ კოკამ მესამედ წყალი აღარ მოიტანა და „ბორჯღალოსნების" კიდევ ერთ მეტოქესთან, შოტლანდიის ნაკრებთან 17:21 დამარცხდნენ.

დე ფილიერსმა, რომელიც თავისი ქვეყნის სპორტული მედიის უმძიმეს წნეხს განიცდის, გუნდის ძირითად შემადგენლობაში ორი ცვლილება განახორციელა. რვა ნომრის პოზიციაზე **რაიან კანკოვსკის** ნაცვლად ისევ **პიერ სპისი** დააბრუნა. ცხრანომრიანი კვარტი კი **რუან პინარს** ანდო. შესაბამისად, **ფრანსუა ჰუგარმა** სათადარიგოებში გადაინაცვლა, კანკოვსკისთვის კი ადგილი იქაც არ მოიძებნა.

*„ტყუილად მიყიჟინებენ, რომ მოთამაშეები ბითუმად უნდა შევცვალო. მსგავსს არაფერს ვაპირებ. ჩვენ ძალიან მაღალი დონის, შესანიშნავი მორაგბეები გვყავს, რომლებსაც ნებისმიერი მეტოქის დამარცხება შეუძლიათ.*

*კარგად გვაქვს გაცნობიერებული, რომ შაბათს, „თვიქნემზე" ნოემბრის ტესტების ყველაზე რთული თამაში მოგველის. ინგლისელთა თავკაცმა მარტინ ჯონსონმა შესანიშნავი გუნდის შექმნა შეძლო. მსოფლიო თასამდე ცოტა დროა დარჩენილი და, ვფიქრობ, ინგლისელები კიდევ მოუმატებენ. ეს გუნდი ახალ ზელანდიაში ფავორიტი იქნება"* - თქვა დე ფილიერსმა.

ამასობაში, სრულიად განსხვავებული პრობლემებითაა დაკავებული „პომების" მწვრთნელთა შტაბი. ტესტების პირველი დღის შემდეგ დოპინგ-კონტროლზე ორი „ბოკე", **ბიორნ ბესონი** და **ჩილიბოი რელეპელე** ჩავარდა. ამ ფაქტმა ინგლისელთა თავკაცი მარტინ ჯონსონი ერთობ დააფიქრა და გუნდის ყველა მოთამაშეს დამატებითი დოპინგკონტროლი ჩაუტარა. მისთვის საბედნიეროდ, ყველა სუფთა აღმოჩნდა.

ჯონსონმა საწვრთნელი შეკრებიდან თერთმეტი მოთამაშე გაათავისუფლა, რადგან მათ კლუბებს, მომავალ უქმეებზე, საშინაო ჩემპიონატში მნიშვნელოვანი მატჩები აქვთ. ესენია: **ჯეიმზ ჰესკელი, დელონ არმითიჯი, ენტონი ალენი, დეივ ეთვუდი, ჯორჯ ჩატერი, პაულ დორან-ჯოუნზი, ტიმ პაინი, კრის რობშო, დევიდ სტრიტლი, ჯეიმზ სიმპსონ-დენიელი** და **ჯო ვორსლი.**



პატრიკ ლამბიე

სამხრეთ აფრიკა: **15. ზან კირხნერი, 14. ხიო ეპლონი, 13. ფრანსუა სტეინი, 12. იან დე ფილიერსი, 11. ლუაზი მვოვო, 10. მორნი სტეინი, 9. რუან პინარი. 1. ტენდაი მთავარირა, 2. ბისმარკ დუ პლესი, 3. იან დუ პლესი, 4. ბაკი ბოთა, 5. ვიქტორ მეტფილდი, 6. დეონ სტეგმანი, 7. ჟუან სმითი, 8. პიერ სპისი**

*16. ადრიან სტრაუსი, 17. სი ჯეი ფან დერ ლინდე, 18. ფილიპ ფან დერ მერვე, 19. ვილემ ალბერტსი, 20. ფრანსუა ჰუგარი, 21. პატრიკ ლამბიე, 22. ედი იაკობსი*

# ლე ბლეს უედრაოგო დაუბრუნდა

არგენტინის ნაკრებთან მძიმე ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ, საფრანგეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **მარკ ლივერმონმა** ძირითად შემადგენლობაში **ფულენსე უედრაოგო** დააბრუნა. „მონპელიეს" მესამეხაზელის ფეთქებადი თამაში ფრანგთა გუნდს „პუმებთან" მატჩში აშკარად აკლდა. ლივერმონი იმედოვნებს, რომ ის ამ დანაკლისს „ვილაბებთან" მატჩში აუცილებლად შეავსებს.

22-კაციან განაცხადში ვერ მოხვდა მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო რვა ნომერი **იმანოლ არინორდოკი**. მის ადგილს მეორეხაზელი **სებასტიან შაბალი** დაიკავებს. გადაადგილებაა უკანა ხაზშიც. პერპინიანელი **ჟერომ პორიკალი** ფულბეკად ითამაშებს, **ალექსისი პალისონი** კი გარემარბის პოზიციაზე გადაინაცვლებს. კვლავ სათადარიგოთა შორის იქნება ქართული წარმოშობის ცხრა ნომერი **დიმიტრი იაშვილი**. ლივერმონს მიაჩნია, რომ კლერმონელი **მორგან პარა** ამჟამად უკეთეს ფორმაშია.

საფრანგეთი: **15. ჟერომ პორიკალი, 14. იან იუჟე, 13. ორელიან რუჟერი, 12. იანიკ ჟოზიონი, 11. ალექსის პალისონი, 10. დამიენ ტრაი, 9. მორგან პარა. 1. ტომას დომინგო, 2. ვილიამ სერვა, 3. ნიკოლა მასი, 4. ჟულიენ პიერი, 5. ლიონელ ნალე, 6. ტიერი დუსოტუარი, 7. ფულენსე უედრაოგო, 8. სებასტიან შაბალი**

*16. ჟილემ ჟირადო, 17. ჟერომ შუსტერი, 18. ჟერომ ტიონი, 19. ჟულიენ ბონერი, 20. დიმიტრი იაშვილი, 21. ფაბრის ესტებანესი, 22. მარკ ანდრე*

# ნარშავები სამოას უფრთხიან

2011 წლის მსოფლიო თასზე საქართველოს ნაკრების მეტოქე, შოტლანდიის ეროვნული გუნდის ნოემბრის ტესტების ბოლო შეხვედრას ედინბურგში, „მერიფილდზე" სამოას საკმაოდ ძლიერ გუნდთან გამართავს.

ნარშავების მთავარმა მწვრთნელმა **ენდი რობინსონმა,** გასულ უქმეებზე მსოფლიოს ჩემპიონის, სამხრეთ აფრიკის ნაკრების მძლეველ გუნდში ერთი ცვლილება განახორციელა. მან რვა ნომრის პოზიცია 23 წლის **რიჩი ვერნონს** ანდო. მისთვის ეს ეროვნულ გუნდში მოხვეჭილი მეორე კეპი იქნება.



ნარშავები ბოკესთან გამარჯვებას ზეიმობენ

*„სამხრეთ აფრიკის ნაკრებთან მოპოვებული გამარჯვება უკვე ისტორიის საკუთრებაა. ის, რაც შეიძლება მალე უნდა დავივიწყოთ. ჩვენი მომდევნო მეტოქე ფიზიკურად ძლიერი, სწრაფი მორაგბეებითაა დაკომპლექტებული და თამაში არანაკლებ მძიმე იქნება.*

*ამასთან, მინდა მივულოცო ალან იაკობსენს და შონ ლამონტს. სამოსათან მატჩი მათთვის საიუბილეო, 50-ე იქნება. ეს მოთამაშეები ათასი ტრავმისა და სირთულის მიუხედავად, რაგბის, თავიანთი კლუბებისა და ეროვნული ნაკრების ბოლომდე ერთგულნი დარჩნენ. ისინი სამაგალითონი არიან"* - თქვა ენდი რობსონმა.

შოტლანდია: **15. ჰუგო საუთვილი, 14. ნიკი ვოლკერი, 13. ჯო ენსბრო, 12. გრემ მორისონი, 11. შონ ლამონტი, 10. დენ პარქსი, 9. რორი ლაუსონი, 1. ალან იაკობსენი, 2. როს ფორდი, 3. ევან მურეი, 4. ნათან ჰინესი, 5. რიჩი გრეი, 6. კელი ბრაუნი, 7. ჯონ ბარკლი, 8. რიჩი ვერნონი**

*16. დაგ ჰალი, 17. მურეი ლოუ, 18. ჯიმ ჰამილტონი, 19. როს რენი, 20. მაიკ ბლერი, 21. რუარიდ ჯექსონი, 22. მაქს ევანსი*

● მკითხველთა თხოვნით. რაგბის წესები

LAWS OF THE GAME RUGBY UNION 2010

## დერეფნის დასაწყისი და დასასრული

დერეფანი იწყება მაშინ, როცა ბურთი აუტიდან მისი გადმომგდები მოთამაშის ხელის მტევანს სწყდება.

დერეფანი სრულდება მაშინ, როცა ბურთი ან ბურთიანი მოთამაშე დერეფნიდან გადის. ეს მოიცავს შემდეგს:

ბურთი დერეფნიდან სტყორცნეს, გადმოაგდეს ან ფეხით დაარტყეს.

დერეფნის მოთამაშემ ბურთი მისცა დერეფნიდან დაძრულ მოთამაშეს.

აუტიდან ბურთით 15-მეტრა ხაზს მიღმა გადმოაგდეს, ან ამავე ხაზის იქით ბურთი მოთამაშემ გადაიტანა.

ბურთი ან ბურთი მოთამაშე ხუთი მეტრისა და კიდის ხაზებს შორის მოქცეულ ზოლში გადავიდა.

დერეფანში შეიქმნა რაკი ან მოლი და მასში ჩაბმული ყველა მოთამაშის ტერფები დერეფნის შუა ხაზზე გადავიდა.

დერეფანში ბურთის თამაში შეუძლებელი გახდა (ბურთი ჩაიხურა). ამ დროს თამაში შერკინებით ახლდება.

## რა შეუძლია და რა არა დერეფნის მოთამაშეს

**თამაშგარე:** დერეფნის მოთამაშე თამაშგარეთ არ უნდა იყოს.

ვიდრე ბურთს აუტიდან გადმოაგდებენ, თამაშგარეს ხაზი დერეფნის შუა ხაზია. მას შემდეგ, რაც ბურთი მოთამაშეს ან მიწას შეეხო, თამაშგარეს ხაზი ბურთზე გადის.

თუ ბურთისთვის ხტება, მოთამაშეს ნაბიჯის გადადგმა ნებისმიერ მხარეს შეუძლია. ოღონდაც მან შუა ხაზი არ უნდა გადაკვეთოს.

**მეტოქეზე დაყრდნობა.** ახტომის დროს მოთამაშე მეტოქეს არ უნდა დაეყრდნოს.

**დაჭერა და კვრა.** დერეფნის მოთამაშემ მეტოქე არ უნდა დაიჭიროს და მას არც უბიძგოს, თავს დაესხას, გზა შეუკრას ან ხელი ჩაავლოს, გამონაკლისია დერეფანში შექმნილი რაკი და მოლი.

**უწესოდ თავდასხმა.** დერეფნის მოთამაშე მეტოქეს შეიძლება დაესხას მხოლოდ მაშინ, როცა ბურთიანის შებოჭვას ან ბურთის თამაშს ცდილობს.

**სასჯელი:** საჯარიმო დარტყმა 15-მეტრა ხაზზე.

**გუნდელზე დაყრდნობა:** ახტომის დროს მოთამაშე თავისიანს არ უნდა დაეყრდნოს.

**აწევა.** დერეფნის მოთამაშემ თავისიანი არ უნდა ასწიოს.

**ახტომამდე ხელის შეშველება:** დერეფნის მოთამაშემ თავისიანს ახტომამდე ხელი არ უნდა შეუშალოს.

**ახტომა ან ხელის შეშველება ბურთის გადმოგდებამდე:** ვიდრე ბურთი აუტიდან მისი გადმომგდების ხელის მტევანს მოსწყდება, დერეფნის მოთამაშე ბურთისთვის არ უნდა ახტეს და არც ვინმეს შეაშველოს ხელი.

**მოწოდების დაბლოკვა:** დერეფნის მოთამაშე აუტის ხაზიდან ხუთი მეტრის ფარგლებში არ უნდა დადგეს და არც ხუთ მეტრზე ბურთის გადმოგდებას შეუშალოს ხელი.

თუ აუტიდან გადმოგდებული ბურთი დერეფნის მოთამაშეს გასცდა, ამას შეუძლია აუტის ხაზს და ხუთი მეტრის ნიშნულს შორის მოქცეულ ზოლში გადავიდეს. თუ მოთამაშე ასე მოიქცა, დერეფნის დასრულებამდე თავისი კარის ხაზისკენ აღარ უნდა წავიდეს. გამონაკლისია დერეფნიდან დაძვრა.

**ბურთის დაჭერა და გადმოგდება.** დერეფანში ამხტარი მოთამაშე ბურთის დაჭერასა და გადმოგდებას ორივე, ან მარტო შიდა ხელით უნდა ეცადოს.

ამხტარ მოთამაშეს მარტო გარე ხელით თამაში ეკრძალება, მაგრამ თუ ორივე მტევანი თავს ზემოთ ასწია, ბურთის თამაში ნებისმიერით შეუძლია.

**სასჯელი:** თავისუფალი დარტყმა 15-მეტრა ხაზზე.

## რა შეუძლია და რა არა არა-დერეფნის მოთამაშეს

თუ მოთამაშე დერეფანში არ მონაწილეობს, დერეფნის დასრულებამდე შუა ხაზიდან მინიმუმ 10 მეტრით უკან, ან თუ მისი კარის ხაზი უფრო ახლოა, ამ ხაზის უკან უნდა იდგეს.

ამ წესს აქვს ორი გამონაკლისი:

**1. შორს გადმოგდება:** თუ აუტიდან მომწოდებელმა ბურთი 15-მეტრა ხაზს გადააცილა, მის არა-დერეფნელ გუნდელს ბურთის დასაუფლებლად წინ გაჭრა შეუძლია. თუ იგი ასე მოიქცა, გამოქცევა არა-დერეფნელ მეტოქეებსაც შეუძლიათ.

**2. მიმღები ღრიჭოში:** მიმღებს შეუძლია დერეფნის მწყობრში დატოვებულ ღრიჭოში შეიჭრას და გააკეთოს ყველაფერი, რისი უფლებაც დერეფნის სხვა მოთამაშეებს აქვთ. ამ დროს მიმღებს სასჯელი წესის დარღვევისთვის დერეფნის სხვა მოთამაშეებივით ეკისრება.

**სასჯელი:** საჯარიმო დარტყმა დამრღვევი გუნდის თამაშგარეს ხაზზე.

## დერეფნიდან დაძვრა

მოთამაშე დერეფნიდან იძვრება, თუ მწყობრს იმისთვის ტოვებს, რომ გუნდელის მიერ იქიდან გადმოგდებული ან გადმოწოდებული ბურთი დაიჭიროს.

მოთამაშე მანამ არ უნდა დაიძრას, სანამ ბურთი აუტიდან მომწოდებლის ხელის მტევანს არ მოსწყდება.

დაძრული მოთამაშე დერეფნის დასრულებამდე უნდა დარჩეს დერეფნის შუა ხაზსა და მასზე ათი მეტრით უკან გავლებულ ხაზს შორის მოქცეულ ზოლში და არ გაჩერდეს.

**სასჯელი:** თავისუფალი დარტყმა შუა ხაზზე, კიდიდან 15 მეტრზე.

აუტიდან ბურთის გადმოგდებამდე დერეფნის მოთამაშეებს ადგილის შეცვლა და ერთმანეთისთვის გაცვლაც შეუძლიათ.

## თამაშგარე

დერეფანში მოწყობის შემდეგ გუნდისთვის წესდება ორი სხვადასხვა, კარის ხაზის პარალელური თამაშგარის ხაზი.

**მონაწილეები:** პირველი თამაშგარეს ხაზი ეხება დერეფნის მონაწილე მოთამაშეებს (ჩვეულებრივ, ესენი მორკინალები, ცხრა ნომერი და აუტიდან ბურთის გადმომგდები არიან).

აუტიდან ბურთის გადმოგდებამდე და ბურთის მიერ მიწის ან მოთამაშის შეხებამდეც ეს თამაშგარეს ხაზი იმავე დერეფნის შუა ხაზია, შეხების შემდეგ კი ბურთზე გამავალი ხაზი.

**არა-მონაწილეები:** მეორე თამაშგარეს ხაზი ეხება მოთამაშეებს, ვინც დერეფანში არ მონაწილეობენ.

მათთვის თამაშგარეს ხაზი დერეფნის შუა ხაზზე 10 მეტრით უკან გადის, მაგრამ თუ მათივე კარის ხაზი უფრო ახლოა, მაშინ თამაშგარეს ხაზი თავად ეს კარის ხაზია.

თამაშგარეს წესი ცოტა განსხვავებულად ყალიბდება აუტიდან ბურთის შორს გადმოსგდების დროს და დერეფანში შექმნილი რაკისა და მოლისთვის.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**




sport.gov.ge

## კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# მაიამიმ ვეტერანი დაიმატა

„მაიამი ჰიტის“ პრობლემების შესახებ ყველას კარგად მოეხსენება და ფლორიდული კლუბის სირთულეებს რამდენიმე დღის წინ კიდევ ერთი დაემატა - გუნდს კარგა ხნით გამოაკლდა მძიმე ფორვარდი - **უდონის ჰასლემი**, რომელსაც უახლოეს დღეებში ოპერაცია ელის. შესაბამისად, სამხრეთელებს სასწრაფოდ უნდა მოენახათ თავიანთი საუკეთესო მომხსნელის დუბლიორი. ცაიტნოტში მყოფმა გენერალურმა მენეჯერმა **პატ რაილიმ** შეძლო ამის გაკეთება: კონტრაქტი გააფორმა ვეტერან ცენტრთან **ერიკ დამპიესთან**. საინტერესოა, რომ ოთხი წლის წინ, 2006 წლის პლეი ოფის ფინალში დამპიეს „დალასმა“ ჰასლემის „მაიამისთან“ წააგო.



დეტროიტმა ნოვიცკი ვერ შეაჩერა

ერთი ვეტერანის გასაფორმებლად „ჰიტის“ ხელმძღვანელობამ მეორე გაანაწყენა. **ჯერი სტეკჰაუსმა** მხოლოდ შვიდი მატჩის გამართვა მოასწრო ფლორიდელთა რიგებში (ჯამში 50 წუთი ითამაშა) და ნამდვილად არ სურდა კარიერის ასე დასრულება, მაგრამ ბიზნესი ბიზნესია და მას კარისკენ მიუთითეს.

*„სამწუხაროდ, თავის გამოჩენის საშუალება არ მომცეს, მაგრამ ასე ხშირად ხდება ხოლმე. კლუბის ხელმძღვანელობა თავის საქმეს აკეთებს და მათზე სულაც არ ვარ განაწყენებული. მინდა მადლობა გადავუხადო პატ რაილის, რომელმაც NBA-ში დაბრუნების საშუალება მომცა“*, - განაცხადა სტეკჰაუსმა.

■ ■ ■

გუშინ კიდევ ერთი საინტერესო ინფორმაცია გავრცელდა. „ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ ცენტრს **ენდრიუ ბინუმს** მორიგი სამედიცინო გამოკვლევა ჩაუტარდა, რომელმაც ტრავმირებულ ფეხზე ნორმიდან სერიოზული გადახვევა არ დააფიქსირა.

კალათბურთელი, რომელმაც ამ ზაფხულს მუხლის ტრავმა მიიღო, ინდივიდუალურ ვარჯიშებს დაიწყებს. როგორც პრესას გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **ფილ ჯექსონმა** აცნობა, „ლეიკერსი“ 10 დეკემბერს, „ჩიკაგოსთან“ მატჩში ელის ძირითადი ცენტრის დაბრუნებას.

■ ■ ■

ამასობაში, რეგულარულ ჩემპიონატში მორიგი მატჩები გაიმართა და მორიგი სპექტაკლი გვაჩუქა გერმანელმა **დირკ ნოვიცკიმ**, რომელიც დღის გმირად აღიარეს. „დალასის“ გერმანელმა ლეგიონერმა თავის აქტივში 42 ქულა (გუნდის საერთო მონაგარის თითქმის ნახევარი) ჩაიწერა. მან თამაშიდან 23-ჯერ ესროლა და 12 ჩააგდო, მათ შორის სამიდან სამი სამქულიანი, 16 საჯარიმოდან 13 გამოიყენა, 12 მოხსნა და 2 დაფარება დაუმატა და 40 წუთში მხოლოდ ერთი შეცდომა დაუშვა.

სწორედ ნოვიცკი იყო „დეტროიტთან“ საშინაო მატჩში სასტარტო გაქცევის ინიციატორი - 16:2, მოგვიანებით კი **ჯეისონ ტერისა** და **კერონ ბატლერის** დახმარებით გამოაცოცხლა გუნდი იმ ჩავარდნის შემდეგ, რომლის წყალობითაც სტუმრები მესამე მეოთხედის შუაში 60:48 გავიდნენ წინ. მაგრამ თავისი ნამდვილი შესაძლებლობები ნოვიცკიმ შეხვედრის ბოლოს გამოავლინა, როცა 427 წამის განმავლობაში 15 ქულა დააგროვა და „დეტროიტს“ **როდნი სტაკისა** და **ტაიშონ პრინსის** მონდომების მიუხედავად შეხვედრის ოვერტაიმში გადაყვანის საშუალება არ მისცა.

**ინდიანა-კლივლენდი 100:89**

**24:16, 38:21, 21:19, 17:33**

ი: გრეინჯერი (24+5 მოხსნა), კოლისონი (18+7 პასი+6 მოხსნა), რაში (16), დანლივი (10+6 მოხსნა).

კ: სეშენსი (15+6 მოხსნა+5 პასი), გიბსონი (15), გრემი (11), ჰიქსონი (9+10 მოხსნა).

**ნიუ ჯერსი-ატლანტა 107:101 (ო)**

**31:21, 20:22, 19:24, 23:26, 14:8**

ნ-ჯ: ლოპესი (32+9 მოხსნა), ჰარისი (27+9 პასი), მოროუ (13), ჰემფრიზი (12+14 მოხსნა).

ა: კროუფორდი (21+5 მოხსნა), სმიტი (20+7 მოხსნა), ჯონსონი (16+8 პასი+6 მოხსნა), ჰორფორდი (14+10 მოხსნა+5 პასი).

**ვაშინგტ.-ფილადელ. 116:114 (ო)**

**20:30, 18:22, 35:25, 33:29, 10:8**

ვ: უოლი (25+6 პასი), მაკგი (24+18 მოხსნა+4 დაფარება), იანგი (19), ბლეტჩი (17+12 მოხსნა), არენასი (17+7 პასი).

ფ: იგუოდალა (23+11 მოხსნა+8 პასი), ბრენდი (19+7 მოხსნა), სპეიტსი (16+9 მოხსნა), იანგი (15), ტერნერი (11), ნოჩიონი (11), ჰოლიდეი (10+7 პასი+5 მოხსნა).

**ნიუ იორკი-შარლოტი 110:107**

**32:26, 28:23, 29:26, 21:32**

ნ-ი: დაგლასი (22), სტაუდმაიერი (17+7 მოხსნა), ფელტონი (16+9 პასი), გალინარი (15+6 მოხსნა), ფილდსი (14+7 მოხსნა), ტურიაფი (12).

შ: ოგუსტინი (24+7 პასი+4 ჩაჭრა), უოლასი (20+8 მოხსნა), ჯექსონი (18+6 მოხსნა), დიაო (12+5 მოხსნა), ბრაუნი (12), ლივინგსტონი (11+5 მოხსნა).

**დალასი-დეტროიტი 88:84**

**24:17, 14:25, 18:19, 32:23**

დალ: ნოვიცკი (42+12 მოხსნა), ტერი (16), ბატლერი (11+8 მოხსნა).

დეტ: პრინსი (19+5 მოხსნა), სტაკი (19+5 მოხსნა), მაქსიელი (10+7 მოხსნა), გორდონი (10).

**ლეიკერსი-ჩიკაგო 98:89**

**26:26, 25:23, 23:24, 24:18**

ლ: ოდომი (21+8 მოხსნა), ბრაუნი (21), ბრაიანტი (20+5 პასი), გასოლი (12+11 მოხსნა), ბარნსი (10+5 მოხსნა).

ჩ: როუზი (30+8 პასი+5 მოხსნა), ნოა (19+13 მოხსნა), გიბსონი (16+12 მოხსნა), დენგი (13).

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| | |
|---|---|
| **იტალიის თასი** | |
| უდინეზე-ლეჩე | 1:1 დ.დ. 2:1 |
| ჯენოა-ვიჩენცა | 1:1 დ.დ. 3:1 |
| **გერმანია** | |
| **რეგიონალლიგა (ჩრ)** | |
| ჰალეშერი-მაგდებურგი | 0:2 |
| **ჰოლანდია** | |
| როდა-უტრეხტი | 1:1 |
| ვილემი-გრააფსხაპი | 0:1 |
| **ავსტრია** | |
| ზალცბურგი-შტურმი | 2:0 |
| **საბერძნეთი** | |
| ერგოტელისი-ოლიმპიაკოსი | 0:2 |
| **უელსი** | |
| ნითი-ტნს | 1:1 |
| **კვიპროსის თასი** | |
| აეკ-დიგენისი | 0:1 დ.დ. 2:1 |
| ასილ-აპეპ | 2:1 |
| დოქსა-ოტელოსი | 2:0 |
| ეთნიკოსი (ა)-ნეა სალამისი | 2:0 |
| ომონია-ჰალკანორასი | 2:0 |
| აკრიტასი-ანორთოსისი | 0:3 |
| პაეეკ-აეკ | 2:3 |
| ენოსისი-ომონია (ა) | 3:0 |
| ერმისი-ადონისი | 3:0 |
| **პოლონეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ვარტა-პოლკოვიცე | 1:3 |
| **ხორვატიის თასი** | |
| სიბალია-ისტრა | 2:0 |
| რიეკა-ვარტეჟსი | 2:4 |
| **მოლდოვა** | |
| მილსამი-ნისტრუ | 5:0 |
| **ავსტრალია** | |
| ველინგტონი-მელბურნი | 2:0 |
| ნიუკასლი-სენტრალ კოუსტი | 1:1 |
| ბრისბეინი-პერტი | 3:2 |

**კალათბურთი**

| | |
|---|---|
| **ევროლიგა** | |
| ლეტუვოს რიტასი-ფენერბაჰჩე | 75:81 |
| პროკომი-ხიმკი | 71:67 |
| შოლე-სიენა | 61:70 |
| მილანი-ცსკა | 71:65 |
| **ევროთასი** | |
| ალბა-კრ. კრილია | 88:64 |
| **ევროჩელენჯი** | |
| ვენტსპილსი-სკაილაინერსი | 62:64 |
| ტელეკომი-პროსტეევი | 75:81 |

**ჰოკეი**

| | |
|---|---|
| **კჰლ** | |
| მეტალურგი (ნ)-ს. იულიაევი | 1:4 |
| **ჩეხეთი** | |
| სლავია-ტრშინეცი | 4:3 (ბ) |

**ჩოგბურთი**

| | |
|---|---|
| **ATP. ლონდონი** | |
| როდიკი-**ბერდიხი** | 5:7, 3:6 |
| **ნადალი**-ჯოკოვიჩი | 7:5, 6:2 |

## TV პროგრამა

**25 ნოემბერი. ხუთშაბათი**

**HTB-პლუსი (ფეხბურთი)**

**07:35** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. რუბინი-კოპენჰაგენი.
**09:30** ბრაზილიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**10:00** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ვალენსია-ბურსა.
**11:55** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტურის მიმოხილვა.
**13:00** ახალი ამბები.
**13:20** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. პანათინაიკოსი-ბარსელონა.
**15:15** რუსეთის ჩემპიონატი. ტურის წინ.
**15:20** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. რეინჯერსი-მანჩესტერი.
**17:15** რუსეთის ჩემპიონატი. ტურის წინ.
**17:20** ახალი ამბები.
**17:40** ბრაზილიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**18:10** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ტოტენჰემი-ვერდერი.
**20:05** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტურის მიმოხილვა.
**21:10** ახალი ამბები.
**21:35** რუსეთის ჩემპიონატი. ტურის წინ.
**21:40** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. რუბინი-კოპენჰაგენი.
**23:45** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. პანათინაიკოსი-ბარსელონა.
**01:45** ახალი ამბები.
**02:05** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ინტერი-ტვენტე.
**04:05** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. რეინჯერსი-მანჩესტერი.
**06:00** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ვალენსია-ბურსა.

**EUROSPORT**

**11:30** ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. ტელეჟურნალი.
**12:00** ცურვა. ევროპის ჩემპიონატი. ბუდაპეშტი. უნგრეთი.
**13:00** ტრამპლინიდან ხტომა. ზაფხულის გრან-პრი. HS131. ჰაკუბა. იაპონია.
**15:00** ოლიმპიური თამაშები. ვანკუვერი 2010. საუკეთესო მომენტები.
**16:00** ფეხბურთი. ჩემპიონთა კლუბი. ტელეჟურნალი.
**16:30** ცურვა. ევროპის ჩემპიონატი. ბუდაპეშტი. უნგრეთი.
**18:00** ტრამპლინიდან ხტომა. ზაფხულის გრან-პრი. HS140. ლიბერეცი. ჩეხეთი.
**19:00** ტრამპლინიდან ხტომა. ზაფხულის გრან-პრი. HS140. კლიგენტალი. გერმანია.
**20:00** ცურვა. ევროპის ჩემპიონატი (მოკლე აუზი). ეინდჰოვენი. ჰოლანდია.
**22:00** ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
**21:10** ბოულინგი. PBA-ის ტური. აშშ. ტელეჟურნალი.
**23:00** ბრძოლა წესების გარეშე.
**02:05** მულტისპორტი.
**02:10** პრო-რესტლინგი.
**03:45** ტრამპლინიდან ხტომა. ზაფხულის გრან-პრი. HS140. კლიგენტალი. გერმანია.

## ავტოსპორტი

# შარშანდელი ჩემპიონის გარეშე

ცნობილი გახდა „ჩემპიონთა რბოლის“ ყველა მონაწილე. სახელგანთქმული საავტომობილო შოუ უახლოეს უქმეებზე გერმანიის ქალაქ დიუსელდორფში გაიმართება. ბოლო მინვეული ავტომრბოლი გახდა **ტანერ ფაუსტი** - ამერიკელი რალისტი და დრიფტიორი, X-Games 2010-ის ოქროსმედალოსანი. ტანერი ტრიუკებს ასრულებდა ფილმებში - „სიჩქარე“, „ფორსაჟი“, „რკინის კაცი-2“ და ა. შ.

სხვა მონაწილეებს შორის არიან - **სებასტიან ფეტელი, მიხაელ შუმახერი, ალენ პროსტი, სებასტიან ლოები** და სხვა სახელგანთქმული პილოტები. ისინი სტადიონზე მოწყობილ სპეციალურ ტრასაზე რვა ტიპის მანქანით ირბოლებენ. ტრადიციული ROC car-ის, KTM X-Bow-ის, Solution F Prototype-ის, FJ Racecar-ისა და RX150-ის გარდა, წელს გამოიყენებენ Audi R8 LMS-ს, Porsche 911-ს და VW Scirocco-ს.

რბოლა 1988 წლიდან მოყოლებული ყოველ წელს იმართება. მისი ორგანიზატორები არიან რალის ისტორიაში ყველაზე წარმატებული ქალი პილოტი **მიშელ მუტონი** და IMP-ის (International Media Productions) პრეზიდენტი **ფრედერიკ იონსონი**. „ჩემპიონთა რბოლაში“ პირველობა ორ კატეგორიაში იმართება - პირადსა და გუნდურში.

ბოლო ოთხი წლის განმავლობაში სამჯერ პირად პირველობაში გამარჯვებული DTM-ის ჩემპიონი **მატიას ექსტრიომი** გახდა, მაგრამ წელს მას „ჩემპიონთა რბოლაში“ ვერ ვიხილავთ. გუნდურ ჩათვლაში ბოლო სამი რბოლა გერმანიის ნაკრებს აქვს მოგებული, რომლის შემადგენლობაში მიხაელ შუმახერი და სებასტიან ფეტელი ირიცხებოდნენ.

„ჩემპიონთა რბოლის“ მონაწილეების სრული სია:

სებასტიან ფეტელი - ფორმულა 1-ის ჩემპიონი (2010)
მიხაელ შუმახერი - ფორმულა 1-ის შვიდგზის ჩემპიონი
ალენ პროსტი - ფორმულა 1-ის ოთხგზის ჩემპიონი
საბესტიან ლოები - რალიში შვიდგზის ჩემპიონი
მიკ დუენი - მოტორბოლაში ხუთგზის ჩემპიონი
ტანერ ფაუსტი - რალიში X-Games-ის ჩემპიონი
ჰეიკი კოვალაინენი - ჩემპიონთა რბოლის გამარჯვებული (2004)
ტომ კრისტენსენი - ლე მანის 24-საათიანი რბოლის რვაგზის გამარჯვებული
ენდი პრიოლი - WTCC-ის სამგზის ჩემპიონი
ჯეისონ პლატო - BTCC-ის ორგზის ჩემპიონი
ალვარო პარენტე - GP2-ის ჩემპიონი
ფილიპე ალბუკერკე - A1GP-ის გამარჯვებული
იორენ ბლიკემოლენი - „პორშეს“ სუპერთასის გამარჯვებული
ბარტრან ბაგეტი - „რენოს“ მსოფლიოს სერიის გამარჯვებული
კარლ ედვარდსი - ნასკარის სერიის გამარჯვებული
ტრევის პასტრანა - X-Games-ის 11-გზის ჩემპიონი

## ამბები

**ცურვა**

### ფელპსი საუკეთესო აღარ არის

14-გზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა **მაიკლ ფელპსმა** წააგო გამოკითხვა, რომელსაც ამერიკის 2010 წლის საუკეთესო მოცურავე უნდა გამოევლინა. ეს პრიზი სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა **რაიან ლოხტემ** მოიპოვა. ცნობისთვის, 2001-09 წლებში ფელპსი რვაჯერ აღიარეს ქვეყნის საუკეთესო მოცურავედ - მან ეს ტიტული მხოლოდ 2005 წელს დათმო.

2010 წელს ლოხტე წყნარი ოკეანის თამაშების მთავარი გმირი გახდა - ოქროს ექვსი მედალი მოიპოვა.

ქალებს შორის ამერიკის საუკეთესო მოცურავეა **რებეკა სონი**. მან იმავე წყნარი ოკეანის თამაშებზე სამი დისტანცია მოიგო.

**კალათბურთი**

### აივერსონის 18 ქულა

მესამე მატჩი ჩაატარა „ბეშიქთაშის“ შემადგენლობაში **ალენ აივერსონმა**. ევროპის თასის მეორე ტურში თურქული კლუბი ევროჩელენჯის შარშანდელ ჩემპიონთან, გერმანიის „გეტინგენთან“ 83:85 დამარცხდა.

აივერსონმა მოედანზე 31 წუთი გაატარა და 18 ქულა ჩააგდო (ორქულიანები - 5/11, სამქულიანები - 1/2, საჯარიმოები - 5/5). ამას დაემატა თითო მოხსნა და პასი და ხუთი შეცდომა. მეტოქის კალათბურთელებმა ამერიკელის წინააღმდეგ თამაშისას შვიდჯერ მიიღეს პერსონალური.

## ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# კროსბი ყველაზე პოპულარულია

ერთი კვირაა, რაც ჰოკეის ეროვნულ ლიგაში გულშემატკივართა ხმების მიღება დაიწყო, რომელმაც „ყველა ვარსკვლავის მატჩის“ მონაწილეები უნდა გამოავლინოს. ახალი წესის თანახმად, ფანებს მხოლოდ ექვსი მოთამაშის არჩევის უფლება აქვთ, დანარჩენ ჰოკეისტებს კი მომავალ მატჩში მონაწილე გუნდების კაპიტნები შეარჩევენ.

პირველი შვიდი დღის განმავლობაში ხმა მისცა 3,62 მილიონმა ადამიანმა და დაწინაურდა კანადური ჰოკეის მთავარი ვარსკვლავი, „პიტსბურგ პინგვინზის“ ფორვარდი **სიდნი კროსბი**, რომელსაც 118 755 ხმა აქვს. თავდამსხმელებში მეორე-მესამე ადგილებზე არიან ვაშინგტონელი **ალექსანდრ ოვეჩკინი** (80 169 ხმა) და ჩიკაგოელი **ჯონათან ტეუვზი** (79 953), თუმცა მათ სულ მცირედით ჩამორჩება „ტამპა ბეის“ ფორვარდი **სტივენ სტემკოსი** (78 833).

სამი გამოკვეთილი ფავორიტია მცველებს შორის - წინ გაიჭრნენ **დანკან კეიტი** („ჩიკაგო“, 82 968), **ნიკლას ლიდსტრიომი** („დეტროიტი“, 80 723) და **კრის პრონგერი** („ფილადელფია“, 78 003).

მეკარეებს შორის აშკარა ფავორიტია „მონრეალ კანადიენსის“ კარის დარაჯი კერი პრაისი 71 199 ხმით.

გამოკითხვა 2011 წლის 3 იანვრამდე გაგრძელდება, „ყველა ვარსკვლავის მატჩი“ კი 30 იანვარს გაიმართება.

**ფინიქსი-ედმონტონი 5:0**

**1:0, 2:0, 2:0**

**გოლები:** 1:0 ჰანჟალი-5 (რეი უიტნი-12, შლემკო-3), 2:0 ვოლსკი-4 (სტეპნიაკი-6, ეკმან-ლარსონი-4), 3:0 სტეპნიაკი-6 (ბელანჟე-7, შლემკო-4), 4:0 ჰანჟალი-6 (მორისი-3, დოუნი-3), 5:0 სტეპნიაკი-7 (ბელანჟე-8, ვოლსკი-9).

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ჩოგბურთი. ATP. წლის შემაჯამებელი ტურნირი

# ისევ ორსეტიანები

წლის შემაჯამებელ ტურნირზე ორი ტური გავიდა და აქამდე ჩატარებულ რვა მატჩიდან მხოლოდ ერთში გაიმართა სამსეტიანი ბრძოლა, დანარჩენი შეხვედრები კი ორ პარტიაში დასრულდა. გამონაკლისი არ ყოფილა B ჯგუფის მეორე ტურის მეორე მატჩი შვედ **რობინ სიოდერლინგსა** და ესპანელ **დავიდ ფერერს** შორის. პირველი ტურის მატჩი ორივე ჩოგბურთელმა დათმო და ამიტომაც მათ უკან დასახევი გზა მოჭრილი ჰქონდათ.

პირველი მატჩისგან განსხვავებით, ამჯერად სიოდერლინგმა სრულად აამუშავა თავისი მთავარი იარაღი - მოწოდება და ამის ხარჯზე იოლად იღებდა საკუთარ მოწოდებებს, თუმცა თანაბარი ანგარიში პირველი სეტის ბოლომდე შენარჩუნდა. როცა ყველას ეგონა, რომ ტაი-ბრეიკი გარდაუვალი იყო, ფერერმა მოულოდნელად თამაშს უკლო. მისი ჩავარდნა მე-12 გეიმს დაემთხვა, რომელშიც თავად იყო მოწოდებაზე. ამ გეიმში სკანდინაველმა სამი სეტბოლი გაანიავა, მაგრამ მეოთხე ცდა წარმატებული გამოდგა - 7:5.

მეორე სეტში რობინმა კიდევ უფრო ადრე შეძლო თავისი უპირატესობის რეალიზება და მეოთხე გეიმში აღებული ბრეიკით თითქოსდა გადაწყვიტა მატჩის ბედი - 5:2. სიოდერლინგს ორი ქულა აკლდა გამარჯვებამდე, მაგრამ მეტოქის გეიმი დათმო, თუმცა ეს მისთვის ტრაგედია არ ყოფილა, რადგან მანამდე ესპანელს არც ერთი ბრეიკ-პოინტი არ ჰქონია და წესით, რობინს არ უნდა გასჭირვებოდა მატჩზე ჩაწოდება. მიუხედავად ამისა, ფერერმა შეძლო პირველი ბრეიკის აღება და შეხვედრისთვის ინტრიგის დაბრუნება. ამ სეტის ფინალიც წინა პარტიის დასასრულს ჰგავდა - 5:6-ზე ესპანელი იყო მოწოდებაზე, რომელმაც ისევ ვერ გადაგდა ბოლო ნაბიჯი ტაი-ბრეიკამდე. 7:5, 7:5 სიოდერლინგის სასარგებლოდ.

ფერერმა მეორე მატჩი წააგო ჯგუფში, მაგრამ ჯერ არ დაუკარგავს ნახევარფინალში გასვლის შანსი. თუ დავიდი დღეს ორ სეტში მოუგებს **ენდი მიურეის**, ხოლო **როჯერ ფედერერი** ანალოგიურად დაამარცხებს სიოდერლინგს, მაშინ სამ ჩოგბურთელს თითო მოგება ექნება სეტების ერთნაირი შეფარდებით - 2:4. ამ შემთხვევაში დაითვლიან გეიმების რაოდენობას და მაშინ თეორიული შანსი ფერერსაც მიეცემა. ხოლო თუ ორივე მატჩი საპირისპირო შედეგით დასრულდა, ამ შემთხვევაში სიოდერლინგს, მიურეისა და ფედერერს ექნებათ ორ-ორი მოგება და სეტების შეფარდება - 4:2. მსგავსი სიტუაცია იყო შარშან, იმ განსხვავებით, რომ შვედის ადგილზე **ხუან მარტინ დელ პოტრო** იყო, რომელმაც, საბოლოოდ ერთი გეიმით გაუსწრო ბრიტანელს. ასე რომ, ფედერერმა ნახევარფინალის გასანაღდებლად ერთი პარტია უნდა მოიგოს ან ორი პარტიაში წაგებულ შეხვედრაში ექვსი გეიმი მიითვალოს. ნებისმიერ შემთხვევაში, ორგანიზატორებმა მიაღწიეს იმას, რომ მესამე ტურში „უაზრო“ მატჩები არ იქნება.

■ ■ ■

A ჯგუფში მეორე ტური **ტომაშ ბერდიხისა** და **ენდი როდიკის** მატჩით გაიხსნა. ამ ჩოგბურთელებმაც წაგებით დაიწყეს ტურნირი და აღნიშნულ შეხვედრაში აუცილებლად გამარჯვება ესაჭიროებოდათ.

ტომაში და ენდი წელს სამჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. ბოლოს ეს მაიამის მასტერსზე მოხდა და მაშინ ორ სეტში ამერიკელმა გაიმარჯვა.

გუშინ კი ჩეხმა შეძლო რევანშის აღება. თამაში თანაბარ ბრძოლაში დაიწყო და მეტოქეები იოლად იღებდნენ საკუთარ მოწოდებებს. პირველი შანსი ამერიკელს 5:4-ზე მიეცა. მან ბერდიხის მოწოდებაზე ორი სეტ-პოინტი მიიღო, მაგრამ ჩეხი დროულად მოეგო გონს და საფრთხე მოიგერია. მეტოქისგან განსხვავებით, ტომაშმა სეტში პირველივე ბრეიკ-პოინტი ქულად აქცია და მე-11 გეიმი აიღო, რის შემდეგაც სეტზე იოლად ჩააწოდა.

როდიკის თამაში საბოლოოდ მას შემდეგ მოიშალა, რაც მეორე სეტის მეხუთე გეიმში ისევ წააგო საკუთარი მოწოდება. ამერიკელს აღარაფერი გამოსდიოდა, რასაც ბერდიხის მეორე ბრეიკი და სეტის იოლად მოგება (6:3) მოჰყვა. აღსანიშნავია, რომ უიმბლდონის ფინალის შემდეგ, ეს ბერდიხის მხოლოდ მერვე გამარჯვება გახლდათ.


ტომაშ ბერდიხი

# დომინო აღარ ითამაშებს



დევისის თასი

ცნობილმა სლოვაკმა ჩოგბურთელმა **დომინიკ ჰრბატიმ** კარიერის დასრულება გადაწყვიტა. 32 წლის ვეტერანმა ეს გადაწყვეტილება იმით ახსნა, რომ ოჯახისთვის უფრო მეტი ყურადღების მიქცევა უნდა, მით უმეტეს, რომ ჩოგბურთელის მეუღლე დეკემბერში პირველ შვილს გააჩენს.

*„ჩემს ცხოვრებაში ახალი ეტაპი იწყება,* - განაცხადა ჰრბატიმ. - *მინდა მეტი დრო დავუთმო ოჯახს, რადგან დეკემბერში მატებას ველით“.*

კარიერის განმავლობაში დომინიკ ჰრბატიმ ATP-ის ექვსი ტურნირი მოიგო. 1999 წელს როლან გაროსის ნახევარფინალს მიაღწია, აგრეთვე სამჯერ იყო „დიდი სლემის“ ტურნირების მეოთხედფინალში. ბოლო მატჩი „დომინომ“ გასულ კვირას მშობლიური ბრატისლავის „ჩელენჯერზე“ ჩაატარა და იქ რუს **იგორ კუნიცინთან** დამარცხდა.

საინტერესოა, რომ ჰრბატი ერთადერთი მოთამაშეა, ვისაც დადებითი ბალანსი აქვს **რაფაელ ნადალთან** და **როჯერ ფედერერთან** მატჩებში.

■ ■ ■

ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაცია 2 დეკემბერს ბელგრადში დევისის თასისა და ფედერაციის თასის ფინალების თარიღის შეცვლაზე იმსჯელებს. როგორც უკვე ცნობილია, რამდენიმე დღის წინ პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციამ (ATP) ორი კვირით გაზარდა საჩოგბურთო არდადეგები, რის გამოც წლის შემაჯამებელი ტურნირის სტარტად 5 ნოემბერი გამოცხადდა.

ამის გამო წლის ბოლო ტურნირსა და დევისის თასის ფინალს შორის თითქმის სამკვირიანი პაუზა გაჩნდება. ამიტომაც სურს ფედერაციას გუნდური მსოფლიოს ჩემპიონატის გადამწყვეტი მატჩის უფრო ადრე გადმოტანა. იგივე ცვლილებები ელის ქალთა ფედერაციის თასსაც.

ფორმულა 1


ტუალეტამდე...


...ტუალეტის შემდეგ

# ტუალეტში დარჩენილი კაბა

ფორმულა 1-ის მთავარი პრომოუტერის **ბერნი ექლსტოუნის** ყოფილ მეუღლეს **სლავიკა როდიჩს** უცნაური ამბავი შეემთხვა. ბელგრადში გამართული წვეულების დროს 52 წლის ტელეწამყვანი და არმანის ყოფილი მოდელი ქალების ტუალეტში გავიდა. იქ ათი წუთი დაყო და როგორც ჩანს, ოთხმა ჭიქა ალკოჰოლმა თავისი ქნა - სლავიკა კმაყოფილი დაუბრუნდა დარბაზს და ერთ-ერთ სტუმართან საუბარი გააბა, მაგრამ ის ვერ შეამჩნია, რომ კაბა ტუალეტში დარჩა. ბერნის ექსმეუღლემ მოგვიანებით გამოასწორა ეს გაუგებრობა.

ბერნი ექლსტოუნმა სლავიკა 1982 წელს იტალიის გრან-პრის დროს გაიცნო და ასაკში დიდი სხვაობის მიუხედავად, 1985 წელს სუპერმოდელზე დაქორწინდა. 24-წლიანი თანაცხოვრების შემდეგ წყვილი შარშან დაშორდა და როგორც ამბობენ, სლავიკამ ყოფილი მეუღლისგან მილიარდი დოლარი მიიღო. მათ ორი ქალიშვილი ჰყავთ - **ტამარა** და **პეტრა**, რომლებიც ლონდონურ წვეულებების ხშირი სტუმრები არიან.

# ვალენსიას ფორმულა აღარ უნდა

ესპანეთის ქალაქ ვალენსიის მთავრობა მზად არის გააუქმოს ფორმულა 1-ის პრომოუტერებთან მოქმედი კონტრაქტი, რომელიც ამ ქალაქში ევროპის გრან-პრის გამართვას ითვალისწინებს.

ეს ხელშეკრულება მხოლოდ ორი წლის შემდეგ დასრულდება, მაგრამ ქალაქის ადმინისტრაციას მისი პირობების გადასინჯვა სურს. დღეისთვის ვალენსიას ფორმულა 1-ის ეტაპის ორგანიზება 30 მილიონი დოლარი უჯდება. ამ თანხიდან 18 მილიონი „დიდი ცირკის“ მთავარი პრომოუტერის **ბერნი ექლსტოუნის** ანგარიშზე ირიცხება, დანარჩენი კი ტრასის მომზადებასა და ქუჩის რბოლის გამართვისთვის საჭირო დროებითი ნაგებობების მონტაჟს ხმარდება.

არადა, ბილეთების რეალიზაციიდან ორგანიზატორებს მხოლოდ 10 მილიონი შესდით, თანაც თუ 2008 წელს რბოლას 112 ათასი მაყურებელი სტუმრობდა, წელს ეს რიცხვი 75 ათასამდე შემცირდა. ვალენსიის მთავრობა აცხადებს, რომ საპორტო ქალაქი საკუთარ თავს ვერ მისცემს ასეთი დანახარჯების უფლებას. ამასთან, ესპანური პრესის ინფორმაციით, ბერნი ექლსტოუნი კატეგორიულ უარს ამბობს კონტრაქტის პირობების გადახედვაზე.

იმასაც იტყობინებიან, რომ ექლსტოუნმა უკვე გამართა მოლაპარაკებები ესპანეთის აკლანისში ან პორტუგალიის პორტიმაოში ევროპის გრან-პრის გადატანის შესახებ.

■ ■ ■

მომავალ სეზონში „ტორო როსოში“, შესაძლოა, ცვლილება მოხდეს, კერძოდ, შვეიცარიელი **სებასტიან ბუემის** ნაცვლად იტალიურ საჯინიბოში „რედ ბულის“ ტესტპილოტი **დანიელ რიკიარდო** ჩაირიცხოს. უფრო ადრე წერდნენ, რომ ავსტრალიელი ავტომრბოლი „ლოტუსის“ შემადგენლობაში მოხვედრისთვის იბრძოდა. ჯერჯერობით „ტორო როსოს“ ხელმძღვანელობა მზად არ არის 2011 წლის შემადგენლობის გამოსაცხადებლად.

*„ბუემის კიდევ ექნება თავისი კონკურენტუნარიანობის დამტკიცების შანსი, მით უმეტეს, რომ 2010 წლის სეზონის სტარტი მისთვის წარმატებული იყო. ჯერ მზად არ ვარ პილოტების დასახელებისთვის. მსგავსი გადაწყვეტილების მიღების დრო ჯერ არ მოსულა“*, - ამბობს გუნდის შეფი **ტოსტი**.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



ვალენსიაში აღარ ირბოლებენ?